საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№09 (291)
11 - 17 მარტი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**ჩაქცეული დაქცეულები, ანუ «რუსთავი 2»-ის სინდრომი ქართულ ბიზნესსა და პოლიტიკაში** 6




## «რუსულად გითხრეს, ვერ გაიგეთ; გერმანულად გითხრეს, ვერ გაიგეთ; ინგლისურად გითხრეს, ვერ გაიგეთ; ფრანგულად გეუბნებით და ვერ იგებთ... ეტყობა, არ იცით ეს ენები და მეგრულად გეტყვით: ნატოშ მიშულა ვარია წიე, VOUS COMPRENEZ?!» 4

**«აუცილებლად უნდა მოეწყოს «ნაცმოძრაობის» აქციის საწინააღმდეგო აქცია!»** 10

11 **სომხეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ტერიტორიად არ აღიარებს!**

**გაიზიარებს თუ არა სააკაშვილი ბორის ნემცოვის ხვედრს?** 12

12 **«ჩვენ მზად არ ვართ ასოცირების ხელშეკრულებისთვის!»**

14 **ჯოჯოხეთის გამონათება, ანუ «სიკვდილის სექტის» ზრახვანი**

**ბატონო პაატა, რა ნაბიჯები გადადგით დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად?** 7



**«საქართველოში, შესაძლოა, ხუთი არაბული სოფელი გაშენდეს»** 8

**საქართველოს უცხოელი მიგრანტების ახალი ტალღა ელოდება!** 9

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ღარიბაშვილმა მინისტრებს ვადა 16 მარტამდე მისცა



**პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის წევრებს უწყებების მიხედვით ხარჯების შემცირების პროექტების წარსადგენად ვადა 16 მარტამდე მისცა.** ირაკლი ღარიბაშვილმა განათლების, სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის სამინისტროებს ხარჯვით ნაწილში გააქტიურებისკენ მოუწოდა. მისი განცხადებით, დაფინანსების არსებობის მიუხედავად, ვერ ხორციელდება პროექტები რეგიონებშიც. პრემიერმინისტრმა მინისტრთა კაბინეტის წევრებსა და თვითმმართველობის ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობის დაკისრებისკენ მოუწოდა.



მერაბ შათირიშვილი:

## 21 მარტიდან «ნაციონალები» პროვოკაციების მოწყობას დაიწყებენ

**„21 მარტიდან „ნაციონალები“ პროვოკაციების მოწყობას დაიწყებენ. გაუძლებს კი ისედაც დარღვეული ხელისუფლება ამდენ ზეწოლას? — განაცხადა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მერაბ შათირიშვილმა. მისი თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუერთდებიან სატელიტი არასამთავრობოები და ახალგაზრდული ჯგუფები.**

„ჩვენ ორი უკიდურესობის წინაშე აღმოვჩნდით — არ გააკრიტიკებ მთავრობას, ისედაც მოდუნებულები, უფრო დუნდებიან; გააკრიტიკებ და აქეთ გეუბნებიან, „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამ წყალსო. „ნაციონალებმა“ კარგად იციან, რომ მოსახლეობა დაბნეულია და ამის გამოყენება უნდათ“, — განაცხადა შათირიშვილმა გაზეთ „ალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში.



ტრისტან წითელაშვილი:

## არსებობს იმ პირთა სია, რომელთა ლიკვიდაციასაც 21 მარტს აპირებენ

გენერალ ტრისტან წითელაშვილის განცხადებით, საქართველოში დაიგეგმა შემაშფოთებელი პროცესი, რომელიც 21 მარტს უნდა დაიწყოს.

**„საქართველოში უკრაინიდან სნაიპერებმა ჩამოსვლა უკვე დაიწყეს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი დავალებები კონკრეტული პირების ლიკვიდაციის ჩათვლით! 4 სპეცრაზმელი მისიის შესრულების მოლოდინში უკვე თბილისში იმყოფება. მირიან გოჩაძე, გია ცერცვაძე, გიგა რობაქიძე, გოგა კახნიაშვილი არიან მერაბიშვილისდროინდელი თანამშრომლები, რომლებიც უკანონო ბრძანებებს ასრულებენ, უკრაინაში „მაიდნის“ დაწყებიდან იმყოფებოდნენ და პროცესში მონაწილეობდნენ,“** — განუცხადა ტრისტან წითელაშვილმა გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტს.



ვახტანგ გომელაური:

## «ნაციონალები», თუ წყნარად არ იქნებიან, მიილებენ!

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 21 მარტს დაანონსებულ აქციას გამოეხმაურა.

**„არეულობას არ ველოდებით. არც ვურჩევ ვინმეს, არეულობა დაგეგმოს, ამას არ დავუშვებ. დაცული იქნება ყველანაირად, როგორც აქამდე ხდებოდა, როგორც აქამდე მოხდა წინა აქციის დროს. აანონსებდნენ, რომ რაღაც მოხდებოდა, მაგრამ არაფერი მომხდარა. თუ იქნებიან წყნარად, აქცია წყნა-**



**რად ჩატარდება, თუ წყნარად არ იქნებიან, მიილებენ! პოლიცია კანონის ფარგლებში** შესაბამის ზომებს მიიღებს“, — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

უკრაინელი პოლიტოლოგი:

## ალექსანდრე კვიტაშვილს არაფერი გაეგება და სრულიად უსარგებლოა!

**უკრაინელმა პოლიტოლოგმა მიხაილ პოგრებინსკიმ კიევში სახელმწიფო დაზღვევის სისტემის შესახებ გამართულ პრესკონფერენციაზე უკრაინის ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილს „უსარგებლო“ უწოდა.**

„საქმე ის არ არის, რომ ჩვენს მინისტრს საერთოდ არაფერი გაეგება. პროფესიონალების კომენტარებით, რომლებიც მოვისმინე, ის სრულიად უსარგებლოა. დიდი ხნის წინათ უნდა გაეკეთებინათ ჩვენთან საყოველთაო დაზღვევა, მაგრამ რას ნიშნავს ამის ახლა გაკეთება, როდესაც ხალხს პურის ფული არ აქვს?! ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მათ მოემსახურებიან, ვისაც სადაზღვევო შენატანი ექნება,“ — განაცხადა პოლიტოლოგმა.







## ქართული ასეული ავღანეთში გაემგზავრა

**ვაზიანში, მეოთხე მექანიზირებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში „მტკიცე მხარდაჭერის“ სამშვიდობო მისიაში მონაწილე ასეულის გაცილების ცერემონია გაიმართა.**

ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და თავდაცვის უწყების სხვა ხელმძღვანელი პირები.

საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 26 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე, 31-ე ქვეითი ბატალიონის ნაკრები ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში 6-თვიან სამშვიდობო მისიაში მიიღებს მონაწილეობას. ქართველი სამხედროების მთავარი ამოცანა ქაბულში მდებარე „მტკიცე მხარდაჭერის“ ოპერაციის შტაბის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება.

## Counterpunch: მსოფლიო აშშ-ის შეკავების პრობლემის წინაშე დგას

**„აშშ-ს მსოფლიოს ბევრ წერტილში აქვს ბაზები, მისი სამხედრო ბიუჯეტი კი სხვა განვითარებული სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტს აღემატება, ამიტომ მსოფლიოს საზოგადოებრიობამ აშშ-ის შეკავებაზე უნდა იფიქროს და არა — რუსეთის“, — წერს ამერიკული გამოცემა Counterpunch-ი.**

გამოცემის აზრით, რუსეთის საზღვრებამდე ნატოს გაფართოების მცდელობას საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან და მხოლოდ იმპერიულ ამბიციებთან არის დაკავშირებული.

**„არავითარი ეჭვი არ არსებობს იმაზე, რომ აშშ და მისი მოკავშირეები მონაწილეობდნენ უკრაინაში მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებაში და ამაზე რუსეთის რეაქცია სრულიად საფუძვლიანია.**

**ის ფაქტი, რომ აშშ-ს ათასზე მეტი სამხედრო ბაზა აქვს მსოფლიოში და სამხედრო ბიუჯეტი იმაზე მეტი, ვიდრე განვითარებულ სახელმწიფოებს, ერთად აღებულს, მიუთითებს, რომ მსოფლიო აშშ-ის შეკავების პრობლემის წინაშე დგას და არა — რუსეთის,“** — წერს ამერიკული გამოცემა.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ახალი საპროტესტო გამოსვლები პოლიციელთა თავნებობის წინააღმდეგ




**ამერიკელი საზოგადოების აღშფოთების მიზეზი ვისკონსინის შტატში 29 წლის უიარაღო ტონი რობინსონის მკვლელობა გახდა.** ქალაქ მედისონში (ვისკონსინის შტატი) ასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში პოლიციელის მიერ უიარაღო შავკანიანი ყმაწვილის მკვლელობის გასაპროტესტებლად. მანიფესტანტებს ეჭირათ პლაკატები წარწერით: „შავკანიანის სიცოცხლესაც აქვს მნიშვნელობა!“ და სკანდირებდნენ: „მოვითხოვთ სამართლიანობას ტონისთვის!“ სამართალდამცველმა 19 წლის ტანი რობინსონი ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დაჭრა. ეს ინციდენტი ფერგიუსონელი (მისურის შტატი) პოლიციელების მიერ შავკანიანთა შევიწროების შესახებ მოხსენების გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ მოხდა. 2014 წლის აგვისტოში ფერგიუსონში პოლიციელმა შავკანიანი მოზარდი მაიკლ ბრაუნი მოკლა.

## მიხაელ პესეკი: აშშ-ის პოლიტიკა გველებით სავსე ორმოა!

**გერმანელმა ისტორიკოსმა მიხაელ პესეკმა უკრაინის პრეზიდენტისადმი ღია წერილში (გამოაქვეყნა ინტერნეტგამოცემა Antiwar-მა) პეტრე პოროშენკოს მოუწოდა, სიფრთხილე გამოიჩინოს აშშ-ის მხარდაჭერაში.**




„ახლა, როცა სადაცაა, გახდებით აშშ-ის ახლო მოკავშირე, უნდა გაფრთხილდეთ, ეს, ალბათ, არ ნიშნავს ხანგრძლივი და მგზნებარე რომანის დასაწყისს, რომლის შედეგიც აუცილებლად იქნება დოლარებით სავსე ანგარიშები, მტრის გასანადგურებლად საუკეთესო საშუალებებით აღჭურვილი არმია და უსაფრთხოების სასიამოვნო განცდა, რადგან თქვენი ამერიკელი მრჩეველები თქვენს ხალხს ასწავლიან ოპონენტების თავიდან მოშორებას და გაეროს უშიშროების საბჭოს ოვაციების დამსახურებას იმის გამო, რასაც იტყვით რუსეთის ან აშშ-ის სხვა მოწინააღმდეგის წინააღმდეგ“, — წერს ისტორიკოსი.

პესეკი პოროშენკოს ადარებს აშშ-ის მიერ ხელდასხმულ დიქტატორებს, კერძოდ, სადამ ჰუსეინს, რომლის დახმარებითაც აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ 1960-იან წლებში ერაყში დაამხო აბდელ ქერიმ ყასემის რეჟიმი იმიტომ, რომ ის მჭიდროდ თანამშრომლობდა სსრკ-თან. 1980-იან წლებში ჰუსეინი ერაყის პრეზიდენტი გახდა და ვაშინგტონის მოკავშირე იყო, მაგრამ სსრკ-ის დაშლის შემდეგ აშშ-მა პოზიცია შეიცვალა ჰუსეინის მიმართ, — მტრად გამოაცხადა და სიკვდილით დასაჯა.

„გაკვეთილი აითვისეთ? შეგიძლიათ, აშშ-ის იმდენი მტერი გაანადგუროთ, რამდენსაც მოახერხებთ; შეგიძლიათ, გაყიდოთ ბუნებრივი სიმდიდრეები, მაგრამ ეს არ დაგიცავთ, როდესაც ამერიკული ქარიშხალი მიმართულებას შეიცვლის. **ვერასოდეს შეიტყობთ, სინამდვილეში რას ფიქრობენ თქვენზე ამერიკელი პოლიტიკოსები, რამდენჯერაც უნდა ჩამოართვათ მათ ხელი. აშშ-ის პოლიტიკა „გველების ბუდეა: არსებობს უამრავი აგენტი და ინსტიტუტი, რომლებიც ჩართულნი არიან მის საერთაშორისო პოლიტიკაში, მაგრამ ამის შესახებ ვერასოდეს შეიტყობთ, სხვათა შორის, აშშ-ის პრეზიდენტი მხოლოდ მათი შუამავალია.**

ამ პირქუშ სამყაროში იმპერიისა, რომელიც თავს ღმერთის რჩეულად და შეუცვლელად მიიჩნევს, **თქვენ ხართ ის, ვინც ხართ: აუტსაიდერი, რაღაც პერიოდში — სასარგებლო იდიოტი, მაგრამ, როდესაც აშშ შეცვლის პრიორიტეტებს ან დაკარგავს თქვენ მიმართ ინტერესს, უსარგებლო ტვირთი გახდებით“,** — ასკვნის გერმანელი ისტორიკოსი.

**«თქვენ ხართ ის, ვინც ხართ: აუტსაიდერი, რაღაც პერიოდში — სასარგებლო იდიოტი, მაგრამ, როდესაც აშშ შეცვლის პრიორიტეტებს ან დაკარგავს თქვენ მიმართ ინტერესს, უსარგებლო ტვირთი გახდებით»**

**«ვერასოდეს შეიტყობთ, სინამდვილეში რას ფიქრობენ თქვენზე ამერიკელი პოლიტიკოსები, რამდენჯერაც უნდა ჩამოართვათ მათ ხელი. აშშ-ის პოლიტიკა «გველების ბუდეა: არსებობს უამრავი აგენტი და ინსტიტუტი, რომლებიც ჩართულნი არიან მის საერთაშორისო პოლიტიკაში, მაგრამ ამის შესახებ თქვენ ვერასოდეს შეიტყობთ, სხვათა შორის, აშშ-ის პრეზიდენტი მხოლოდ მათი შუამავალია»**

## პოლ კრეიგ რობერტსი: დასავლეთი უკრაინისგან აქტივებსა და მიწას წაილებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალში



**„საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების დასაფარავად უკრაინას მოუწევს, თავისი მიწა კომპანია „მონსანტოს“ მიჰყიდოს“, — განაცხადა ამერიკელმა ეკონომისტმა და პოლიტოლოგმა პოლ კრეიგ რობერტსმა ტელეკომპანია Russian Today-სთვის მიცემულ ინტერვიუში.**

„საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზემოქმედებით უკრაინა იძულებული იქნება, შეამციროს პენსიები, გააუქმოს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის მსხვერპლთათვის გათვალისწინებული დახმარება, განათლებისა და ჯანდაცვის დაფინანსება. კიევს მოუწევს ყველა ნაციონალური აქტივისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვა, რომელსაც შეიძენს გენმოდიფიცირებული თესლის მწარმოებელი კომპანია „მანსანტო“.

აქტივებისა და მიწის გაყიდვით შემოსული თანხა კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების დაფარვას მოხმარდება.

„მონსანტო“ დაინტერესებულია უკრაინაში მიწების შეძენით, რადგან გენმოდიფიცირებული მარცვლეულის მოყვანა, ევროკავშირის ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, უკრაინაში აკრძალული არ არის.

უკრაინაში სახნავი მიწების ფართობი ევროპის ასეთი მიწების ფართობს აღემატება. „მანსანტო“, თუკი დაიწყებს გენმოდიფიცირებული კულტურების გამოყვანას უკრაინაში, შეძლებს რუსეთსა და ევროპას იაფი პროდუქტები მიაწოდოს და ბაზრიდან განდევნოს ადგილობრივი მწარმოებლები. ევროპა, უბრალოდ, „დაჯდება“ „მონსანტის“ იაფ პროდუქციაზე.

**უკრაინას ელის საბერძნეთის ბედი! უკრაინის ყველა საწარმო, ბუნებრივი რესურსები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები — ყველაფერი დასავლეთის საკუთრება გახდება, დასავლეთი ტყუილუბრალოდ არასდროს არაფერს იძლევა“,** — აღნიშნა პოლ კრეიგ რობერტსმა, რომელიც თავის დროზე პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში ეკონომიკის საკითხების ექსპერტად მუშაობდა და „რეიგანომიკის“ მამად ითვლება.




## კენტის უნივერსიტეტის პროფესორმა იაცენიუკს სახიფათო ადამიანი და თავგადაკლული ნაციონალისტი უწოდა





**„უკრაინის პრემიერმინისტრი არსენი იაცენიუკი სახიფათო კაცი და თავგადაკლული ნაციონალისტია, რომელიც პატივისცემას არ იმსახურებს“, — განაცხადა კენტის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბრიტანელმა პოლიტოლოგმა რიჩარდ საკვამ გერმანულ გამოცემა Deutsche Wirschafts Nachriten-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.**

„არ მესმის, ასეთ თავგადაკლულ ნაციონალისტს როგორ უნდა მოეპყრო პატივისცემით“, — აღნიშნა პოლიტოლოგმა რუსეთის მიმართ უკრაინის პრემიერის წინააღმდეგობებით აღსავსე განცხადების კომენტირებისას.

**„დონბასი აღარასოდეს იქნება ნაციონალისტური და ცენტრალიზებული უკრაინული სახელმწიფოს ნაწილი, სწორედ ამიტომ ქვეყანაში უნდა დაიწყოს დეცენტრალიზაცია და ფედერალიზაცია.**

**პუტინს არ სჭირდება ომი უკრაინაში. მან ყველაფერი გააკეთა ამ ომის თავიდან ასაცილებლად. პასუხისმგებლობა კი ვაშინგტონსა და ბრიუსელს ეკისრება, რაც შეეხება ნატოს გაფართოებას, რაც რუსეთისთვის ალყის შემორტყმაში გამოიხატება, სტრატეგიის კარგად ცოდნა არ არის საჭირო, რომ მიხვდე: რუსეთი — ატომური სახელმწიფო, ადრე თუ გვიან, ამ პროექტის წინააღმდეგ წავა!“** — განაცხადა რიჩარდ საკვამ.

**ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ კვლავ უნდა ვიძახოთ, რომ დღეს თუ არა, ხვალ ნატოშიც მიგვიღებენ და ევროკავშირშიც! ამას ოლანდს, ჰარისა და მოგერინის ვერ ათქმევინებენ, მაგრამ ქართულ მედიას პირდაპირ მიუთითებენ, — როგორც ჩვენ გეტყვით, ისე წერეთ და ილაპარაკეთ ეთერში, თორემ კრემლის პროპაგანდისტებს დაგარქმევთო!**

# «ნატოშ მიშულა ვარია, წიე!..»

## VOUS COMPRENEZ?



**დასავლური ენთუზიაზმის ჰეგემონია ქართულ მედიაში დამთავრდა. ზედიზედ რამდენიმე ცივი შხაპის მიღების შემდეგ თვით ყველაზე პროდასავლური და ნატოს ერთგული ექსპერტებიც კი იძულებულნი შეიქნენ, ფირფიტა გადაებრუნებინათ და, მათივე სიტყვებით, „რეალობისთვის თვალებში ჩაეხედათ“. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, პოლიტიკურ სპექტრში გაცილებით ჯიუტები აღმოჩნდნენ და ერთნი მმართველ გუნდს საყვედურობენ, მეორენი კი, გასაგები მიზეზის გამო, დამნაშავეებს მედიაში ეძებენ.**

რეალობის ქრონოლოგია კი ასეთია: ნატოსა და ევროკავშირის ლიდერების დღემდე საყოველთაოდ ცნობილი გამონათქვამების გარდა, საფრანგეთის პრეზიდენტმა **ფრანსუა ოლანდმა პირდაპირ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მხარს არ უჭერს ნატოს გაფართოებას. მეორე დღეს კი საქართველოსთვის ასევე საეჭვო გახდა მაისში, რიგის სამიტზე ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე შეთავაზების მიღებაც.**

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა **თინა ხიდაშელმა** უკმაყოფილება ვერ დამალა, მაგრამ, საკუთარ გუნდს რომ ვერაფერი უსაყვედურა, ჟურნალისტებს მიახალა: **„არ ვიცი, ბერუჩაშვილმა რა თქვა, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ჩემი მოლოდინი ასეთი არ არის. მე რიგის სამიტიდან პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ველოდები. გუშინ ჟურნალისტებისგან მოგერინის პრესკონფერენცია ისეთი ვერსიით მოვისმინე, რომ არ გამიკვირდება, ბერუჩაშვილის პრესკონფერენციასაც ამ ვერსიით მთავაზობდეთ. თავად არ მომისმენია, შესაბამისად, რასაც მეუბნებით, იმაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ“.**

ხიდაშელს მხედველობაში ევროკომისრების — იოჰანეს ჰარისა და ფედერიკა მოგერინის პრესკონფერენცია ჰქონდა: „ეს პრესკონფერენცია ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომია და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო, თვითონ ენახა. თუმცა საქართველოში, როგორც წესი, ჟურნალისტებს ეს ეზარებათ და ურჩევნიათ, ქვეყანაში კრემლის პროპაგანდა გაავრცელონ“.

**ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა, როცა სიმართლის თქმას კრემლის პროპაგანდას უწოდებენ!** მართლაც, ძალიან რთულია ორი ევროკომისრის პრესკონფერენციიდან სხვა აზრი გამოიტანო, გარდა იმისა, რომ მაისში ვიზალიბერალიზაციას არ უნდა ველოდოთ, უკეთეს შემთხვევაში, „პოზიტიურ დინამიკას“ შეგვიქებენ, თუმცა მთავარი მარგალიტი წინ გვაქვს — თინა ხიდაშელი, როგორც ჩანს, ისე გააცეცხლა ოლანდის გამონათქვამმა, რომ მკვახედ განაცხადა: **„ოლანდმა, — მსურველებს ნატოზე უარი უნდა ეთქვათო, – სოფელში თავის ამომრჩეველთან ილაპარაკა. ამაზე დაყრდნობით მეუბნებით, ხომ? ნატოს ძალიან ბევრი ქვეყნიდან ერთი ქვეყნის პრეზიდენტმა რომ თქვა, ნატოს გაფართოებას არ ველოდებით უახლოეს მომავალშიო, როგორც ჩანს, ამას ეძახით თქვენ ნატოზე უარს, მე კი ასე არ ვუყურებ და ასე არ ვფიქრობ“.**

ვერავინ დამაჯერებს, თითქოს თინა ხიდაშელმა არ იცოდეს, რომ ნატოს წევრი ერთი სახელმწიფოს უარიც კი სრულიად საკმარისია, საქართველო ნატოში არ მიიღონ, **რაც შეეხება „საკუთარ ამომრჩეველთან სოფელში“ გაკეთებულ განცხადებას, ეს უკვე სრული ნონსენსია: საფრანგეთის პრეზიდენტმა, სადაც უნდა გააკეთოს განცხადება, ეს მაინც საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებაა და იგი ერთი სოფლისთვის ნათქვამად არ შეიძლება შეფასდეს!**

ცხადია, ეს ყველაფერი იცის თინა ხიდაშელმა, მაგრამ აქ, როგორც ჩანს, ცნობილ ქართულ სენთან გვაქვს საქმე; **სააკაშვილსაც ეგონა, რომ აქ, „სოფელში“ პუტინს გალანძღავდა და რუსეთში ამის შესახებ ვერ გაიგებდნენ! ასე ეგონათ „თავისუფალ დემოკრატებსაც“, — კულუარებში ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნაზე გაურიგდებოდნენ დასავლეთს და ეს დაიმალებოდა!** ვნახოთ, რას ამბობს ამის შესახებ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **მაია ფანჯიკიძე:** „დიახაც, რომ არსებობს გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საქართველოს ნატოში გაწევრება. დიახაც, არსებობს გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ნატო-საქართველოს ერთობლივი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელშიც გაიწვრთნებიან არა მხოლოდ ქართველი ჯარისკაცები, არამედ ნატოს წევრებიც. რასაკვირველია, ამ ცენტრს ექნება სამხედრო ელემენტი. ეს საკითხი საქართველოსთვის ხვალ და ზეგ უნდა გადაწყდეს“!

იოტისოდენა ეჭვიც არ უჩნდება ყოფილ პირველ დიპლომატს, რა სიკეთე უნდა მოუტანოს საქართველოს ამ „სამხედრო ელემენტმა“, დამატებითი საფრთხის გარდა! თუმცა **ამ აღიარებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მომენტია**: **„ეს არ არის მხოლოდ „თავისუფალი დემოკრატების“ აზრი:** „პრეზიდენტით დაწყებული, რიგითი მოქალაქეებით დამთავრებული, ყველა ერთნაირად ფიქრობს და ყველამ ერთნაირად აღიქვა ეს განცხადება. ამაში დარწმუნებული ვარ. თუ ხარ მთავრობის წარმომადგენელი და შენი ქვეყნისა და ხალხის მიზანი ნატოში გაწევრებაა, მაშინ არ უნდა გააკეთო ასეთი განცხადებები (იგულისხმება პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენლის — ზურაბ აბაშიძის განცხადება, რომ დღეს და ხვალ ნატოში არ მიგვიღებენ), როცა იცი, რომ არსებობენ სკეპტიკური ქვეყნები, რომლებიც ამ განცხადებას არგუმენტად გამოიყენებენ; რომ თვითონ საქართველოშიც იციან, ნატოში შესვლა იოლი არ არის და მოთმინებით ელოდება იმ დროს, როდესაც ეს შესაძლებელი გახდებაო. აქ საუბარია, რა განწყობას, რა დამოკიდებულებას გამოხატავ საქართველოსთვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნის მიმართ. ეს განცხადება იყო კაპიტულანტური, რუსეთისთვის მაამებლური და საქართველოს დამაზიანებელი“.

**«ევროკავშირიდან იმპორტს მიახლოებითაც კი ვერ აბალანსებს საქართველოდან ექსპორტი, რაც ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, ბიუჯეტი განიცდის დანაკარგს, ვინაიდან ვერ იღებს შემოსავალს, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკასაც არანაირი სარგებელი არ აქვს, ვინაიდან ექსპორტის მოცულობა ძალიან მცირეა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნისთვის ორმაგად წამგებიანი მდგომარეობაა. ამდენად, გადაუდებელი და აუცილებელია, საქართველომ ევროკავშირს მოსთხოვოს ევროკავშირის მხრიდან ასოცირების დროებით ამოქმედებაში მყოფი ნაწილის ცალმხრივად, დროებით შეჩერება წლის ბოლომდე, როგორც ეს ევროკავშირმა გააკეთა უკრაინის მიმართ»**

ერთი სიტყვით, საფრანგეთის პრეზიდენტიც და ევროკომისრებიც კაპიტულაციას აცხადებენ რუსეთის წინაშე და „მაამებლურ“ განცხადებებს აკეთებენ, თუმცა ყურადღება მივაქციოთ ერთ აქცენტს — **ყველამ ყველაფერი კარგად იცის, ნატოსა და ევროკავშირში შესვლა „არ გვემუქრება“, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არ უნდა თქვა, თორემ კრემლის პროპაგანდის იარაღად გამოგაცხადებენ!**

ცუდია, როცა სახელმწიფოებრივი აზროვნება სოფლის ორღობეში ჭორაობის დონეზეა, მაგრამ კიდევ უფრო უარესი, როცა საქმე გლეხის დასაცინად გაგიხდება. სოციალურ ქსელში **გოგი აბსავამ** ასეთი პოსტი გამოაქვეყნა:

**„გლეხის ფიქრები**

**— რუსულად გითხრეს, ვერ გაიგეთ;**

**გერმანულად გითხრეს, ვერ გაიგეთ;**

**ინგლისურად გითხრეს, ვერ გაიგეთ;**

**ფრანგულად გეუბნებით და ვერ იგებთ...**

**ეტყობა, არ იცით ეს ენები და მეგრულად გეტყვით: „ნატოშ მიშულა**

**ვარია წიე!“...**

ერთი სიტყვით, **ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ კვლავ უნდა ვიძახოთ, რომ დღეს თუ არა, ხვალ ნატოშიც მიგვიღებენ და ევროკავშირშიც! ამას ოლანდს, ჰარისა და მოგერინის ვერ ათქმევინებენ, მაგრამ ქართულ მედიას პირდაპირ მიუთითებენ, — როგორც ჩვენ გეტყვით, ისე წერეთ და ილაპარაკეთ ეთერში, თორემ კრემლის პროპაგანდისტებს დაგარქმევთო!**

როგორც ჩანს, ეს გამოსდით კიდეც, რადგან **ერთ-ერთმა სააგენტომ 25 თებერვალს ევროკავშირის საკითხთა აღიარებული ექსპერტის — ლევან ბოძაშვილისა და ეკონომიკის ექსპერტის — ნოდარ კაპანაძის წერილი გამოაქვეყნა, რომელიც რამდენიმე დღეში ინტერნეტიდან სასწაულებრივად გაქრა. თუ რატომ, სათაურიდან მიხვდებით — „საქართველოს მთავრობამ ევროკავშირს სავაჭრო ნაწილის ცალმხრივად შეჩერება უნდა მოსთხოვოს“.**

ავტორები მიუთითებენ, რომ არსებულ **ფისკალურ კრიზისზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ასოცირების შეთანხმების სავაჭრო ნაწილით გამოწვეული ვალდებულებები. კერძოდ, 1 სექტემბრიდან დროებითი გამოყენებით მოქმედებს შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ნაწილი (1 სექტემბრიდან, რადგან საქართველოს მხრიდან მისი რატიფიცირებიდან მეორე თვის პირველ დღეს უნდა მომხდარიყო ეს, რატიფიცირება კი მოხდა 18 ივლისს), რაც გულისხმობს ევროპიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო ტარიფის მოხსნას. ეს კი ბიუჯეტისთვის მხოლოდ ავტოტრანსპორტზე შეადგენს წლიურად 10 მილიონ ლარამდე დანაკარგს.** ეს მთლიანი დანაკარგის მცირე ნაწილია, ვინაიდან ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში მხოლოდ ავტოტრანსპორტის იმპორტი არ ხდება. არსებული კრიზისის ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობა ცდილობს, აიღოს დამატებითი სესხი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან, არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება სავალუტო ფონდი თუ აზიის განვითარების ბანკი ან სხვა, ის აუცილებლად უნდა ეცადოს, რომ ბიუჯეტს შემოსავლების ნაწილში არ ჰქონდეს ისეთი დანაკარგები, რომელთა მიღება შესაძლებელია.

მეც და სხვა ექსპერტებიც ჯერ კიდევ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე ვწერდით, რომ გადაჭარბებული მოლოდინი იქმნება, რადგან საქართველოდან ევროპაში ექსპორტი მიზერულია, ხოლო ასოცირების შეთანხმებით ევროკავშირიდან იმპორტირებული საქონელი საბაჟო გადასახადისგან მთლიანად თავისუფლდება. ახლა ამაზე უკვე ბოძაშვილი და კაპანაძე წერენ: **„ევროკავშირიდან იმპორტს მიახლოებითაც კი ვერ აბალანსებს საქართველოდან ექსპორტი, რაც ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, ბიუჯეტი განიცდის დანაკარგს, ვინაიდან ვერ იღებს შემოსავალს, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკასაც არანაირი სარგებელი არ აქვს, ვინაიდან ექსპორტის მოცულობა ძალიან მცირეა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნისთვის ორმაგად წამგებიანი მდგომარეობაა. ამდენად, გადაუდებელი და აუცილებელია, საქართველომ ევროკავშირს მოსთხოვოს ევროკავშირის მხრიდან ასოცირების დროებით ამოქმედებაში მყოფი ნაწილის ცალმხრივად, დროებით შეჩერება წლის ბოლომდე, როგორც ეს ევროკავშირმა გააკეთა უკრაინის მიმართ“.**

ახლა ხომ გასაგებია, რატომ გაქრა ორი ავტორიტეტული ექსპერტის ეს წერილი ინტერნეტსივრციდან?

ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ **დაზეპირებულ საგარეო-პოლიტიკურ რიტორიკას ქვეყნის რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ეწირება და, რაც მთავარია, ვიღაცას დიდი საშლელი უჭირავს ხელში და ცდილობს, საინფორმაციო სივრცე მისთვის მიუღებელი სიმართლისგან გაათავისუფლოს.**

ვულოცავ პოლიტიკოს ქალბატონებს 8 მარტს და იმედს გამოვთქვამ, რომ ეს ტაქტიკა მაინც მამაკაცების მოფიქრებულია, თანაც, არცთუ ჭკვიანი და წინდახედული მამაკაცებისა!

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვისი ბრალია, ასე რომ მოფერიანდნენ და შეტევაზე გადმოდიან ეს მამაძაღლები? კი, ამერიკელების ბრალიცაა, მაგრამ ძირითადად — თქვენი! მაგათთვის 2012 წლის ოქტომბრის ბოლომდე უნდა მოგევლოთ, ახლა კი არა! თვალებში იმის იმედით შესციცინებთ, რომ დაგინდობენ? არ დაგინდობენ — ამას მათი მმართველობის 9 წლის განმავლობაში ვერ მიხვდით თუ მრავალათასიანმა ხელფასებმა და პრემიებმა ასე მოგბადუნათ?**

# ხუთი ტანკისტი და ერთი მამაძაღლი

**ვაშინგტონი ბალტიის რეგიონში ნატოს კონტინგენტს აძლიერებს: უკვე განაცხადეს, რომ 3 ათას ამერიკელ სამხედროს გადასხამენ. სინამდვილეში იქ 90-დღიანი სამხედრო სწავლებები უნდა ჩატარდეს. ოპერაციას Atlantic Resolve ეწოდება, რაც „ატლანტიკურ მზადყოფნას" უნდა ნიშნავდეს. ამ ოპერაციის ფარგლებში ლატვიაში დაახლოებით 120 ერთეული სამხედრო ტექნიკა ჩაიტანეს.**

აშშ-ის არმიის გენერალ-მაიორმა ჯონ რ. ო'კონორმა განაცხადა, რომ ოპერაციის მიზანია „პუტინისა და რუსეთისთვის ჩვენი კოლექტიური მზადყოფნის დემონსტრირება". კი მაგრამ, **ეს ის ნატო არ არის, რომელიც დღენიადაგ არწმუნებდა პუტინს, რუსეთს და დანარჩენ მსოფლიოს, რომ საფრთხეს არ წარმოადგენს მათთვის? მისტერ ო'კონორ, ამას რად უნდა დემონსტრირება, ეგ რუსეთმაც, დიდი ხანია, იცის და ყველა იმ ქვეყანამაც, რომელშიც „დემოკრატიის შესატანად" იარაღით შეცვივდით და ქვა ქვაზე არ დატოვეთ!**

თუმცა ყველაზე საინტერესო აქ ის არის, რომ ამ 120 ერთეულიდან მხოლოდ ხუთია ტანკი „აბრამსი", ისიც მხოლოდ ლატვიას ერგო. ძირითადად კი ჯავშანმანქანები, უბრალოდ მანქანები, ვერტმფრენები და, რაც მთავარია, ამერიკელი სამხედროებისთვის „შესაფერისი" საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაა გათვალისწინებული. **ხომ საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ამერიკელები, თუ 15 სახეობის ნაყინი არ აქვთ (ანანასებზე რომ არაფერი ვთქვათ), ისე ვერ ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას ავღანეთსა და ერაყში!**

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ამერიკის სამხედრო ძალების ყოფნა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ტერიტორიაზე პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ სამი ქვეყნის კონსტიტუციას, თუმცა რა ბედენაა კონსტიტუცია, როცა ეს სამი ქვეყანა სხვისი იმედით „ექაჩება" რუსეთს? თანაც, **სასაცილოა ის, რომ ამერიკელი სამხედროების კომფორტზე მილიონებს სწორედ ამ სამი ქვეყნის ბიუჯეტი ხარჯავს.**

მაგალითად, **მხოლოდ ერთ პოლიგონზე (ლატვია, ადაჟი) ყაზარმების კომპლექსი 4 მილიონი ევრო ჯდება. ესტონეთი 40 მილიონ ევროს დახარჯავს ამერიკელი სამხედროების ყოფითი და ტექნიკური პირობებისთვის. სამივე ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი კი რეკორდულ რიცხვზე ავიდა — 1,2 მილიარდი ევრო.**

**ხომ არაფერი გაგახსენდათ? —ასევე, გაზარდა სამხედრო ბიუჯეტი 2008 წლის ავანტიურის წინ სააკაშვილმა და შემდეგ მთელი შეიარაღება რუსეთის არმიას დაუტოვა! როგორც ჩანს, დასავლეთში ახლაც ბევრი შტირლიცია და 7 წლის შემდეგ რუსეთისთვის გადასაცემად ახალ, თანამედროვე იარაღს ისევ ამზადებენ!**

ხუთი ტანკი მაინც ნამეტანია! — ორი ღამეა, არ ძინავს რუსეთის გენშტაბს ამ ხუთი ტანკის შიშით! არ დაგავიწყდეთ, დონბასში ადგილობრივებმა პოსტამენტებიდან მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ტანკები ჩამოიღეს, შეაკეთეს და უკრაინის ეროვნულ გვარდიას კუდით ქვა ასროლინეს!

შეგახსენებთ, **2008 წლის აგვისტოს ომის დროს ორიოდე დღეში საქართველომ, მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამხედრო ძალის გარდა, შემდეგი დანაკარგი განიცადა: განადგურდა არანაკლებ ათი ტანკი ტ-72, სამი სატრანსპორტო თვითმფრინავი ან-2 და ოთხი ვეტმფრენი (სამი მი-24 და მი-14ბტ), დაინგრა საქართველოს მთელი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა. რუსული ჯარების და ოსი ბოევიკების ხელში აღმოჩნდა 65 ქართული ტანკი, 20-ზე მეტი ჯავაშანტრანსპორტიორი, „კობრას" ტიპის ორი ჯავშანმანქანა, 10-მდე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის დანადგარი, რამდენიმე ათეული ტყვიამფრქვევი და საარტილერიო დანადგარი.**

ესენი კიდევ — ხუთი ტანკიო!

**ერთი ქართული ფილმის არ იყოს, ხუთ ტანკს მეტი ძალა აქვს თუ სამი ათასს? არადა, საქართველოს „მთავარსარდალი" სააკაშვილი რუსეთიდან სწორედ ამ რაოდენობის ტანკების შემოსვლაში გვარწმუნებდა! სიტყვამ მოიტანა და, განთქმული პოლონური ტელესერიალის „ოთხი ტანკისტისა და ძაღლის" ერთ-ერთი გმირი გვარად სწორედ სააკაშვილია! „ომამდე ტანკისტი" იყო სააკაშვილი, მაგრამ ომის და, განსაკუთრებით — არჩევნების წაგების შემდეგ ერთი ჩვეულებრივი მამაძაღლია, უბრალოდ, პატრონებში გაუმართლა — ამერიკელების მამაძაღლია!**




**განთქმული პოლონური ტელესერიალის — «ოთხი ტანკისტისა და ძაღლის» ერთ-ერთი გმირი გვარად სწორედ სააკაშვილია! «ომამდე ტანკისტი» იყო სააკაშვილი, მაგრამ ომის და, განსაკუთრებით — არჩევნების წაგების შემდეგ ერთი ჩვეულებრივი მამაძაღლია, უბრალოდ, პატრონებში გაუმართლა — ამერიკელების მამაძაღლია!**

მამაძაღლი ახლა უკრაინას აიარაღებს და, რადგან რუსეთის საზღვრების გარშემო ტანკების მობილიზაციას ნატოს ბიუჯეტი არ ეყოფა, არ გაგიკვირდეთ, რომ უახლოეს დღეებში ის ხუთი „აბრამსი" საჩვენებლად უკრაინაში გადაასროლინოს და ლენტის გაჭრის ცერემონიაც ჩაატაროს! ჯერაც არ უქნია? **არ-არსებული საწარმოები არ გაუხსნია ორჯერ და სამჯერ?! 100 საავადმყოფო არ აუშენებია თუ ომი არ მოუგია 2008-ში?!**

ტანკისტი არა, მაგრამ სააკაშვილის „კურორტებგამოვლილი" პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი თბილისში „მაიდნის" პროცესებს აანონსებს: „საქართველოში უკრაინიდან სნაიპერებმა ჩამოსვლა უკვე დაიწყეს, რომელთაც შესაბამისი დავალებები, კონკრეტული პირების ლიკვიდაციის ჩათვლით, გააჩნიათ! ვანო მერაბიშვილისდროინდელი 4 სპეცრაზმელი მისიის შესრულების მოლოდინში უკვე თბილისში იმყოფება. მირიან გოჩაძე, გია ცერცვაძე, გიგა რობაქიძე, გოგა კახნიაშვილი მერაბიშვილის დროინდელი თანამშრომლები არიან, რომლებიც უკანონო ბრძანებებს ასრულებენ, უკრაინაში „მაიდნის" დაწყებიდან იმყოფებიან და პროცესში მონაწილეობენ".

**ე, ბიჭო, რა ქნას მეტი პოლკოვნიკმა — გვარებითა და სახელებით მიუთითებს, რუსთაველზე ვინ უნდა დახვრიტოს ადამიანები! ახლა, „საკრალურ მსხვერპლად" ვის შეარჩევენ „ნაციონალები", ეს უკვე თქვენი გასარკვევია და ახლა მაინც დაიჭირეთ — ციხეში უფრო დაცულები იქნებიან სნაიპერის ტყვიისგან! თან ხალხიც გაიხარებს, თორემ, სხვაგვარად არავის დამჭერები რომ არ ხართ, ეს კი გავიგეთ უკვე!**

აი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილს** კი ჰგონია, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ამას ვერ გაბედავს: „ეს ინფორმაცია, რამდენადაც ვიცი, შესაბამისმა სამსახურებმა უკვე იციან. გარდა ამისა, ქვეყნის უშიშროება ყველა მიმართულებით მუშაობს, ნებისმიერ ინფორმაციას, მედიით იქნება ეს გავრცელებული თუ სხვა საშუალებებით, გულდასმით ამოწმებს და ყველანაირი შესაძლო საფრთხის პრევენციას ახდენს. ვიდრე „ნაციონალები" 21 მარტის აქციას დააანონსებდნენ, უშიშროება უკვე მუშაობდა ამ აქციის უსაფრთხოდ გამართვისთვის, აქციაზე ხალხის უსაფრთხოების ყველა მიმართულებით. ნუ გეშინიათ, ყველაფერი კონტროლდება. მინდა ჩვენი მოქალაქეები დავამშვიდო, არაფერი განსაკუთრებული 21 მარტის აქციაზე არ მოხდება, „ნაციონალები" ვერ გაბედავენ პროვოკაციების მოწყობას და, თუ გაბედავენ, სათანადო პასუხსაც მიიღებენ კანონის ფარგლებში".

კიდევ კარგი, ეს მაინც დააყოლა — „და თუ გაბედავენ"... **დიახ, ბატონო ირაკლი, გაბედავენ, გაბედავენ და შეიძლება თქვენს სეხნია ალასანიასთან ერთადაც კი გაბედონ!**

ჯერაც არ გაუბედავთ თუ როგორაა თქვენი საქმე?

**ვისი ბრალია, ასე რომ მოფერიანდნენ და შეტევაზე გადმოდიან ეს მამაძაღლები? კი, ამერიკელების ბრალიცაა, მაგრამ ძირითადად – თქვენი! მაგათთვის 2012 წლის ოქტომბრის ბოლომდე უნდა მოგევლოთ, ახლა კი არა! თვალებში იმის იმედით შესციცინებთ, რომ დაგინდობენ? არ დაგინდობენ — ამას მათი მმართველობის 9 წლის განმავლობაში ვერ მიხვდით თუ მრავალათასიანმა ხელფასებმა და პრემიებმა ასე მოგბადუნათ?**

*თქვენი ბრალია, ნაციონალების „მოკლე კატო" ნეპოტიზმზე და გაზრდილ ხელფასებზე რომ ბედავს ლაპარაკს, როცა მიშას დროს არ დაუტოვებია სახელმწიფო სამსახური, სადაც ხელფასი არ აეღო!

***თქვენი ბრალია, ქოსა ზურაბა სხაპასხუპით რომ გდებთ მიწაში და თქვენ კი კარგი მოპასუხეც ვერ მიგიჩენიათ მისთვის!**

*თქვენი ბრალია, დანა-ჩანგლით „მეომარი" ბაქრაძე სახელმწიფო ინტერესებზე „კონსტრუქციულად" მოლაპარაკედ რომ გიზით პარლამენტში!

***თქვენი ბრალია, რომ პრეზიდენტი „თავისუფალ დემოკრატებს" უსრულებს მოთხოვნებს და თქვენ თავის მართლება გიწევთ!**

*თქვენი ბრალია, რომ ვიდრე იური ვაზაგაშვილი არ ააფეთქეს შვილის საფლავზე, ხელი არ გაანძრიეთ და ახლაც ძილს ხართ მიცემული!

***თქვენი ბრალია, რომ მელასავით საკუთარი მახრჩობელა გიყვართ და ჩვენ ამ საცოდაობას გვაყურებინებთ!**

*დიახ, ყველაფერი თქვენი ბრალია და იქნება, ვიდრე ეს წურბელები პარლამენტში სხედან და ქუჩის აქციებით გაშანტაჟებენ!

***არც რიგგარეშე არჩევნები გიშველით, თუ მამაძაღლ სეთურთან ერთად საკუთარ რიგებში მოსასპობ თაბაგარს არ იპოვით და ერთმანეთთან კინკლაობას არ მოეშვებით!**

**მამაძაღლებს მიხედეთ, თორემ ხუთ ტანკისტს ჯერ არც ერთი ქვეყნისთვის არ უშველია, საკუთარის გარდა, და არც თქვენთვის მოიკლავენ თავს — საკუთარ მამაძაღლს ინახავენ და უფრთხილდებიან — რა იცი, იქნებ მოაბრუნონ კიდეც ხელისუფლებაში!**

**თამარ დავითულიანი**



## ლიაშკო კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია

**უკრაინის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, რადიკალური პარტიის ლიდერი ოლეგ ლიაშკო მორიგ უსიამოვნო სკანდალში გაეხვია.** ოლეგ ლიაშკო უმაღლესი რადის სხდომაზე სმარტფონში შიშველი მამაკაცების სურათებს ათვალიერებდა. პარლამენტის ფოტოგრაფმა დეპუტატს ზურგიდან გადაუღო ფოტო. მსგავს სიტუაციაში ლიაშკო რამდენიმე წლის წინათაც აღმოჩნდა. ის ინტერნეტში გავრცელებულ სკანდალურ ჩანაწერში აღიარებდა, რომ ჰომოსექსუალია. მოგვიანებით კი განაცხადა, რომ ჩანაწერი იმიტირებული იყო.



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნებისმიერ დღეს, საღამოს საათებში, ან თუნდაც ახლავე გადართეთ „რუსთავი 2“-ზე და დაელოდეთ სარეკლამო ბლოკს. მერე ჩამოწერეთ ფურცელზე იმ ორგანიზაციების სახელწოდებები, რომელთა რეკლამებიც იხილეთ და გაიხსენეთ, მათგან 70 პროცენტის მეპატრონე-მეწილე ან დირექტორი რა დღეში ჰყავდათ „ნაცებს“ ჩაგდებული!**

# ჩაქცეული დაქცეულები, ანუ «რუსთავი 2»-ის სინდრომი ქართულ ბიზნესსა და პოლიტიკაში

**სტოკჰოლმის სინდრომის შესახებ, სავარაუდოდ, ყველას გვსმენია; ვისაც არა, გეტყვით: გასულ საუკუნეში, ქალაქ სტოკჰოლმში ტერორისტული აქტის დროს მოხდა ისე, რომ მძევლად აყვანილი ადამიანები განიცდიდნენ გარკვეულ თანაგრძნობას ტერორისტების მიმართ. ამის შემდეგ, ყველა მსგავსი შემთხვევა, როდესაც ჩაგრულს უყვარდება თავისი მჩაგვრელი, სპეციალისტების მიერ „სტოკჰოლმის სინდრომად“ მოიხსენიება ხოლმე.**



აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია, დავარქვათ „რუსთავი 2“-ის სინდრომი იმ უცნაურ მოვლენას, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში თვალშისაცემია. **ვგულისხმობ „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში დაჩაგრული ქართველი ბიზნესმენების მიერ იმ ტელეკომპანიისთვის უამრავი თანხების გადახდას, რომელი ტელეკომპანიაც მათ ჩაგვრას უნამუსოდ ამართლებდა.**

„ჩვენ ვითხოვთ ჩვენი შელახული ღირსების აღდგენას, ჩვენთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაზე მეტად, სწორედ ეს საკითხი გვაღელვებს. ჩვენ გვინდა, იცოდეს ჩვენმა შთამომავლობამ, რომ არაფერი დაგვიშავებია ქვეყნის წინაშე და მხოლოდ ჩვენთვის მილიონების წართმევა იყო რეალური მიზანი. ამიტომ გვიყენებდნენ სხვადასხვა აბსურდულ ბრალდებებს, გვაპატიმრებდნენ და ფულს გვძალავდნენ!“ — ასეთი ტექსტი, ალბათ, არაერთხელ მოუსმენია სხვადასხვა სატელევიზიო თოქშოუში ჩვენს მკითხველს...

ასეთი ფრაზების ავტორი სწორედ „ნაციონალური“ რეჟიმის მიერ დაჩაგრული, დაპატიმრებული, შეურაცხყოფილი და დაქცეული რომელიმე ბიზნესმენია ხოლმე...

რა თქმა უნდა, გულიც აგიჩუყდება კაცს და ცდილობ კიდეც, წარმოიდგინო, რა მძიმეა საკუთარი შრომით, ოფლით, დავიდარაბით მოპოვებულ, მრავალი წლის განმავლობაში ნალოლიავებ ქონებას რომ ერთ დღეში „აახევენ“ სრულიად უდანაშაულო ადამიანს.

კი, ბატონო, მძიმე განცდაა...

მაგრამ დამეთანხმეთ, **არანაკლებ მძიმე განცდაა ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, როდესაც ერთ სატელევიზო არხზე ამ სულის სშემძვრელ სიტყვებს ისმენ და, თუ ამ მომენტში გადართავ „რუსთავი 2“-ზე, სწორედ იმ ადამიანთა კუთვნილი ორგანიზაციების რეკლამის ნიაღვარი დაგხვდება, რომელი ადამიანებიც „ნაციონალებისაგან“ ჩაგვრის გამო გვიჩუყებდნენ გულს.**

ახლა 2000-ანი წლების დასაწყისი რომ იყოს, როდესაც ფართო მასებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რას წარმოადგენდა სინამდვილეში „რუსთავი 2“ და ბევრს მართლაც „ხალხის ტელევიზია“ ეგონა, კიდევ არაფერს ვიტყოდი!

მაგრამ **იმ ავადსახსენებელი 9 წლის განმავლობაში და, განსაკუთრებით — ბოლო 2 წელიწადში ხომ ოდნავი ეჭვიც აღარავის დარჩა, რომ ეს ტელევიზია სინამდვილეში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ და ულტრაუნამუსო ადამიანებით დაკომპლექტებულ პროპაგანდისტულ დეპარტამენტს წარმოადგენს?!**

თუკი ამ ორიოდე წლის წინათ ჯერ კიდევ გაფართხალდებოდნენ ხოლმე ამ ტელევიზიის ჟურნალისტები, როცა მათ ვინმე ეტყოდა, — „ნაციონალების“ ჯიბის ტელევიზია ხართო! და ზრდილობის გამო მაინც გამოხატავდნენ მცირე პროტესტს, დღეს ანალოგიურ ბრალდებას სრულიად მშვიდად ისმენენ პირდაპირ ეთერშიც და, არათუ პროტესტის, უარყოფის ნიშნად თავის უბრალო გაქნევ-გამოქნევის სურვილიც კი აღარ აქვთ.

ზუსტად ასევე არიან „ნაციონალი“ პოლიტიკოსები: **თუკი ორიოდე წლის წინათ ჯერ კიდევ მონდომებით უარყოფდნენ „რუსთავი 2“-თან პირდაპირ კავშირსა და მათი შტაბიდან ამ ტელევიზიის პირდაპირ მართვას, დღეს უკვე ლამის კახეთის გზატკეცილზე გადაიტანონ ტელევიზიის ოფისიც და იქიდან განაგრძონ მაუწყებლობა...**

ასე რომ, **ჩვენი პუბლიკაციის „გმირ“ ბიზნესმენებს ვერავინ გაამართლებს იმით, რომ თითქოს არ იციან, რას წარმოადგენს ეს ტელევიზია და მხოლოდ რეიტინგის გამო, წმინდა მარკეტინგული გათვლებით დებენ იქ ათასლარიან რეკლამებს!**

არა, რა თქმა უნდა, არც ვაპირებ იმის მტკიცებას, თითქოს „რუსთავი 2“-ს სინამდვილეში რეიტინგი არ აქვს. არც იმ უაზრო მცდელობას ვეთანხმები, ამას წინათ „ჯი-დი-ეს“-მა რომ გაიფართხალა და „რუსთავი 2“-ის ბევრმაყურებლიანობა „გაყალბებულ რეიტინგებს“ დააბრალა!

სულაც არა! **ვაღიარებ, რომ ყველა დანარჩენი ტელევიზია გაცილებით ჩამორჩება „რუსთავი 2“-ს, რომელიც, სამწუხაროდ, ნაგავია, ანუ სხვა ტელევიზიები ნაგავზე უარესები არიან...**

მაგრამ ამ სტატიის მიზანი არ არის ქართული ტელეარხების ავკარგიანობის განხილვა და შეფასება. რაც უნდა იყოს, **როგორც უნდა იყოს, სულაც „სი-ენ-ენი“ და „ბი-ბი-სი“-ც რომ იყოს, განა ნორმალურია, რომ ადამიანმა რამდენიმე ათეული და, ალბათ, რამდენიმე ასეული ათასი ლარიც კი შეჰმატოს იმ ტელევიზიას, რომელიც სულ რაღაც 2-ოდე წლის წინათ ამავე ადამიანის დაპატიმრებას, მისთვის ქონების ჩამორთმევას და მისი ოჯახის დაწიოკებას „კანონიერების ზეიმად“ ასაღებდა, ხოლო თვითონ ამ ადამიანს პრეზუმფციისა და ყოველგვარი ზნეობრივი ნორმების დარღვევით პირდაპირ უწოდებდა „ბიუჯეტისთვის თანხების დამმალავს“, „არაპატიოსან საქმოსანს“, „კანონდამრღვევ ბიზნესმენს“?**

ერთიც არის — ყველას აქვს არჩევანის უფლება და ვინმემ შეიძლება ისიც თქვას, უნდა ამ კაცს და აძლევს ფულს თავისივე მჩაგვრელებს, ეგ ვისი რა საქმეაო?!

კი, ბატონო, მაგრამ მაშინ **ჩაქცეულთა ეს საჯარო წუწუნი — „არიქა, დაგვაქციეს „ნაციონალებმა“ და ახლა ახალმა მთავრობამ მოგვხედოს, ჩვენი შელახული ღირსება დაიცვას და ხელისგულზე გვატაროსო“ — რაღა არის მაშინ? თუკი „ნაციონალებს“ კვლავაც აფინანსებენ „რუსთავი 2“-ისთვის ფულის გადარიცხვის გზით, მაშინ ჩუმად მაინც იყვნენ და ნურაფერს ითხოვენ!**

მინდა, ვინმემ ჰკითხოს ამ ხალხს: **ნუთუ არ იცით, სად მიდის და რისთვის იხარჯება ის ფული, რომელიც თქვენგან „რუსთავი 2“-ში შედის? არ დაიწყოთ, ძალიან გთხოვთ „მარკეტინგული გამართლებები“ და რეიტინგზე „რიჟა ბაზარი“! თუკი თვითონვე ცვლით საკუთარ ღირსებას „მარკეტინგსა და რეიტინგში“, მაშ, რაღას თხოვთ ხელისუფლებას?**

ღირსება — ეს ისეთი რამეა, რაც რეალურად უნდა გაგაჩნდეთ, რომ მერე დაიცვათ, ბატონებო!

**„დღესაც თავის ადგილებზე სხედან იგივე პროკურორები, რომლებიც უკანონოდ „აპრავებდნენ“ ჩვენთვის ქონების წართმევას. ეს დაუშვებელია!“** — ეს ფრაზაც ერთ-ერთი თქვენგანის გულმხურვალე მოწოდებაა მთავრობისადმი, რომელიც ჩემი ყურით მოვისმინე ერთ-ერთ თოქშოუში...

კი, მაგრამ, ბატონებო, ნუთუ არ იცით, რომ „რუსთავი 2“-ში დღესაც მუშაობენ ის ჟურნალისტები, პროდიუსერები და სცენარისტები, რომლებიც თქვენთვის ქონების წამრთმევების საქციელს „აპრავებდნენ“?!

ეს ტელევიზია დღესაც „აპრავებს“ იმ პროკურორების პროკურატურაში ყოფნას და, თუკი რომელიმე მათგანს იქიდან გაუშვებენ, განგაშს ტეხს — „არიქა, პოლიტიკური დევნა დაიწყოო!“

გამოდის, თქვენი ლოგიკა ასეთია: ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს „ომი „ნაცების“ წინააღმდეგ“ თქვენი ღირსების აღსადგენად! ამით ის მამასისხლად გადაიკიდებს „რუსთავი 2“-ს. თქვენ კი იმავე „რუსთავი 2“-ში უნდა ჩადოთ მრავალი ათასის რეკლამა, რათა არ გაიფუჭოთ ურთიერთობა ამ მსხვილ მედიასაშუალებასთან, რადგან ეს თქვენთვის მარკეტინგულად წამგებიანი იქნება, ხო?

ანუ, **თქვენი „ღირსებისთვის“ სხვამ უნდა იბრძოლოს და თქვენ საკუთარი ღირსება სულ ფეხებზე უნდა გეკიდოთ, არა?**

უფრო მეტიც — უნდა აფინანსებდეთ იმას, ვინც თქვენი ღირსების დამცველს ებრძვის?

იცით, რას გეტყვით, ბატონებო?

საკუთარი ღირსების, ასევე სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლის მაგალითი ჯერ თქვენ უნდა დაგვანახვოთ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიმსახურებთ უფლებას, მთავრობასაც იგივე მოსთხოვოთ!

თუმცა რა ვთქვა?

ეგებ ფუჭიც იყოს ასეთი ზნეობრივი კრიტერიუმის შეხსენება იმისთვის, ვინც „პროფესიონალები“ უწოდა ადამიანებს, რომლებიც ბოლო წუთამდე რეჟიმთან თანამშრომლობდნენ და არც იმას მორიდებია, საკუთარი ოჯახის ტელევიზიაში დაესაქმებინა ისინი!

ხოლო ადამიანებს, რომლებმაც რეჟიმთან თანამშრომლობა, უბრალოდ, არ იკადრეს, „წარუმატებლის“ იარლიყი მიაკერა და, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის რისკის ფასად გვერდით ედგნენ რეჟიმის დამარცხებაში, გამოიყენა და უყურადღებოდ მიაგდო!

ასე რომ, **ჩანს, ეს „რუსთავი 2“-ის სინდრომი, როგორც ბიზნესმენებს, ასევე მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებსაც და მათ „მამამარჩენალსაც“ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი...**

**შენიშვნასავით:** როდესაც რედაქტორს ამ სტატიის თემაზე ვესაუბრებოდი, მოითხოვა, რამდენიმე კონკრეტული ბიზნესმენი და ფირმა მაინც დამესახელებინა.

არა მგონია, ეს დიდი პრობლემა იყოს, მაგრამ, „ერთი ცხვარი რომ დავასახელოთ, მეორეს ეწყინებას“ პრინციპით, თავი შევიკავე დასახელებისგან.

თუ მაინც გსურთ მეტი კონკრეტიკა, **ნებისმიერ დღეს, საღამოს საათებში, ან თუნდაც ახლავე გადართეთ „რუსთავი 2“-ზე და დაელოდეთ სარეკლამო ბლოკს. მერე ჩამოწერეთ ფურცელზე იმ ორგანიზაციების სახელწოდებები, რომელთა რეკლამებიც იხილეთ და გაიხსენეთ, მათგან 70 პროცენტის მეპატრონე-მეწილე ან დირექტორი რა დღეში ჰყავდათ „ნაცებს“ ჩაგდებული!**

თუ კარგად ვერ გაიხსენებთ, მაგასაც არა უშავს! ყურადღებით ადევნეთ თვალი სხვადასხვა ტელევიზიის თოქშოუებს და უახლოეს დღეებში უეჭველად მოჰკრავთ თვალს ეკრანზე მოწუწუნეს — აი, ასე და ასე დამაქციეს „ნაციონალებმაო“!

ამბავი

## 15 წლის განმავლობაში წყალდიდობით დაზარალებულთა რაოდენობა სამჯერ გაიზრდება

**მომდევნო 15 წლის განმავლობაში წყალდიდობის შედეგად დაზარალებულთა რაოდენობა სამჯერ გაიზრდება, — იუწყება „ბი-ბი-სი“ ანალიტიკოსების პროგნოზებზე დაყრდნობით.** მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის მიხედვით, წყალდიდობის გახშირებას კლიმატური ცვლილებები, ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის ზრდა გამოიწვევს. ანალიტიკოსების მიერ გაკეთებული კვლევის მიხედვით, 15 წელიწადში 50 მილიონზე მეტი ადამიანი გახდება წყალდიდობის შედეგად დაზარალებული. ამას გარდა, სტიქიამ, შესაძლოა, მსოფლიო ეკონომიკას 340 მილიარდი ფუნტის ზარალი მიაყენოს. ეს პროგნოზები უნდა გახდეს ქვეყნების მთავრობებისთვის ერთგვარი ინსტრუქცია, რათა მათ თავდაცვითი სტრატეგიები შეიმუშავონ.



ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველი საზოგადოება, რომელიც ტელევიზორის ეკრანთან არის მიჯაჭვული და, სავარაუდოდ, არც ერთ სამთავრობო სხდომას არ ტოვებს უყურადღებოდ, ვერ გაიხსენებს, რომ ოდესმე საქართველოს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს პაატა ზაქარეიშვილსთვის ეკითხოს, — „რა ნაბიჯები იდგმება დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად?“**

# ბატონო პაატა, რა ნაბიჯები გადადგით დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად?

**2010 წლიდან IRI-ისა და NDI-ის კვლევებში დაკარგული ტერიტორიების პრობლემამ მეორე-მესამე ადგილებზე გადაინაცვლა, პირველ ადგილზე უმუშევრობის პრობლემა დადგა. „კვლევის მიხედვით, ყველაზე მთავარი პრობლემა, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, უმუშევრობაა. უმუშევრობას 72% — პრობლემად, 51% კი მთავარ პრობლემად ასახელებს. ტერიტორიების დაბრუნებას პრობლემად 36% მიიჩნევს, ხოლო 18% — მთავარ პრობლემად ასახელებს,“ — წერდა პრესა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში.**

„საქართველო და მსოფლიოსთვის” შარშან მიცემულ ინტერვიუში ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ შენიშნა:

„— როდესაც ისინი *(„ქართული ოცნება“, — რედ.)* ხელისუფლებაში მოვიდნენ, დაგვპირდნენ, რომ 2 წელიწადში მიაღწევდნენ მნიშვნელოვან პროგრესს. ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი? ალბათ, ეს 2 წელი საკრალური ვადაა, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის, ასევე ამჟამინდელი მთავრობისთვისაც. ყველანი გვპირდებოდნენ და გვპირდებიან აფხაზეთის საკითხის 2 წელიწადში გადაწყვეტას. როგორც ჩანს, ამერიკულ პიარინსტრუქციაში უწერიათ: „დავპირდეთ, რომ 2 წელიწადში აფხაზეთს დავიბრუნებთ“. ინსტრუქცია შესაცვლელია. არ შეიძლება, 20 წლის განმავლობაში ერთი და იგივე იძახო“.

მართლაც, ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩატარებულ ყველა არჩევნებზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი საარჩევნო დაპირებების მთავარი კომპონენტი იყო. მიუხედავად ამისა, პრობლემის გადასაჭრელად არათუ წინ გადადგმულა ნაბიჯი, არამედ უფრო დავშორდით მიზანს — ტერიტორიების დაბრუნებას.

განსაკუთრებით დიდი იყო მოლოდინი „ვარდების რევოლუციის“ მომხრეთა დაპირებების მიმართ — კომპაქტურად მცხოვრებმა დევნილებმა ომის შემდეგ შეძენილ მეზობლებთან ერთად სამახსოვრო ფოტოებიც კი გადაიღეს. შემდეგ იყო 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა, მეორედ გაპრეზიდენტების შემთხვევაში, დევნილებს აფხაზეთში გამოზამთრების გარანტია მისცა: **„გაძლევთ სიტყვას, შემდეგი ზამთარი ჩვენ, ყველანი, ვიქნებით უფრო თბილი კლიმატის პირობებში, ჩვენ დავბრუნდებით სახლებში. მე ამის გარანტიას გაძლევთ და არაფერი არასოდეს არ მითქვამს ასე კონკრეტულად“.**

იმხანად სააკაშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა შედგომ პრეზიდენტობის კანდიდატი **დავით ბაქრაძე,** ხოლო პრეზიდენტის მოვალეობას უკვე მეორედ ასრულებდა მოგვიანებით პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი **ნინო ბურჯანაძე.**

ამის შედეგ სააკაშვილმა, როგორც სჩვეოდა, შექმნა ილუზია, რომ დღეს თუ არა ხვალ მართლა დაიბრუნებდა აფხაზეთს და გადაიღო კლიპი „გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“, რომელშიც თავისი ფავორიტი ტუჩებდაბერილი ქალები ამღერა, მოგვიანებით კედლებზე გაჩნდა წარწერა — „აფხაზეთი ჩემი ტკივილია!“ (ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში იყო წარწერა — „აფხაზეთი ჩემი სამშობლოა!“) ხალხიც ნელ-ნელა გონს მოეგო. ბევრი მიხვდა, რომ უახლოს მომავალში აფხაზეთში დაბრუნება ილუზია იყო... სააკაშვილმა აფხაზეთი ვერ დაიბრუნა, თუმცა, შესაძლოა, ეს გეგმა არც ჰქონდა.

დღეს ეს პრობლემა პრობლემად რჩება და ქართველი ერისთვის მტკივნეული მმართველი გუნდების პოლიტდემაგოგიაში კვლავ უმნიშვნელოვანესია...

**„მერწმუნეთ, 2-3 წელიწადში სულ სხვა საუბარი გვექნება ოსებთან და აფხაზებთან ამ საკითხზე. დინამიკა სახეზე იქნება. აღარ იქნება აგრესიული რიტორიკა, ერთმანეთის მიმართ ინტერესები უფრო გამოკვეთილი იქნება. ახალი პოლიტიკით, სიტუაციის შემობრუნებას 2-3 წელიწადში შევძლებთ“,** — განუცხადა ქართველ ხალხს იმხანად რეინტეგრაციის, ხოლო შემდგომში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხების ახალდანიშნულმა მინისტრმა **პაატა ზაქარეიშვილმა.**

ამ განცხადებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე, 2013 წლის ოქტომბერში, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა **გიორგი მარგველაშვილმა** წარმატებული ქვეყნის ერთად აშენება შესთავაზა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრებ თანამემამულეებს. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის გზაზე, მისი ხედვით, აუცილებელია ისეთი დემოკრატიული და მშვიდობიანი სახელმწიფოს შენება, რომელიც ნებისმიერი მოქალაქის კეთილდღეობის, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული იდენტურობის შენარჩუნებისა და პოლიტიკური უფლებების ხელშეუხებლობის გარანტი იქნება.

**„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ რუსეთთან ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული ურთიერთობების აღდგენისა და ნდობის ატმოსფეროს ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ, ამავე დროს, პრინციპულები ვართ — ამ გზაზე არ იქნება არავითარი დათმობა, რომელიც ჩრდილს მიაყენებს ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ჩვენს ღირსებას. ამ კომპლექსურმა ძალისხმევამ ხელი უნდა შეუწყოს დევნილებისა და ლტოლვილების უპირობო, უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას, გვქონდეს მათი უფლებების დაცვისა და თავისუფლებების განხორციელების მტკიცე გარანტიები“,** — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ორ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა და ნაბიჯი არ გადადგმულა დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. უფრო მეტიც — რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთთან, აგრეთვე, ცხინვალის რეგიონთან გააფორმა ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც, „თანამშრომლობის, ინტეგრაციისა და პარტნიორობის“ ძირითადი მიმართულებებია: **ურთიერთშეთანხმებული საგარეო პოლიტიკის განხორციელება; „საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების სივრცისა“ და „საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის“ შექმნა“.**

„საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის სივრცის“ შექმნა კი მოითხოვს „საერთო თავდაცვის ინფრასტრუქტურის“ ჩამოყალიბებას; „ძალების გაერთიანებული დაჯგუფების“ ფორმირებას „აგრესიის მოგერიების“ მიზნით და ერთობლივ ღონისძიებებს საზღვრის დასაცავად.

ამის საპასუხოდ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრმა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ საგანგაშო არაფერია და ასეთი 80-მდე ხელშეკრულება აქვს რუსეთს აფხაზეთთან გაფორმებული. მას სპეციალისტებმა ასე უპასუხეს: **„სახელმწიფო მინისტრის შეფასება წინააღმდეგობრივია, ვინაიდან ის, ჩვენი აზრით, სათანადოდ ვერ აფასებს ამ დოკუმენტის მასშტაბებსა და მისგან მომდინარე საფრთხეებს. „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ დოკუმენტის სახე და შინაარსობრივი მხარე ახალია. აქამდე გაფორმებული არც ერთი ხელშეკრულება აფხაზეთის თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საბაჟოს, ასევე, სოციალური სფეროების რუსეთის სამართლებრივ სივრცეში ინტეგრაციას არ შეეხებოდა.**



რამდენიმე თვის წინათ მცხეთა-მთიანეთის ყოფილმა გუბერნატორმა ვაჟა ხაჭაპურიძემ შეკითხვა დასვა: **„პრემიერმა ღარიბაშვილმა ნუთუ არასდროს უთხრა ზაქარეიშვილს, ერთხელ მაინც მოეყოლა, რა გააკეთა? ზღაპარი მოეყოლინებინა ან ეკითხა, — სიზმარი მაინც ხომ არ გინახავს დაკარგული ტერიტორიების შესახებო?“**

და მართალიც არის... **ქართველი საზოგადოება, რომელიც ტელევიზორის ეკრანთან არის მიჯაჭვული და, სავარაუდოდ, არც ერთ სამთავრობო სხდომას არ ტოვებს უყურადღებოდ, ვერ გაიხსენებს, რომ ოდესმე საქართველოს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს პაატა ზაქარეიშვილისთვის ეკითხოს — „რა ნაბიჯები იდგმება დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად?“**

რაც დრო გადის, დაკარგულ ტერიტორიებს უფრო და უფრო ვშორდებით, მაგრამ ამაზე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრს ასეთი პასუხი აქვს: **„2 წელი ისე გავიდა, რომ ერთი წვეთი სისხლი არ დაგვიღვრია, ერთი ადამიანი არ დაგვიკარგავს, ერთი დევნილი არ გვყავს, ერთი სოფელი და ერთი ქალაქი არ დაგვიკარგავს. თავისთავად ეს არის სერიოზული შედეგი. ვერც ერთმა ხელისუფალმა დამოუკიდებლობის პერიოდში — ვერც გამსახურდიას დროს, ვერც შევარდნაძის დროს, ვერც სააკაშვილის დროს, პირველ ორ წელიწადში ეს ვერ შეძლო“** (განცხადა ზაქარეშვილმა 2015 წლის 6 მარტს ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში).

„ნაცების“ ხელისუფლებასაც და „ოცნებასაც“ ზუსტად ერთი წლის წინათ აშშ-ის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** ცივი წყალი გადაასხა და განუცხადა: **„რაც შეეხება ქვეყნებს, რომლებსაც გამოხატული აქვთ ნატოში გაწევრების სურვილი, ყველა ასეთი ქვეყნის განაცხადი უნდა იყოს უარყოფილი, რადგანაც, ჩვენი აზრით, ნატო ამ ეტაპზე არ უნდა გაფართოვდეს“.** დაახლოებით ანალოგიური რამ განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა **ფრანსუა ოლანდმაც: „არც უკრაინა და არც საქართველო ამჟამად არ დგანან ნატოში გაწევრების გზაზე. არ ყოფილა და არც არის ნატოს დაუყოვნებელი გაფართოების გეგმა“.** ამის შემდეგ კი მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში — პაატა ზაქარეიშვილმა ასეთი განმარტება გააკეთა: „ნუ ვაკნინებთ საქართველოს სახელმწიფოს. ეს არის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი, როცა სახელმწიფოს პიროვნებას უყენებთ მტრად. მე არსად მითქვამს, რომ პუტინი არ არის მტერი. მე ვთქვი, რომ პიროვნება, ადამიანი, ვერ იქნება საქართველოს მტერი. მტერი არის რუსეთის სახელმწიფო.

**„ბატონო პაატა, ეს თქვენ აკნინებთ საქართველოს სახელმწიფოს, როდესაც აკაკუნებთ იმ კარზე, რომელიც, იცით, არასოდეს გაიღება. ამ კარის შესასვლელთან რიგში დგომით კი საქართველოს ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო გააჩინეთ. პუტინი ხან მტრად გეჩვენებათ და ხან — მოყვარედ, თუმცა ზუსტად იცით, სად დევს ჩვენი დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებელი გასაღები“,** — წერენ სოციალურ ქსელში შერიგების მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს.

ასე რომ, დაპირებები მოგიძველდათ, ბატონო მინისტრო, — ან შეცვალეთ ამერიკული პიარინსტრუქციები, ან ჩუმად მაინც იყავით, არ გსმენიათ — ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო?

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«ბატონო პაატა, ეს თქვენ აკნინებთ საქართველოს სახელმწიფოს, როდესაც აკაკუნებთ იმ კარზე, რომელიც, იცით, არასოდეს გაიღება. ამ კარის შესასვლელთან რიგში დგომით კი საქართველოს ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო გააჩინეთ. პუტინი ხან მტრად გეჩვენებათ და ხან — მოყვარედ, თუმცა, ზუსტად იცით, სად დევს ჩვენი დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებელი გასაღები»**

**დაპირებები მოგიძველდათ, ბატონო მინისტრო, — ან შეცვალეთ ამერიკული პიარინსტრუქციები, ან ჩუმად მაინც იყავით, არ გსმენიათ — ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო?**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მიმდინარეობს ერის დაბერების პროცესი, შრომისუნარიანი ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი გასულია ქვეყნიდან. შობადობის მხრივაც ცუდი მდგომარება გვაქვს. მართალია, დეკრეტული შვებულების გაზრდის, პატრიარქის ინიციატივის, უფასო მშობიარობისა და ყოველ მესამე შვილზე დაფინანსების დაწესებით შობადობამ ბოლო პერიოდში მოიმატა, მაგრამ მთლიანობაში ეს არაფერს ცვლის“.

# ზვიად ტომარაძე: საქართველოში, შესაძლოა, ხუთი არაბული სოფელი გაშენდეს

**ვინ ყიდის ქართულ მიწებს, რა საფრთხე იმალება ამ ყველაფრის მიღმა და დგას თუ არა ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე? — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ დემოგრაფიული განვითარების ფონდის ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძე ესაუბრება.**



— მცხეთის რაიონში ხუთი არაბული სოფლის გაშენების საშიშროება არსებობს. **ქანდის, წილკნის, მუხრანის, საგურამოსა და წეროვანის ტერიტორიაზე არაბებმა შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, დანიშნულება შეუცვალეს და ტერიტორიულ ერთეულებად დაყვეს.** აშკარაა, ეს მიწები შესყიდულია სახლების ასაშენებლად და შესაძლოა, მალე საქართველოში არაბული დასახლებები გაჩნდეს. მოსახლეობამ ჯერ არაფერი იცის, რადგან სახლების მშენებლობა დაწყებული არ არის. ერთ-ერთმა მფლობელმა კუთვნილ მიწის ნაკვეთს უკვე დიდი გალავანი შემოარტყა. **საყურადღებოა, რომ ამ მიწის ნაკვეთებს ეს არაბი ბიზნესმენები თანამემამულეებზე ყიდიან.**

საკმაოდ დიდი ფართობია გაყიდული. მაგალითად, **წილკანში გაყიდულია 70 ჰექტარი, რომელიც დანაწევრებულია 140 ერთეულად, მფლობელია საად ატია ჰუსეინ ჰუსეინი; ქანდაში გაყიდულია 56 ჰექტარი, დანაწევრებულია 95 ერთეულად, მისი მფლობელები არიან შპს „ზენიტჰ ფროფერთი“, ასევე ალერიზა ქალაი, სეიედ აბას ჰუსეინზადე სალათი და სხვ.; მუხრანში შესყიდულია 52 ჰექტარი, დანაწევრებულია 26 ერთეულად, მფლობელები არიან იუვალ მენახემ ბენერაფი, ფათემე ჯაჰედადფარი; წეროვანში გაყიდულია 18 ჰექტარი, დანაწევრებულია 53 ერთეულად, მისი მფლობელები არიან მოჰამად ამადა და აბდულამირ ალბინ აბუდ აბუდი; ასევე, საგურამოში გაყიდულია 7 ჰექტარი მიწის ნაკვეთი...**

ისევ სახელმწიფომ უნდა გამოისყიდოს ეს მიწები არაბებისგან, თუნდაც ორმაგ ფასად, სხვა გამოსავალს, უბრალოდ, ვერ ვხედავ. ერთადერთი გზა, ამ ყველაფერს რომ ეშველოს, არის ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონში — „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, რომელსაც **აუცილებელია, სამი მუხლი დაემატოს:**

**პირველი** — უცხოეთში ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საქართველოს მოქალაქეს, უცხოელ ფიზიკურ პირს უნდა შეეზღუდოს 1 ჰექტარი და ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწების კატეგორიის შეცვლა სახნავი სავარგულების ერთიან მასივში არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიად დარეგისტრირების მიზნით და მათი კიდევ უფრო დანაწევრება რამდენიმე ნაკვეთად, რომელთა საქმიანობას არ წარმოადგენს აგროსფერო;

## «არასამთავრობო ორგანიზაციების სახით ქვეყანაში ოფიციალური ჯაშუშები გვყავს»

**მეორე** — საქართველოში ან უცხოეთში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, უცხოელ ფიზიკურ პირს უფლება აქვს 1 ჰექტარი და ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიის შეცვლის და არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიაში გადაყვანის მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (სამაცივრე-სასაწყობო მეურნეობის, საკონსერვო გადამამუშავებელი საწარმოს, საკონდიტრო საწარმოს ან სამრეწველო ქარხნის მშენებლობის უზრუნველსაყოფად), თუ არსებობს მთავრობის განკარგულება, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, სახელმწიფო-რწმუნებულ გუბერნატორის, სოფლის მეურნეობის მინისტრის ან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიმართვის საფუძველზე;

**«წილკანში გაყიდულია 70 ჰექტარი, რომელიც დანაწევრებულია 140 ერთეულად, მფლობელია საად ატია ჰუსეინ ჰუსეინი; ქანდაში გაყიდულია 56 ჰექტარი, დანაწევრებულია 95 ერთეულად, მისი მფლობელები არიან შპს «ზენიტჰ ფროფერთი», ასევე ალერიზა ქალაი, სეიედ აბას ჰუსეინზადე სალათი და სხვ.; მუხრანში შესყიდულია 52 ჰექტარი, დანაწევრებულია 26 ერთეულად, მფლობელები არიან იუვალ მენახემ ბენერაფი, ფათემე ჯაჰედადფარი; წეროვანში გაყიდულია 18 ჰექტარი, დანაწევრებულია 53 ერთეულად, მისი მფლობელები არიან მოჰამად ამადა და აბდულამირ ალბინ აბუდ აბუდი»...**

**მესამე** — საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვს ადგილობრივ მოსახლეობას, დააყენოს საკითხი ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოში (მუნიციპალიტეტში), სახელმწიფო-რწმუნებულ გუბერნატორის ადმინისტრაციაში 1 ჰექტარი და ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიის შეცვლის შესახებ, თუ არსებობს ტერიტორიული ორგანოს, თემის ან სოფლის ადგილობრივი მოსახლეობის 1/3-ის მოთხოვნა, მხოლოდ და მხოლოდ მათი დემოგრაფიული პრობლემებისა და მათი გაფართოების მიზნით. საკითხის დაყენების უფლება აქვს, ასევე, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, თუ იგი უშუალოდ არის თემში საქმიანობის შემსრულებელი და აქვს შესაბამისი ნოტარიულად დამოწმებული მოსახლეობის რწმუნება.

ვითხოვთ, ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები აისახოს კანონმდებლობაში. სხვათა შორის, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრებმა, როდესაც დაინახეს რეალური საფრთხე, მიხვდნენ, რომ კანონმდებლობის არსებული სახით დამტკიცება მიუღებელი იყო და 6 თვით შეაჩერეს სტატუსის შეცვლა, თუმცა ეს არ არის გამოსავალი. არ ვიცით, რა მოხდება მომავალში, არჩევნების შემდეგ ვინ იქნება ზემოაღნიშნულ დარგობრივ საპარლამენტო კომიტეტში და განაგრძობს თუ არა სტატუსის შეჩერებას.

**— ამ ყველაფერს ხელისუფლება ინვესტორების მოზიდვის მიზნით ხსნის...**

— ინვესტორებზე საუბარი მხოლოდ სპეკულაციაა. **სოფლის მეურნეობაზე ინვესტიციების მხოლოდ 0,33%-ი მოდის.** სოფლის მეურნეობა დღეს არ არის ის დარგი, რომელშიც ინვესტიციები იდება. არ ვეწინააღმდეგებით მიწის გასხვისებას, მაგრამ ჩვენ ძალიან რთულ რეგიონში ვცხოვრობთ და მიწის ყიდვა-გაყიდვა სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამას გარდა, ხელისუფლებამ ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს. მართალია, მიწის გაყიდვა აკრძალული არც ერთ ქვეყანაში არ არის და ასეთი აკრძალვის უფლებას არც ჩვენი კონსტიტუცია იძლევა, მაგრამ აუცილებელია რეგულაციების დაწესება. უცხოეთში მიწა რომ იყიდო, ათასი ნებართვა გჭირდება. ყოვლად დაუშვებელია, რეგულაციებისა და გარკვეული კრიტერიუმის გარეშე, ყველას მივცეთ მიწის შეძენის უფლება.

არსებული კანონპროექტი ყოვლად დაუშვებელი და ანტისახელმწიფოებრივი იყო, ქართველი გლეხი, ფაქტობრივად, მიწის გარეშე რჩებოდა. **ჩემი ინიციატივით შეიქმნა ქართული მიწის დაცვის კომიტეტი, რომელშიც გაერთიანდნენ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაცების ხელმძღვანელები.** მთავრობის ინიციატივით (მისი ავტორები იყვნენ იუსტიციისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები), აღნიშნული კანონონპროექტის პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე განხილვას მე და პროფესორი პაატა კოღუაშვილიც დავესწარით და ღიად დავუპირისპირდით მათ, რადგან კანონპროექტი, ფაქტობრივად, შეუზღუდავ უფლებას აძლევდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა თუ საფინანსო ინსტიტუტებს, შეესყიდათ მიწები, რაც დიდი საფრთხის შემცველია. ჩვენ ყველანაირად შევეწინააღმდეგებით კანონის პირველადი ვარიანტის მიღებას, **არც საპროტესტო აქციებს, არც რეფერენდუმის მოთხოვნას არ გამოვრიცხავთ. ქართული მიწის დაცვის კომიტეტი ბოლომდე იბრძოლებს.**

საკრებულოს წევრ სოსო მანჯავიძის ხელშეწყობით, რომელიც, ამასთანავე, „ქართული მიწის დაცვის კომიტეტის“ წევრია, გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში. ჩვენი შეხვედრიდან ერთ კვირაში დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა, მისი თავმჯდომარის — ზურაბ ტყემალაძის ხელმძღვანელობით, გაიზიარა ჩვენი წინადადება და წარმოადგინა ალტერნატიული კანონპროექტი, თუმცა **მოწინააღმდეგეებიც არიან, მაგალითად, ეს ჭინკები, ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, განსაკუთრებით — „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, რომელმაც თავის დროზე ანტიქართული ნაბიჯი გადადგა და უცხო ქვეყნის მოქალაქე მათიას ჰუტერს საჩივარი დააწერინა, რის შემდეგაც საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა პარლამენტის მიერ მიღებული მორატორიუმი.**

კურიოზული ფაქტია, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობაც“ კი ეწინააღმდეგებოდა ამ კანონის თავდაპირველი ვარიანტის დამტკიცებას, კანონმდებლობაში ერთი-ორი შეზღუდვა იყო და ამის აკრძალვასაც ითხოვდნენ, ინვესტიციებს შეაფერხებსო.

პაატა კოღუაშვილმა ევროპული კანონმდებლობის მიხედვით შეიმუშავა რეგულაციები და ხელისუფლებას ალტერნატიული ვარიანტი შევთავაზეთ. საინტერესოა, თითქოს ვბაძავთ ევროპას, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ უკეთურებაში, ხოლო ის, რაც ჩვენს ქვეყანას შეიძლება გამოადგეს, არავის აინტერესებს. მეტსაც გეტყვით, კი არ ბაძავენ, დირექტივებს იღებენ უცხოეთიდან და ამ დირექტივების მიხედვით მოქმედებენ. **არსამთავრობო ორგანიზაციების სახით ქვეყანაში ოფიციალური ჯაშუშები გვყავს. ისინი უცხოეთიდან ფინანსდებიან და, ვინც აფინანსებს, ბუნებრივია, მათ დაკვეთებსაც ასრულებენ.**

**— ბიძინა ივანიშვილის განცხადებას არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ეს ლამის თავისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებად მოინათლა. თქვენ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რა რეაქცია გქონდათ?**

— მივესალმები ამ წინადადებას და არც ივანიშვილის ეს განცხადება მიმაჩნია თავისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებად. საერთოდაც, ვფიქრობ, რომ გარდა საქველმოქმედო და გარკვეული მიზნებისთვის შექმნილი ორგანიზაციებისა, **იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც დირექტივებს უცხოეთიდან იღებენ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიან, უნდა აიკრძალოს.**

**— დემოგრაფიული განვითარების ფონდს ხელმძღვანელობთ, გაერომ 2011 წელს მომაკვდავი ერების სიაში შეგვიყვანა — 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 1 მილიონით შეიძლება შემცირდეს. როგორია ბოლო წლების სტატისტიკა?**

— მდგომარეობა საგანგაშოა. სხვათა შორის, ეს ინფორმაცია გაერომ 2011 წელს გამოაქვეყნა, მონაცემები კი აიღეს სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, როდესაც მონაცემებს სპეციალურად აზვიადებდნენ. არადა, მდგომარეობა კიდევ უფრო კრიტიკულია. **მიმდინარეობს ერის დაბერების პროცესი, შრომისუნარიანი ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი გასულია ქვეყნიდან. შობადობის მხრივაც ცუდი მდგომარება გვაქვს. მართალია, დეკრეტული შვებულების გაზრდის, პატრიარქის ინიციატივის, უფასო მშობიარობისა და ყოველ მესამე შვილზე დაფინანსების დაწესების გამო, შობადობამ ბოლო პერიოდში მოიმატა, მაგრამ მთლიანობაში ეს არაფერს ცვლის.**

**— თუ, შობადობის მატების მიუხედავად, კვლავ მძიმე ვითარებაა, როგორ შეიძლება, დემოგრაფიული კატასტროფა თავიდან ავიცილოთ?**

— ძალიან კარგია, რა ნაბიჯებიც გადაიდგა, მაგრამ მეტია საჭირო. აუცილებელია, ქვეყანაში ისეთი გარემო შეიქმნას, რომ ემიგრანტები დაბრუნდნენ. თითოეულმა ქართველმა უნდა გაითავისოს, რომ სამ შვილზე ნაკლები არ ჰყავდეს, თორემ დიდია ალბათობა, მალე, როგორც ერმა, აღარ ვიარსებოთ. თუ ასე გაგრძელდა, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 1 მილიონ 170 ათასი კაცით შემცირდება, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში კი მოსახლეობა მოიმატებს: აზერბაიჯანში — 34%-ით, სომხეთში კი — 7%-ით.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**იმ არაბებს, თურქებს, ერაყელებსა და ათასი ჯურის უცხოელებს, რომლებმაც თბილისი ჰარამხანების ქალაქად აქციეს, „მეოცნებეებიც“ ტურისტებად გვიცხადებენ და მეორე — როგორც ჩანს, საზოგადოების გულის მოსაგებად გამკაცრებულ საიმიგრაციო პოლიტიკას დღე-დღეზე „გაალიბერალურებენ“. მეტიც, სანდო წყაროს ინფორმაციით, მთავრობას უკვე მიღებულიც აქვს დასავლეთისგან შესაბამისი დირექტივა და მალე უსუფაშვილის პარლამენტს ახალი საკანონმდებლო პაკეტი წარედგინება.**

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს უცხოელი მიგრანტების ახალი ტალღა ელოდება!

**უსუფაშვილის პარლამენტი ქართული სახელმწიფოს ნგრევისა და გაჩანაგებისკენ მიმართულ მოღალატეობრივ პოლიტიკას წარმატებით განაგრძობს — მცირე ხნის წინათ, უმცირესობისა და უმრავლესობის ერთობლივი გადაწყვეტილებით, საქართველოში მყოფ უცხოელებს ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად შეღავათიანი პირობების მოქმედების ვადა ხუთი თვით გაუხანგრძლივდათ.**



## ხელისუფლება სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკას ამარტივებს

ეს ვადა მიმდინარე წლის 1 მარტს უნდა ამოწურულიყო და ამის შემდეგ გარკვეული რეგულაციების ამოქმედება იგეგმებოდა (რომელიც სავიზო-საემიგრაციო პოლიტიკას მეტ-ნაკლებად მოაწესრიგებდა), მაგრამ, **როგორც კი საკითხის განხილვა დაიწყო, პარლამენტში მსხდომი „ნაცკრიმინალები“ მარტის კატეგივით აკნავლდნენ, ხელისუფლება საბჭოთა წარსულში გვაბრუნებს, საქართველო ჩაკეტილი სახელმწიფო ხდებაო.** მოკლედ, უმრავლესობა შედრკა და ზემოაღნიშნული ვადა ხუთი თვით, ანუ 1 ივლისამდე გახანგრძლივდა, თუმცა **„ვარდოსნები“ ამასაც არ დასჯერდნენ და მმართველ გუნდს ძველი სავიზო რეჟიმის დაბრუნება და არსებული რეგულაციების საერთოდ გაუქმება მოსთხოვეს.**

ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რა სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკა ჰქონდა ცხრა წლის განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლებას და რა დამანგრეველი შედეგები მოუტანა ამან სახელმწიფოს.

„ნაცრეჟიმის“ პერიოდში საქართველოს 118 ქვეყანასთან ჰქონდა უვიზო მიმოსვლა და ამ ქვეყნების მოქალაქეებს 360 დღე შეეძლოთ აქ უვიზოდ დარჩენა. ესენი იყვნენ, ძირითადად, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ისლამური სახელმწიფოები, რომლებსაც სხვა ყველაფერთან ერთად შობადობის მატება სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს უქმნით. სააკაშვილი გვარწმუნებდა, რომ სავიზო პოლიტიკის ლიბერალიზაცია ტურისტებისა და ინვესტორების რაოდენობას გაზრდიდა, მაგრამ მისი ეს განცხადებები რეალურად არანაირ გათვლებს არ ემყარებოდა. არავის შეუსწავლია, რა შედეგებს მოიტანდა აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება და გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, ერთი კაცის ნება-სურვილით მიიღეს. აი, შედეგიც — **როგორც კი ამოქმედდა ის ე.წ. ლიბერალური პოლიტიკა, 118-ივე სახელმწიფოს მოქალაქეებმა სტიქიურად დაიწყეს შემოსვლა. დედაქალაქი (და არა მარტო დედაქალაქი) გაივსო გაურკვეველი მიზნებით შემოსული უცხოელებით, რომლებსაც „ნაცების“ პროპაგანდა ინვესტორებად იხსენიებდა. შემოსულთა შორის ჭარბობენ არაბები, ერაყელები, ეგვიპტელები, ირანელები და სირიელები. მათი „ინვესტიციების“ ერთადერთი „სიკეთე“ კი ჩილიმბარების, ანუ მათივე გასართობი ღამის კლუბების მომრავლებაა.** თბილისი, პრაქტიკულად, ჰარამხანების ქალაქად გადაიქცა, მაგრამ „ვარდოსნების“ სექტამ ეს არ გვაკმარა და მოგვიანებით ამ მოქალაქეებისთვის ქართული პასპორტების დარიგება დაიწყო. ამით ყველაფერი კიდევ უფრო ცხადი გახდა, — პოლიტიკურად გაკოტრებული „ნაცმოძრაობა“ ახალ ელექტორატს იკოწიწებდა. სწორედ ამ მიზნით სააკაშვილმა თავისი საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღეები მაქსიმალურად გამოიყენა და დაახლოებით სამი თვის ინტერვალში 10 ათასამდე უცხოელს, ძირითადად, თურქებს, საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. მართალია, „ბელადს“ ამანაც ვერ უშველა, მაგრამ უცხოელები ქართულ მიწას ჭიანჭველებივით შეესივნენ და, რაც კი ქვეყანაში საუკეთესო ნაკვეთები იყო, მთლიანად შეისყიდეს. ქართველ გლეხს მტკაველი მიწა აღარ დარჩა, ისედაც გაჩანაგებული სოფელი დაიცალა და გაუკაცურდა...

ეს ისე, შეხსენებისთვის. რაც შეეხება მოსალოდნელს, **გასული წლის 1 სექტემბრიდან საიმიგრაციო პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები შევიდა — 118-ის ნაცვლად, საქართველოში უვიზოდ შემოსვლა მხოლოდ 94 ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია. შემცირდა ქვეყანაში უვიზოდ დარჩენის ხანგრძლივობაც და იგი 180-დღიანი პერიოდით განისაზღვრა,** ანუ ახალმა რეგულაციებმა კონტროლის საშუალებები გააჩინა, მაგრამ ამას ისევ და ისევ „ნაცსექტის“ კნავილი და სისინი მოჰყვა, — კარჩაკეტილობის პოლიტიკით ინვესტორები ფრთხებიანო. **ნათქვამია, ხე შექახილით ხმება და „ცოცხოსანთა“ გამუდმებულმა კიჟინმა შედეგი გამოიღო, ახლა უკვე ხელისუფლებაც ალაპარაკდა საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების უკუშედეგებზე. მეტიც, ზოგიერთმა ამ პოლიტიკის გადახედვის აუცილებლობაზეც გააკეთა მინიშნებები.** აი, რა განაცხადა ამასწინათ ვიცეპრემიერმა კახა კალაძემ: „რაც შეეხება ვიზებს, ეს იყო ევროკავშირის მოთხოვნა, რომ გარკვეული ცვლილებები, რეფორმები განგვეხორციელებინა ამ მიმართულებით და ჩვენ, შესაბამისად, ეს ყველაფერი გავაკეთეთ, თუმცა აღმოჩნდა, რომ პრაქტიკაში მან გარკვეული პრობლემები მოუტანა ქვეყანას. ამ მიმართულებით მუშაობენ იმისთვის, რომ გარკვეული ცვლილებები კიდევ განხორციელდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ინვესტიციების, ტურისტების შემოდინების მიმართულებით გარკვეული პრობლემები ნამდვილად შეიქმნა, ამას ვაღიარებ“.

ამ კომენტარიდან ორი რამ იკვეთება: პირველი — **იმ არაბებს, თურქებს, ერაყელებსა და ათასი ჯურის უცხოელებს, რომლებმაც თბილისი ჰარამხანების ქალაქად აქციეს, „მეოცნებეებიც“ ტურისტებად გვიცხადებენ, და მეორე — როგორც ჩანს, საზოგადოების გულის მოსაგებად გამკაცრებულ საიმიგრაციო პოლიტიკას დღე-დღეზე „გაალიბერალურებენ“. მეტიც, სანდო წყაროს ინფორმაციით, მთავრობას უკვე მიღებულიც აქვს დასავლეთისგან შესაბამისი დირექტივა და მალე უსუფაშვილის პარლამენტს ახალი საკანონმდებლო პაკეტი წარედგინება დასამტკიცებლად.**

ცხადია, ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ მსგავსი ნაბიჯები მის ისედაც დაცემულ რეიტინგს მთლად გაანულებს, მაგრამ აქ უკვე პროპაგანდა გააკეთებს თავის საქმეს. „ნაც-ქოცები“ ხომ ერთსულოვანნი არიან ამ პროცესში, ჰოდა, **სააკაშვილის ნიფხვის ტელევიზიები ძარღვის გაწყვეტამდე დაიწყებენ მტკიცებას, ეს ცვლილება ეკონომიკურ ზრდას განაპირობებსო; ცალკე ჯაჯანიძის ან ნანუკა ჟორჟოლიანის შოუში ბოზი ქალების პარადით გააბრუებენ საზოგადოებას და მორჩა — საკანონმდებლო ცვლილებაც უჩუმრად ჩაივლის. ჩვენ კი ამ მზაკვრობას მაშინ მივხვდებით, როცა ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდება, რომ ქვეყანაში არაბი და თურქი ქართველზე მეტი იქნება, მაგრამ იმ დროს უკვე უსუფაშვილების, ხიდაშელებისა და ბერძენიშვილების საოცნებო საქართველო იქნება სახელმწიფო, რომელსაც წარსულთან მხოლოდ სახელწოდება დააკავშირებს...**

ვინ იცის, იქნებ უკვე ასეთ საქართველოში ვცხოვრობთ კიდეც და ვერ ვხვდებით, რადგან მოსახლეობას მართლაც ოსტატურად აბრუებენ „ვარდოსანთა“ ტელევიზიები. იქნებ კი არა, მგონი, ასეა, თორემ უსუფაშვილის პარლამენტს დიდი ხნის წინათ ვიხილავდით პოლიტიკურ სანაგვეში. რა გაეწყობა, ნათქვამია, როგორიც ერიო, ისეთი ბერიო, — რა საზოგადოებაც ვართ და რა გარემოსაც ვქმნით, ზუსტად იმ პოლიტიკურ რეალობას ვხედავთ...

ისე, დღეს რაც ხდება, ლოგიკურია, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო...

**ჯაბა ჟვანია**



## ევროკომისიის ხელმძღვანელს ევროპული არმიის შექმნა სურს

**ევროკომისიის ხელმძღვანელი ჟან-კლოდ იუნკერი ევროპული არმიის შექმნის ინიციატივით გამოდის.**

„ასეთი არმია დაგვეხმარებოდა საერთო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირებაში“, – განაცხადა იუნკერმა გამოცემა Welt am Sonntag-თან ინტერვიუში. მისივე თქმით, ასეთი არმიით ევროკავშირი შეძლებს რეაგირებას იმ საფრთხეებზე, რომლებიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და მეზობელ სახელმწიფოებს დაემუქრება. გამოცემის ინფორმაციით, იუნკერის ინიციატივას უკვე აქვს მხარდაჭერა გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატებს შორის. ბუნდესტაგის საერთაშორისო საქმეების კომიტეტის ხელმძღვანელ ნორბერტ რეტგენის განცხადებით, დადგა დრო, შეიქმნას ასეთი არმია.



## აფთიაქებს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დარღვევისთვის დააჯარიმებენ

**ახალი ადმინისტრაციული სახდელის ზომა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებებით შემოდის.**

პროექტის მიხედვით, აფთიაქისა და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტის მიერ სანიტარიულ-ჰიგიენურ-ტექნიკური პირობების დარღვევა 500 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს, ხოლო განმეორების შემთხვევაში ჯარიმა 1000 ლარი იქნება.

## ტერორისტებმა ტყვეები ვიდეოთამაშის პრინციპით ჩახოცეს

**ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები იარაღის ლულებს მაღალი გამოსახულების მქონე ვიდეო კამერებს ამაგრებენ, რათა ბარბაროსული სიკვდილით დასჯის კადრები ახლო ხედით, დეტალურად გადაიღონ.** ინტერნეტში გავრცელდა სულისშემძვრელი ფოტოები, რომელზეც ასახულია თვალებახვეული ტყვეები. მათ იძულებით აჩოქებენ და სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში უკან მწკრივად უდგებიან. ფოტოებზე ასახულია იარაღის ლულებზე დამაგრებული კამერა, აგრეთვე, არსებობს ფოტო, რომელიც კონკრეტულად ამ კამერითაა გადაღებული. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ სასხლეტს თავად კრავ თითს. როგორც უკვე შეაფასეს, ეს არის „ისლამური სახელმწიფოს“ მცდელობა, საკუთარი საშინელი ქმედებები შეფუთონ ისე, რომ დასავლეთში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ის საინტერესო და ნაცნობი იყოს.



ჩეღიმია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მინისტრებს შევახსენებ: ათი მცნების გაცნობა დიდ დროს არ წაგართმევთ. ჩახედეთ, წაიკითხეთ, იქნებ ჩასწვდეთ, რა ცოდვას სჩადიხართ. ჰომოსექსუალიზმი — ლესბოსელობა, მამათმავლობა და სხვა გაუკუღმართებული გადახრები უდიდესი ცოდვა, ავადმყოფობა და დანაშაული რომ არის, დღეს ბავშვმაც კი იცის. ეს მინისტრები და ისინიც, ვინც მათ პოზიციას იზიარებენ, სარწმუნოებისგან შორს არიან, ერის ბედს არად დაგიდევენ, მხოლოდ თბილ სავარძლებსა და ფულის მოხვეჭაზე ფიქრობენ.**

მამა ბასილი (მკალავიშვილი):



# აუცილებლად უნდა მოეწყოს «ნაცმოძრაობის» აქციის საწინააღმდეგო აქცია!

**საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი (მკალავიშვილი) გვესაუბრება.**

**— მამაო ბასილ, ბოლო ხანს ორგანიზაცია „17 მაისი", რომელიც ე. წ. სექსუალური უმცირესობების უფლებებს იცავს, პერმანენტულ გამოკითხვას ატარებს მინისტრებში: „არის თუ არა ჰომოსექსუალობა ავადმყოფობა და ცოდვა?". შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცეს, ანუ განაცხადეს, რომ „ჰომოსექსუალობა" ავადმყოფობა არ არის, შემდეგმა მაღალჩინოსნებმა: გარემოს დაცვის მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა; ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა; ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ; შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ; სახელმწიფო მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძემ და სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა. რა აზრის ხართ ამ მაღალჩინოსნებზე და თქვენ, როგორც სასულიერო პირი, რას უპასუხებთ მათ?**

— როგორც სასულიერო პირი, მხოლოდ ბიბლიით, წმიდა წერილებზე დაყრდნობით მოგაგებთ პასუხს. უზენაესის მიერ სამყაროს შექმნიდან, ადამიანთა წარმოშობიდან, დაუსრულებელი ბრძოლა მიმდინარეობს ჭეშმარიტებასა და მწვალებლობას, სიკეთესა და ბოროტებას, ბნელსა და ნათელს შორის. ყველა ეპოქაში ასე იყო და დღესაც გრძელდება.

თქვენ დამისახელეთ მინისტრები, რომლებსაც ხალხმა უბოძა ნდობის მანდატი. მათ ხალხს იმედი გაუცრუეს. უმეცრები აღმოჩნდნენ სახელმწიფოს მართვაში, რელიგიაზე კი საუბარიც ზედმეტია. სახელმწიფოს მართვის ბერკეტები მათ ხელშია, აქედან გამომდინარე, ხალხის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ. საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა და ვალდებულნი არიან, ეკლესიურ საკითხებშიც ერკვეოდნენ, ამიტომ, ჩაიხედონ ბიბლიაში, სახარებაში, თუმცა მათ ეს სასაცილოდ არ ჰყოფნით. **მათ შევახსენებ, რატომ დაიღუპა კაცობრიობა წარღვნის დროს, როგორ მოისრა სოდომ-გომორი და აღიგავა პირისაგან მიწისა, გადარჩა მხოლოდ მართალი ლოტი. ამის მიზეზი იყო ის, რომ კაცობრიობა სიბილწის მორევში ჩაეფლო. დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები კი სწორედ ამ მორევს გვიმზადებენ.** ამჯერად არ დავაკონკრეტებ, მაგრამ თქვენ მიერ დასახელებული მინისტრებიდან ერთ-ერთი, როცა ჩვენ იეღოველთა სექტის აღვირახსნილობასა და პროზელიტიზმს ვებრძოდით, მათ გვერდით იდგა და გვიპირისპირდებოდა.

ნანუაშვილზე კი გეტყვით, რომ ის და მისი ცოლი მართლმადიდებლები არ არიან. არ იფიქროთ, რამეს თავს ვახვევდე, მაგათი საქმეა, რაც უნდათ, იმას ირწმუნებენ, მაგრამ ერის განკითხვის უფლება მისთვის არავის მიუნიჭებია.

კარგად მოგეხსენებათ **მისი (ნანუაშვილის — ჯ. ჟ.) შეხვედრის თაობაზე საქართველოში ევროკავშირის ახალ ელჩთან. ჩვენ, ქართველები, ქაჯებად შეგვრაცხა, მისი თქმით, თურმე უმცირესობის წარმომადგენლები დისკრიმინაციას განიცდიან „ბნელი" ხალხისგან და შველას ითხოვენ.** ყოველივე ამის შემდეგ გიკვირთ აღნიშნული მინისტრების პოზიცია? **ამ მინისტრებს შევახსენებ: ათი მცნების გაცნობა დიდ დროს არ წაგართმევთ. ჩახედეთ, წაიკითხეთ, იქნებ ჩასწვდეთ, რა ცოდვას სჩადიხართ. ჰომოსექსუალიზმი — ლესბოსელობა, მამათმავლობა და სხვა გაუკუღმართებული გადახრები უდიდესი ცოდვა, ავადმყოფობა და დანაშაული რომ არის, დღეს ბავშვმაც კი იცის. ეს მინისტრები და ისინიც, ვინც მათ პოზიციას იზიარებენ, სარწმუნოებისგან შორს არიან, ერის ბედს არად დაგიდევენ, მხოლოდ თბილ სავარძლებსა და ფულის მოხვეჭაზე ფიქრობენ.**

**— ორგანიზაცია „17 მაისის" შეკითხვაზე — არის თუ არა ჰომოსექსუალობა ავადმყოფობა? — რესპუბლიკური პარტიის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა უპასუხა: „არა, ჰომოსექსუალობა არ არის ავადმყოფობა, რა თქმა უნდა. არც ავადმყოფობაა და არც ცოდვა". ხოლო შეკითხვაზე — არის თუ არა ოჯახი ორი ქალის ან ორი მამაკაცის ერთობა? — ასევე განაცხადა: „დიახ, შემიძლია ასეთი რამ წარმოვიდგინო". როგორ ფიქრობთ, ამ გამოკითხვით ნელ-ნელა ხომ არ გვაჩვევენ აზრს, რომ ევროინტეგრაციის კვალდაკვალ, დასავლეთის რიგი ქვეყნების მსგავსად, აქაც დადგება ე. წ. ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების საკითხი?**

— ის, რომ სიბილწე, უზნეობა, ამორალურობა, რომელიც ნიაღვარივით მოედინება ამერიკიდან და ევროპიდან, ღრმად იდგამს ფესვებს, აღმაშფოთებელია. ყველასთვის ნათელია, რომ ევროინტეგრაციის ხელშეკრულების ტექსტს მოჰყვა უამრავი დავალება, მაგრამ ეს ყველაფერი შენიღბულია.

რაც შეეხება ლევან ბერძენიშვილს, ახალს ვერაფერს გეტყვით, უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ ეს ადამიანი საქართველოს დაუძინებელი მტერია. მეტი რაღა უნდა ვთქვათ კაცზე, რომელიც ამბობს, რომ ვაჟა-ფშაველა გარყვნილი და ზნედაცემული იყო. რომ ილიას (ერის სულიერ მამას), როგორც პოეტს, არ იცნობს, აკაკი არ მოსწონს, სამაგიეროდ პატივს მიაგებს დეისაძეს, ბურჭულაძეს, ქარუმიძეს, ბულაძესა და სხვებს, რომლებიც ერის სამარცხვინო ლაქები არიან. ამით, ფაქტობრივად, ყველაფერია ნათქვამი — გასაგებია, ვინ არის ეს ადამიანი და რომელი იდეოლოგიის მსახურია...

**— „17 მაისი" საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელ აკაკი ბობოხიძესაც მიადგა შეკითხვით, წარმოგიდგენიათ თუ არა ჰომოსექსუალი პირი ხელისუფლებაშიო, რაზეც ბობოხიძემ უპასუხა: „ხელისუფლების სათავეში ჰომოსექსუალი წარმომიდგენია კი არა, წარმოდგენილი გვყავდა კიდეც". როგორც ჩანს, სააკაშვილის რეჟიმი მართლა მსგავსი გადახრების მქონე ხალხზე იდგა და ამიტომ იყო ძალადობა ყოველდღიურ მოვლენად ქცეული, მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ ასეთი ადამიანები მოქმედ ხელისუფლებაშიც არ არიან? ვინ ან რა გვიცავს ამ ყველაფრისგან?**

— დაცვასა და რამის გამორიცხვაზე ლაპარაკიც ზედმეტია, **ოკეანისგაღმელთა მკაცრი გაფრთხილებაა, რომ, თუ მამათმავლების უფლებებს არ დავიცავთ და არ მივცემთ მათ თავისუფალი ქმედების არეალს, არც ევროპაში, არც ნატოში არ მიგვიღებენ.** ეს უზნეობა რუსეთში აკრძალულია, ჩვენ კი თავს გვახვევენ. აურაცხელი გრანტებია გამოყოფილი იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მხარს უჭერს ამ აღვირახსნილობას.

— დღეს ხშირად საუბრობენ, რომ დასავლეთი დაშორდა ქრისტიანულ მორალს, ღირებულებებს, რომ ევროპა აღარ არის ამ ცივილიზაციის გამგრძელებელი. ჩვენთვის, როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფოსთვის, რა საფრთხეებს შეიცავს დასავლეთთან დაახლოება?

— ქრისტიანულ მორალთან ევროპა ყოველთვის შორს იყო, მით უმეტეს — დღეს, როცა ე.წ. თავისუფლების, თვითდინების გზით მიემართებიან. მათთვის მართლმადიდებლური მორალი ღირებულებას არ წარმოადგენს; ასე რომ, ევროპა გაუკუღმართებული გზით მიემართება. საქართველოს რაც შეეხება, ჩვენი პერსპექტივა გარკვეულია. **თუ დასავლეთის გაუკუღმართებულ გზას გავყვებით, უფალს უნდა დავემშვიდობოთ. აი, ამ არჩევანზეა რეალურად საუბარი, როცა ე. წ. ისტორიულ არჩევანზე გველაპარაკებიან.** სხვა ამაში არაფერი იგულისხმება...

**— „ნაცმოძრაობის" მიერ დაგეგმილ აქციაზეც გკითხავთ. 21 მარტს ისინი რუსთაველის გამზირზე აპირებენ შეკრებას მთავრობის გადადგომის მოთხოვნით... ბევრი უკვე მოსალოდნელ პროვოკაციაზეც საუბრობს. რა მიზანს ემსახურება სააკაშვილის გარემოცვის გააქტიურება, როცა თვითონ სააკაშვილი უკრაინიდან გვემუქრება?**

— ქართველმა ხალხმა 9 წელი ჯოჯოხეთური გზით იარა. არც ერთი ხელისუფლების პერიოდში არ განგვიცდია ისეთი ტანჯვა-ვაება, როგორიც სააკაშვილმა გვარგუნა წილად. ფაშისტური ქმედებიდან გამომდინარე, მე მათ დაჯგუფებას დავარქმევდი „ნაციონალების სატანური სექტას".

**სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, შავნაბადის რეზიდენციაში როგორ გეგმავდნენ სააკაშვილი, გიგა ბოკერია და სხვები იმ პირთა მკვლელობებს, რომლებიც ხელს უშლიდათ ბნელი საქმეების განხორციელებაში. ერთ-ერთი ამაზრზენი გურამ შარაძის დახვრეტა იყო დღისით-მზისით ქალაქის გულში...**

ჩვენ ეს ადამიანები ამერიკიდან შემოგდებული კოაბიტაციით გავანებივრეთ და მივეცით საშუალება, ფერფლიდან აღმდგარიყვნენ, ამიტომ ბედავენ დღეს მთავრობის გადადგომის მოთხოვნას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არც ერთი ღირსეული მოქალაქე იქ არ მივა. ყოველ შემთხვევაში, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო მოსახლეობას: **ჩემო ქართველო ხალხო, გთხოვთ, ნუ მიხვალთ მაგათ აქციაზე, რადგან ყველა საქართველოს მოღალატედ და დამაქცევრად შეირაცხება, ვინც მაგათ გვერდით დადგება.**

**ასევე მოვუწოდებ ჩემს ერს, განსაკუთრებით — პოლიტიკოსებს: აუცილებლად უნდა მოეწყოს საწინააღმდეგო აქცია! მიხვდნენ ეს ფაშისტები, რომ მათ მიზნებს განხორციელება არ უწერია. ბედის ირონიაა, რომ დღეს ეს დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომლისთვისაც მეორე ნიურნბერგის პროცესი უნდა მოგვეწყო, აქეთ გვემუქრება.** თუმცა ნაწილობრივ ეს ჩვენი ბრალიცაა, სარეველა თავშივე უნდა ამოგვეძირკვა...

**— მამაო, რას გვეტყვით იმის თაობაზე, რომ ძებნილი სააკაშვილი და მისი თანამზრახველები უკრაინაში მაღალ თანამდებობებზე დანიშნეს?**

— რაც დღეს უკრაინაში ხდება, უკრაინელი ხალხის ინტერესებში არ არის. ისინი მშვენივრად ცხოვრობდნენ თავისთვის, არაფერი უჭირდათ. ამერიკისა და ევროპის ჩარევით მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, მსგავსი იმისა, რაც ჩვენთან — 1991-92 წლებში. იმხანად აქ მოვლენებს შევარდნაძე მართავდა საზღვარგარეთელ თანამზრახველებთან ერთად. **უკრაინაშიც პროცესებს იგივე ჯორჯ სოროსი და ევროპის მასონთა ლოჟის წარმომადგენლები მართავენ. სააკაშვილისა და მისი ხროვის თანამდებობებზე დანიშვნაც ამერიკიდან მოდის.** ამერიკის მიზანია, რუსეთი სხვა ქვეყნებთან ომში ჩაითრიოს და დაასუსტოს. ამერიკის სურვილი მსოფლიოზე ბატონობაა, მაგრამ ამ სურვილს შესრულება არ უწერია, რადგან ყოველივეს ღმერთი მართავს.

ისე, ამ ყველაფრის შემყურეს ერთი კითხვა მიჩნდება: უკრაინიდან დევნილი პრეზიდენტი იანუკოვიჩი ჩვენ რომ დავნიშნოთ მაღალ თანამდებობაზე, ხომ ატყდება მსოფლიო განგაში?!

**ვეკითხები საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს: რატომ არ ითხოვენ განმარტებას უკრაინისგან ძებნილი ხალხის თანამდებობებზე დანიშვნის გამო, რატომ არ ითხოვენ მათ გადმოცემას?! თუ საკმარისი მტკიცებულებები არ აქვთ, მაშინ გამოაცხადონ, რომ იგი უდანაშაულოა, თუ არა და, რაც დღეს ხდება, საკუთარი ხალხის შეურაცხყოფა არ არის?!**

მიუხედავად ყველაფრისა, ვაიმედებ ჩემს ერს: ანტიქრისტე საქართველოში ტახტს ვერ დაიდგამს. ვიყოთ ფხიზლად, რამეთუ მოახლოებულ არს ქრისტეს მეორედ მოსვლა. მოვუწოდებ ყველას, დავიცვათ ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება — მართლმადიდებლობა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა საუკუნეებს გამოატარა და, მიუხედავად უამრავი შინაური თუ გარეშე მტრისა, კვლავ მედგრად დგას ფეხზე..

**ღმერთმა დაგლოცოთ!**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**





სომხური საფერავი

„თუ სიას გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ლაპარაკია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კოლოსალური რაოდენობის საკუთრებაზე, რომლის საქართველოს იურისდიქციიდან გამოყვანა და ეჩმიაძინისთვის დაქვემდებარება სურს სომხურ ეკლესიას“

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სომხეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ტერიტორიად არ აღიარებს!

**„ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი დედამიწის ზურგზე ძნელად თუ მოიპოვება სხვა. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება მოსპონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდან აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქოს არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სიტყვით და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქეთ ტიგრისა და ევფრატის სათავეებამდე, თითქმის შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე, ეგრეთწოდებული არმენია (ვითომც სომხეთი) ყოფილა ათადამ-ბაბადამ დღევანდლამდე, და თუ სადმე ვიღაც „ვრაცები“ ყრილან — ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და ისიც თითქმის სომეხთა მოწყალებით... გვართმევენ ყოველს — ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას და, რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულს მატიანეებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა, მთელს ჩვენს სისხლით-მოსილს ღვაწლს ქრისტიანობისათვის შეწირულსა, და ყოველს ამას თითონ იჩემებენ დიდის გაძვრენ-გამოძვრენითა...
დროა, ნიღაბი ავხადოთ იმ ერთს გუნდს სომხებისას, რომელთა მეცნიერნი ასეთს ყოფას გვაწევენ ქართველებს. დროა, გავითვალისწინოთ იგინი ისე, როგორნიც ნამდვილ არიან უნიღაბოდ!“ —
ეს არის ამონარიდები ილია ჭავჭავაძის მიერ 1899 წელს გამოქვეყნებული ცნობილი წერილიდან „ქვათა ღაღადი“. მას შემდეგ 116 წელი გავიდა, მაგრამ ქართველები დღესაც იმ პრობლემების წინაშე ვდგავართ, რომლებზეც წერდა დიდი ილია, ამიტომ წლების განმავლობაში ჩვენი მეზობელი სომხების ორგანიზებულ მცდელობას ქართული კულტურული თუ ნაციონალური მემკვიდრეობის მისასაკუთრებლად სათანადო პასუხი უნდა გაეცეს.**



ამა წლის 4 მარტს აზერბაიჯანულმა საინფორმაციო-ინტერნეტპორტალმა Gulustan.info-მ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ხელში ჩავიგდეთ საქართველოში სომეხი ეპისკოპოსის საიდუმლო წერილი“, რომელშიც აზერბაიჯანელები(!) შეშფოთებას გამოხატავენ სომხების მიერ საქართველოსთვის წაყენებული თავხედური პრეტენზიების გამო.

აი, რას წერს Gulustan.info:

„2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია სომხეთის პრემიერმინისტრი **ოვიკ აბრამიანი.** ის, მთავრობის წევრების თანხლებით, გაემართა ავლაბარში მდებარე ეკლესია სურბ ეჩმიაძინისკენ, რომლის შესასვლელთან საქართველოსა და სომხეთის დროშები ფრიალებდა. მაღალი რანგის სტუმრებს შეხვდნენ სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღოლი, ეპისკოპოსი **ვაზგენ მირზახანიანი** და სხვა სასულიერო პირები. მირზახანიანი სტუმრებს ძველი სომხური ეკლესიის ისტორიაზე ესაუბრა.

იმავე დღეს საქართველოს პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** მირზახანიანისგან მიიღო კონფიდენციალური წერილი სომხური ეკლესიის ეპარქიისთვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ეკლესიის გადაცემის მოთხოვნით.


Diocese of Armenian Apostolic Orthodox Holy Church in Georgia

წერილი რეგისტრირებულია საქართველოს პრემიერმინისტრის კანცელარიაში 2014 წლის 12 დეკემბერს (№42179), ანუ წერილის გაგზავნა გამიზნულად დაამთხვიეს საქართველოში აბრამიანის ვიზიტს და ცხადია, რომ პრემიერებმა შეხვედრისას ამ საკითხზე ისაუბრეს.

წერილში გამოთქმულია თხოვნა: **„...დაუბრუნოს ჩამორთმეული ტაძრები, მონასტრები (მოქმედი და არამოქმედი), მათი ნანგრევები, აგრეთვე, მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინი არიან ან იყვნენ განლაგებული — სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიას.**

**დანართის სახით გაწვდით სომეხთა ეპარქიისთვის ჩამორთმეული 442 ტაძრის, მონასტრის (მოქმედი და არამოქმედი) და მათი ნანგრევების სიას“.**

ეკლესიების ჩამონათვალი ისეთი კოლოსალურია, რომ თამამად შეიძლება შევადაროთ აზერბაიჯანსა და სომხეთში ისტორიული ალბანური ეკლესიების ხელში ჩაგდებას.

ამასთანავე, თუ სიას გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ლაპარაკია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კოლოსალური რაოდენობის საკუთრებაზე, რომლის საქართველოს იურისდიქციიდან გამოყვანა და ეჩმიაძინისთვის დაქვემდებარება სურს სომხურ ეკლესიას“.

**წერილიდან, რომელსაც ხელს ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი აწერს, ჩანს, რომ „სომხურმა ცივილიზაციამ“ საქართველოში „თავისი“ 442 ეკლესია აღმოაჩინა, თუმცა 1995 წელს ერევანში გამოცემულ რუკა-ცნობარში მითითებულია, რომ საქართველოში 653 სომხური ეკლესია-მონასტერია** (აღსანიშნავია, რომ სიაში შეტანილია საქართველოს თითქმის ყველა რაიონის კულტურის ძეგლები. ეს რაიონებია: ახმეტა, გურჯაანი, თელავი, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, ყვარელი, საგარეჯო, სიღნაღი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, ბორჯომი, გორი, კასპი, მცხეთა, ქარელი, გარდაბანი, წალკა, თეთრიწყარო, მარნეული, დმანისი, ბოლნისი, დუშეთი, აჭარა, სამეგრელო (ზუგდიდი, ფოთი), ონი, თერჯოლა და თბილისი). **ვიღაცას შეიძლება ეგონოს, რომ „სომხებს შევეცოდეთ“, 211 ეკლესიას თავი დაანებეს და „გვიფეშქაშეს“, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს 211 ეკლესია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზეა და სწორედ ამ წერილით სომხეთის სამოციქულო ეკლესია (უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით „სომხეთის სახელმწიფო“) აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საქართველოს ტერიტორიად არ თვლის!**

სომხეთი პრეტენზიას გვიყენებს არა მხოლოდ ქართულ ეკლესიებზე, არამედ მათ გარშემო არსებულ მიწებზე. საქართველოს ხელისუფლება კი „კეთილმეზობლობის“ პრინციპებს არ არღვევს და ამ თავხედურ პრეტენზიებზე დუმილს ამჯობინებს.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**სხვათა შორის:**

**სომხები ქართულ ტაძრებსა და ეროვნული კულტურის ძეგლებს გვედავებიან და რა გასაკვირია, რომ ჩვენი კერძების ან ღვინის დასაკუთრება მოინდომონ?!**

**მაგალითად, თურმე ქართული ღვინო „საფერავი“ სომხური ყოფილა, ხაჭაპური — სომხური, მაწონი — სომხური, ჩურჩხელა — სომხური. ამასაც აღარ სჯერდებიან და გამოჩენილ ქართველ მსახიობებსა და მომღერლებს სომხობას მიაწერენ. ასე მოხდა წლების წინათ სოფიკო ჭიაურელის, ახლახან კი ქეთი მელუას მიმართ. გარდა ამისა www.forum.hayastan.com-ზე შეგიძლიათ ნახოთ ბრალდება, რომ ჩვენ, ქართველები, თურმე ურცხვად ვცდილობთ აღმოსავლეთ თურქეთში არსებული უძველესი ქრისტიანული ტაძრების ქართული კულტურის ძეგლებად გასაღებას. ლაპარაკია შატბერდის, იშხანისა და ოშკის მონასტრებზე, ამას თავგამოდებით ამტკიცებს სომეხი ისტორიკოსი აიკ დემოიანი.**

**როგორთ იტყვიან, ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?!**



სომხური ხაჭაპური

**წერილიდან, რომელსაც ხელს ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი აწერს, ჩანს, რომ «სომხურმა ცივილიზაციამ» საქართველოში «თავისი» 442 ეკლესია აღმოაჩინა, თუმცა 1995 წელს ერევანში გამოცემულ რუკა-ცნობარში მითითებულია, რომ საქართველოში 653 სომხური ეკლესია-მონასტერია. ვიღაცას შეიძლება ეგონოს, რომ «სომხებს შევეცოდეთ», 211 ეკლესიას თავი დაანებეს და «გვიფეშქაშეს», მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს 211 ეკლესია აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზეა და სწორედ ამ წერილით სომხეთის სამოციქულო ეკლესია (უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით «სომხეთის სახელმწიფო») აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საქართველოს ტერიტორიად არ თვლის!**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გარდამავალ პერიოდში, ანუ უახლოესი ხუთი-შვიდი წლის განმავლობაში, საქართველოსთვის აუცილებელია, როგორც რუსეთის ბაზრის შენარჩუნება, აგრეთვე, ევროპის ბაზრის პერსპექტივებზე მუშაობა“**

# გაიზიარებს თუ არა სააკაშვილი ბორის ნემცოვის ხვედრს?

**დიდი ხანია, ამერიკის შეერთებულ შტატებს შერჩა მხოლოდ ერთი საექსპორტო საქონელი სახელწოდებით — დესტრუქცია, გნებავთ, მოშლა, განადგურება. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ამერიკა გაცილებით მეტს ხარჯავს, ვიდრე გამოიმუშავებს. ჩნდება კანონზომიერი კითხვა — რატომ არ კოტრდება აშშ, რატომ არ ინგრევა? — საქმე ის არის, რომ თანხას, რომელიც უარყოფით სალდოს შეადგენს, სხვები იხდიან.**





ანა დურიცკაია: მიშა, ხომ არ გავისეირნოთ ღამის კრეშჩატიკზე?

უწინ არსებობდა უამრავი საფინანსო სქემა, რომელიც უზრუნველყოფდა ასეთ პარაზიტობას. დღეს ამ სქემებიდან, მეტ-ნაკლები წარმატებით რომ ემსახურებოდა ამერიკის უდარდელ არსებობას, დარჩა მხოლოდ ერთი — მძლავრი პროპაგანდა, რომელიც უყალიბებს ადამიანებს რწმენას, რომ ყველგან, გარდა აშშ-ისა, მათ ფულს გაქრობა ემუქრება. ხოლო ამ ილუზიის „საკვებად“ რა არის აუცილებელი? მართალი ხართ — **ხელოვნურად უნდა შექმნა სამხედრო ან სოციალური კონფლიქტები ყველგან, სადაც კი ხელი მიგიწვდება.** შედეგად, **დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭულიდან ფული „გადაედინება“ ამერიკაში! ამიტომ გამოვიჩინოთ შეგნება, შევიდეთ აშშ-ის მდგომარეობაში — მას ხომ არ აქვს ალტერნატიული გამოსავალი, გარდა იმისა, რომ სხვა სახელმწიფოებში, თუნდაც მეგობრულად განწყობილშიც კი, შექმნას დესტაბილიზაცია თავისი „ოპციებით“ — სისხლისღვრისა და ეკონომიკური კოლაფსის სახით.** აშშ-ც ხომ სულდგმულია, მაშასადამე, ჭამაც უნდა! და თუ თავისი პარაზიტული ინტერესების გამო ამერიკა მოძმე ისრაელსაც არ ინდობს (გავიხსენოთ, რამდენი ათწლეულია, ეს ქვეყანა დენთის კასრზე ცხოვრობს!), რაღა ვთქვათ რუსეთზე.

ჰოდა, მოინდომა აშშ-ის დღევანდელმა ადმინისტრაციამ რუსეთში არეულობის მოწყობა და ძლიერ შეუტია ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს. 28 თებერვალს მოსკოვის ცენტრში, ლამის კრემლის კედელთან მოკლეს ცნობილი პოლიტიკოსი ბორის ნემცოვი. აქაც ჩნდება კითხვა: ვის აძლევდა ხელს ამ ადამიანის სიკვდილი — რუსეთის ხელისუფლებას? მოდი, გადავხედოთ, თუ რას წარმოადგენდა ბორის ნემცოვი. ის იყო ამჟამინდელი რუსი ოპოზიციონერებიდან ერთი-ერთი ყველაზე პოპულარული და, ამასთანავე, ერთ-ერთი ყველაზე უმოქმედო მოღვაწე. ნემცოვი უკვე აღარ ხელმძღვანელობდა აქტიურ პოლიტიკურ სტრუქტურებს და, თუ მონაწილეობდა რომელიმე მასობრივ თავშეყრაში, მხოლოდ კერძო პირის სტატუსით. თანამდებობების დატოვების შემდეგ ნემცოვმა გაითქვა სახელი, როგორც მექალთანემ, ქარაფშუტამ და დარდიმანდმა. ასეთი ცხოვრების სტილით ის უფრო ჩირქს სცხებდა ოპოზიციას, ვიდრე ეხმარებოდა; ანუ ოპოზიციას მკვდარი ნემცოვი (როგორც მსხვერპლი — სიმბოლო) უფრო მეტ სარგებელს მოუტანდა, ვიდრე ცოცხალი. ასე რომ, პუტინმა და მისმა ხელისუფლებამ, ნემცოვის სახით, დაკარგა იდეალური მოწინააღმდეგე — უკეთესს რომ ვერ ინატრებდი! არა, **რუსეთის ხელისუფლებას ნემცოვის სიკვდილი (დროის ამ მონაკვეთში მაინც) ნამდვილად არ აძლევდა ხელს. მაშ, ვის?**

საერთოდ, ნებისმიერ ბოროტმოქმედს აქვს ე. წ. საკუთარი ხელწერა. გავიხსენოთ: ბორის ნემცოვი მოკლეს კრემლთან, რაც ამ მკვლელობას, უდავოდ, ნიშანდობლივს ხდის. გავიხსენოთ ჩვენთვის კარგად ცნობილი **ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობა 2006 წლის 7 ოქტომბერს — პუტინის დაბადების დღეს.** როგორც ხვდებით, ჟურნალისტის მკვლელობა თავისებური „მილოცვა-საჩუქარი“ იყო რუსეთის პრეზიდენტისადმი. და მთავარი — **ნემცოვის გვამმა გაცივება ვერ მოასწრო, რომ დანაშაულის ადგილს ყვავ-ყორნებივით დაესივნენ ამერიკელი ჟურნალისტები და საეჭვო შეხმატკბილებით დაასახელეს ბოროტმოქმედი — რუსეთის ხელისუფლება. ყველაზე „გაუგებარი“ საქციელი კი ჩაიდინა აშშ-ის ელჩმა რუსეთში, საქართველოს დიდმა „გულშემატკივარმა“ — ჯონ ტეფტმა, როდესაც ზამოსკვორეცკის ხიდზე თაიგულით ხელში გამოცხადდა. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ამბავია — კაცმა მოკლულისადმი პატივისცემა გამოხატა, მაგრამ თაიგული გადახვეული იყო უკრაინული დროშის ფერების ლენტით...** სხვათა შორის, **ნემცოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილებმა, რომლებიც რამდენიმე დღის წინათ დააკავეს, აღიარეს დანაშაული და განაცხადეს, რომ მკვლელობის შეკვეთა მიიღეს ჯოხარ დუდაევის სახელობის ბატალიონიდან, რომელიც თავდაუზოგავად ებრძვის ნოვოროსიის სახალხო ლაშქარს. თანხის ოდენობაც (8 მილიონი ამერიკული დოლარი) დაასახელეს; და, თუ გავითვალისწინებთ, ვისი მარიონეტია კიევის ხელისუფლება, ნათელი ხდება მკვლელობის მთავარი შემკვეთის ვინაობაც.**

ნემცოვის „პასიაც“ — ანა დურიცკაია არ დავივიწყოთ. ეს ქალბატონი პარალელურად საყვარლობდა სპეცდანიშნულების პოლკ „დნეპრ-1“-ის მეთაურს, იური ბერიოზას.

ამერიკის ადმინისტრაცია იმედოვნებდა, რომ ნემცოვის სიკვდილი მოსკოვში ახალ მაიდანს ააგორებდა და ამ ამბით ასიათასობით აღშფოთებული ადამიანი თუ კრემლის შტურმს არ დაიწყებდა, სულ ცოტა, წითელ მოედანზე კარვებს მაინც გაშლიდა; მაგრამ, რომ იტყვიან, აშშ-ს აქაც ჩაუვარდა კოვზი ნაცარში — არათუ სრულიად რუსეთის, მოსკოვის მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ „ფლეიბოი“ ნემცოვის მკვლელობა, ბოდიში და, „დაიკიდა“. უფრო მეტიც, **რუსი ხალხის განწყობა გამოიხატა ამ წინადადებაში: „ერთი მოღალატით ნაკლებია!“.** არადა, ნემცოვი არა მხოლოდ ცოლებს, არამედ სამშობლოსაც ღალატობდა. ამის დასამტკიცებლად ის ფაქტიც გამოდგება, რომ ნემცოვი არაერთხელ მოუწოდებდა რუსეთის მთავარ მტერს — აშშ-ს — ძალა გამოეყენებინა „პუტინის რეჟიმის“ დასამხობად (ჩათვალე — რუსეთის წინააღმდეგ).

ბორის ნემცოვმა თვითონ აირჩია თავისი ბედი, როდესაც სამშობლოთი დაიწყო ვაჭრობა. ღალატს მისთვის პირადი კეთილდღეობა (ფული) მოჰქონდა. საუბედუროდ, ამ საბრალო ადამიანს დაავიწყდა, რომ მოღალატეები არავის უყვარს, უპირველეს ყოვლისა, თვითონ პატრონ-გადამხდელს. „პატრონი“ მოღალატეში მხოლოდ გამოყენებით „მასალას“ ხედავს, მაგალითად, ტუალეტის ქაღალდს ან ლიმონს, რომელსაც გამოწურავს და ნაგვის ყუთში გადააგდებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ამ წერილის სათაურად გამოტანილ კითხვაზე — გაიზიარებს თუ არა სააკაშვილი ბორის ნემცოვის ხვედრს? — პასუხი ასეთია: აუცილებლად! რადგან ეს ყველა რანგისა და ჯურის მოღალატის კანონზომიერი აღსასრულია!**

**გიორგი კორძაძე**

## ლევან ბოძაშვილი: ჩვენ მზად არ ვართ ასოცირების ხელშეკრულებისთვის!



**საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი ლევან ბოძაშვილი ესაუბრა.**

**— ბატონო ლევან, ევროკომისარ იოჰანეს ჰანის განცხადებით, ევროკავშირი მზად არ არის, საქართველოს სავიზო რეჟიმი მოუხსნას. არადა, ქართველი საზოგადოება, დიდი ხანია, ამას ელოდა და, სიმართლე რომ ითქვას, ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ასე აღტაცებით შეხვდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას, იყო ის, რომ ვიზების ლიბერალიზაციის იმედი ჰქონდა.**

— საზოგადოების იმედიანი დამოკიდებულება მსგავსი საკითხებისადმი მათი ბრალია, ვინც საზოგადოებას ამ მოლოდინს უქმნის და ამით ქულებს იწერს. ამიტომ პოლიტიკოსებმა და მთავრობამ საზოგადოებასთან კომუნიკაციის საშუალება უნდა გამონახონ და აუხსნან მას, რა პროცედურები გველის და რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ.

რიგის სამიტი აღმოსავლეთ პარტნიორობის არაფორმალური სამიტია, რომელმაც შეიძლება ჩვენი პროგრესი აღნიშნოს. ახლა ევროკომისია ტექნიკურ შეფასებას აკეთებს და იმედია, ეს შეფასება დადებითი იქნება. თუმცა მეორე საკითხია — **მოინდომებს კი ევროკავშირი ჩვენთვის სავიზო ლიბერალიზაციის შემოღებას? უარის თქმას ქართველ საზოგადოებაში ევროკავშირის დისკრედიტაცია მოჰყვება.** ეს ევროპაშიც კარგად იციან. მიმაჩნია, რომ სავიზო ლიბერალიზაცია ევროკავშირთან აუცილებლად გვექნება, თუმცა არ ველოდი, რომ 2015 წელს ვიზების ლიბერალიზაცია გვექნებოდა.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოს მთავრობამ ევროკავშირს ასოცირების ხელშეკრულების სავაჭრო ნაწილის ცალმხრივად შეჩერება უნდა მოსთხოვოს, ვინაიდან ეს ნეგატიურად აისახება ფისკალურ კრიზისზე. იმპორტზე საბაჟო ტარიფის მოხსნის გამო, საქართველო წლიურად 10 მილიონს დაკარგავს, ხოლო ჩვენი ექსპორტი ვერ აბალანსებს იმპორტს. რატომ არ აყენებს ამ საკითხს საქართველოს მთავრობა ევროკავშირთან?**

— საუბარია, არა მთლიანად ხელშეკრულების შეჩერებაზე, არამედ მხოლოდ ერთ ნაწილზე, რათა მათ გადაიხადონ საბაჟო გადასახადი. შესაძლოა, მთავრობა იმიტომ არ აყენებს ამ საკითხს, რომ შემდეგ არ მოხდეს ამ თემით სპეკულირება, თითქოს საქართველოს ხელისუფლება ევროასოცირებას წინ აღუდგა. ვინაიდან მე დამოუკიდებელი ექსპერტი ვარ და სწორედ ამ განცხადების გამო ჩემ მიმართაც კი უარყოფითი შეფასებები გაისმა.

**— კიდევ რა ნეგატიური შედეგი შეიძლება გამოიწვიოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამ, რისთვის უნდა იყოს საზოგადოება მზად?**

— ერთადერთი პრობლემა არის ის, რომ, **ეკონომიკური თვალსაზრისით, მზად არ ვართ ასოცირების ხელშეკრულებისთვის, ვგულისხმობ იმას, რომ ქართული ბიზნესკომპანიები მზად არ არიან, ევროპული სტანდარტების შესაბამისი პროდუქცია აწარმოონ და ამ სტანდარტებთან მიახლოებას დიდი დრო დასჭირდება. ამ პერიოდის განმავლობაში შეიძლება ინვესტიციები გაიზარდოს, მაგრამ ქართული ბიზნესი კიდევ უფრო შევიწროვდეს.** მუშაობა და მთავრობის მხრიდან პროტექციონისტული მიდგომაა საჭირო, უფრო მეტი დახმარება სჭირდება ეროვნული წარმოების იმ სეგმენტს, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე უნდა გავიდეს. თუ ამ ვაკუუმს მთავრობა შეავსებს, ასოცირების ხელშეკრულება ჩვენთვის მომგებიანი იქნება.

ვფიქრობ, **გარდამავალ პერიოდში, ანუ უახლოესი ხუთი-შვიდი წლის განმავლობაში, საქართველოსთვის აუცილებელია, როგორც რუსეთის ბაზრის შენარჩუნება, აგრეთვე, ევროპის ბაზრის პერსპექტივებზე მუშაობა.** საკუთარი წარმოება დამოუკიდებლობის განსაზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ევროასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, სავაჭრო ნაწილში დღესაც გვაქვს გარკვეული კვოტები, მაგრამ ჩვენი წარმოება ისე სუსტია, რომ ამასაც ვერ ვაკმაყოფილებთ. მაგალითად, შეგვიძლია 4 400 ტონა ხორცის ექსპორტირება, მაგრამ არათუ ექსპორტი, შიგა მოხმარებისთვისაც არ გვყოფნის და სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს. **ჩვენ მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებულნი, პრობლემაც ეს არის.** სწორედ აქედან გამომდინარე, მაქვს გარკვეული შენიშვნები და მოსაზრებები, ამიტომ ამ მიმართულებით სპეციალისტებისა და მთავრობის მუშაობა უნდა გააქტიურდეს.

**ესაუბრა შორენა ციკქარაშვილი**

„ნაციონალებს“ პროვოკაციაზე ნერწყვი მოსდით და ერთი სული აქვთ, თუნდაც ერთ გამწარებულ მოქალაქეს ნერვებმა უმტყუნოს, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩნდება კითხვა — როდემდე უნდა ითმინოს საქართველომ ნაცმანქურთების პარპაში? როდემდე შეიძლება, ნერვები მოთოკოს იმ ასეულობით და ათიათასობით ნამუსახდილმა მოქალაქემ, რომელთაც სააკაშვილის პირსისხლიანი ჯალათები ციხეებით, ხელკეტებითა და იატაკის საწმენდი ჯოხებით აუპატიურებდნენ?!

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავადმყოფს ლოგინში უნდა უწამლო, ანუ კოაბიტაციიდან თბილისურ მაიდნამდე

**21 მარტს სააკაშვილის პირსისხლიანი ხროვა თბილისში, რუსთაველის გამზირზე აქციის გამართვას აპირებს. მეცოცხეების პარტია დედაქალაქის ცენტრში ერთადერთი მოთხოვნით შეიკრიბება — გადადგეს მთავრობა!**



ხელისუფლების შეცვლიდან ორი წლის თავზე ეს უკვე მეორე აქციაა, რომელსაც ნაცმანქურთების სექტა რუსთაველზე ჩაატარებს. პირველი შარშან, 15 ნოემბერს გამართეს იმ „რუსული ოკუპაციის“ წინააღმდეგ, რომელიც მათივე თავკაცის, მიხეილ სააკაშვილის ავადმყოფურ პოლიტიკაზე მეზობელი სახელმწიფოს ადეკვატური პასუხი იყო, ხოლო მეორეს, უკვე არც მეტი, არც ნაკლები, მინისტრთა კაბინეტისა და პრემიერის გადადგომის მოთხოვნით აწყობენ.

ბედის ირონიაა, რომ **საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაშიც დღეს ბევრია ადამიანი, რომლებიც 2012 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ აცხადებდნენ, „ნაცმოძრაობა“, როგორც პარტია, მოქკავშირის ბედს მალე გაიზიარებსო.** ისინი სააკაშვილის რეჟიმს პოლიტიკურ მოუსავლეთში გამგზავრებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ეს მოლოდინი, რბილად რომ ვთქვათ, უტოპიური აღმოჩნდა. მეტიც — **„ნაცმოძრაობა“ კი არ გაქრა, მთავარი ოპოზიციის სტატუსი დედის რძესავით შეირგო და ისე მომძლავრდა, უკვე ხელისუფლების შეცვლას ითხოვს.** ამაზეა ნათქვამი: ავადმყოფს ლოგინში უნდა უწამლო, თორემ, რომ წამოდგება, აქეთ მოგწამლავო. — ეს „ქოცნებამ“ არ ან ვერ გაითვალისწინა და აი, შედეგიც — ჰაერში ევრომაიდნის სუნია! ახლა კაცმა არ იცის, ეს სუნი მოედება თუ არა ქვეყანას და მიგვიყვანს თუ არა რეალურ აფეთქებამდე, მაგრამ ფაქტია: პოლიტელიტა, რომელიც ორი წლის წინათ გულში ჩავიკარით, უნიათო აღმოჩნდა და, ამასთანავე, კოალიციაში შემავალმა რიგმა სუბიექტებმა, მაგალითად, **რესპუბლიკურმა პარტიამ, ერთიერთზე გაიმეორა სააკაშვილის მოღალატეობრივი პოლიტიკა** (ეს მოულოდნელი, ალბათ, არავისთვის ყოფილა).

რაც შეეხება საზოგადოებას, დასაწყისში „ნაციონალების“ პირველი აქცია ვახსენე და, ალბათ, ყველას გახსოვთ, იმხანად რა შიშიც არსებობდა, — პროვოკაცია იგეგმებაო. დაახლოებით ანალოგიური „ჟიმჟიმი“ აქვს ახლაც ხელისუფლებას და მოსახლეობას აფრთხილებს,— სიტუაციის გამწვავებას მოერიდეთო. ცხადია, **„ნაციონალებს“ პროვოკაციაზე ნერწყვი მოსდით და ერთი სული აქვთ, თუნდაც ერთ გამწარებულ მოქალაქეს ნერვებმა უმტყუნოს, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩნდება კითხვა — როდემდე უნდა ითმინოს საქართველომ ნაცმანქურთების პარპაში? როდემდე შეიძლება, ნერვები მოთოკოს იმ ასეულობით და ათიათასობით ნამუსახდილმა მოქალაქემ, რომელთაც სააკაშვილის პირსისხლიანი ჯალათები ციხეებით, ხელკეტებითა და იატაკის საწმენდი ჯოხებით აუპატიურებდნენ?!**

**თუ შეიძლებოდა, რომ ოლიგარქ ივანიშვილისთვის სააკაშვილის რეჟიმის მიერ წართმეული 80 მილიონი სასწრაფოდ დაებრუნებინათ; თუ შეიძლებოდა, ღარიბაშვლის სიმამრი, თამაზაშვილი, ციხიდან ისე გამოეყვანათ, რომ ამნისტიას არ დალოდებოდნენ, რიგითი მოქალაქის დარღვეული უფლებების აღდგენა დააზარალებს სახელმწიფოს?! მაშინ ეს ქვეყანა მხოლოდ მილიარდერ ივანიშვილისთვის გათავისუფლებულა რეჟიმისგან და საკითხავია, 2012 წლის 2 ოქტომბერს რას ვზეიმობდით — ნაცმანქურთების პარპაშის დასასრულს თუ «დაჩაგრული» ოლიგარქის გალაღებას...**

ირაკლი ღარიბაშვილმა ამას წინათ განაცხადა, სამართლიანობის აღდგენას თავისი წესი აქვს და პროცესს ხელოვნურად ვერ დავაჩქარებთო. აქაც ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა — **თუ შეიძლებოდა, რომ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ოლიგარქ ივანიშვილისთვის წართმეული 80 მილიონი სასწრაფოდ დაებრუნებინათ; თუ შეიძლებოდა, ღარიბაშვილის სიმამრი თამაზაშვილი ციხიდან ისე გამოეყვანათ, რომ ამნისტიას არ დალოდებოდნენ, „რიგითი“ მოქალაქის დარღვეული უფლებების აღდგენა დააზარალებს სახელმწიფოს?! მაშინ ეს ქვეყანა მხოლოდ მილიარდერ ივანიშვილისთვის გათავისუფლებულა „რეჟიმისგან“ და საკითხავია, 2012 წლის 2 ოქტომბერს რას ვზეიმობდით — ნაცმანქურთების პარპაშის დასასრულს თუ „დაჩაგრული“ ოლიგარქის გალაღებას...**

ისე, თქმა თუა, სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას, — **საზოგადოება კვლავ ნიჰილიზმის მორევშია ჩაძირული და პირდაფჩენილი ელოდება ახალი „მესიის“ გამოჩენას. ოცი წელია, ასე ველოდებით და ყველა „მესია“ ნომრიანი ყალთაბანდი აღმოჩნდა. მაინც ვერ ვისწავლეთ, მაინც ველოდებით მის გამოჩენას ჭაში ჩასმული ზეზოსავით. ეს არის დაუძლურებული, დაბეჩავებული და ნამუსახდილი საქართველო, რომელსაც ყველა აკომპლექსებს, დაწყებული კურდღლისტუჩა სააკაშვილით, რომელიც გორში რუსული თვითმფრინავის გამოჩენისას მიწაზე ფორთხავდა, დამთავრებული ოლიგარქით, რომელმაც სამპროცენტიანი რესპუბლიკური პარტია ერთი ხელისმოსმით შემოგვაკვეხა.** ამ სახელმწიფოს თავის დაცვა არ შეუძლია ოცდაათ ვერცხლზე გაყიდული პოლიტიკანებისგან და სწორედ ამ საქართველოზე წერდა საუკუნე-ნახევრის წინათ გულდამწვარი აკაკი წერეთელი, ფურთხის ღირსი ხარო. საუბედუროდ, **სულმნათი მგოსნის ეს უკვდავი სტროფი დღესაც აქტუალურია, რადგან საქართველო, რომელსაც იმის თავი არ აქვს, რომ სააკაშვილის ხროვა ალაგმოს, მართლაც ფურთხის ღირსია.** თუმცა, ეს ფურთხი არ გვაკლია და არც მოგვაკლდება, ვიდრე პოლიტიკური სპექტრი ავგიას თავლასავით არ გაიწმინდება...

ახლა ველოდოთ ჰერკულესის გამოჩენას...

**ჯაბა ჟვანია**

შემოსავლების სამსახური



## გადასახადის გადამხდელთა გარკვეულ კატეგორიას საგადასახადო დავალიანების გადახდა აღარ მოუწევს

**შემოსავლების სამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად გადასახადის გადამხდელთა გარკვეულ კატეგორიას საგადასახადო დავალიანების გადახდა აღარ მოუწევს.**

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, 309-ე მუხლის 37-ე ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, ჩამოწერას დაექვემდებარა: **ა)** 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ აქვს;

**ბ)** 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ აქვს;

**გ)** საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის ფიზიკური პირისთვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და ამ ნორმის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა.

ამჟამინდელი მდგომარეობით, „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, 179 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება 40 368 811.30 ლარი; „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, 87 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება 414 550,00 ლარი; „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, 2624 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო დავალიანება 1 874 827,40 ლარი“, — განაცხადეს შემოსავლების სამსახურში.

შემოსავლების სამსახური საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას ახორციელებს, როგორც თავისი ინიციატივით, ასევე გადამხდელის მომართვის შემთხვევაში.

## რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს შესახებ განცხადება გაავრცელა

**„იმ პირობებში, როდესაც თბილისი ჯიუტად აცხადებს უარს, ხელი მოაწეროს ძალის გამოუყენებლობის შეთანხმებას, რუსეთ-აფხაზეთის თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში განსაკუთრებით აქტუალურია“, — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.**

„ორ მხარეს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზაა განლაგებული, ჩვენი მესაზღვრეები საქართველოსთან საზღვარს იცავენ“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ამას გარდა, როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება, ქვეყნის პირველი დიპლომატი სერგეი ლავროვი მოსკოვში 11 მარტს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე. წ. საგარეო უწყების ხელმძღვანელ ვიაჩესლავ ჩირიკბას შეხვდება და ორ ქვეყანას შორის კავშირების შესახებ, მათ შორის, საგარეო პოლიტიკის კუთხით თანამშრომლობის გაძლიერებაზე ისაუბრებენ.



უცხო თვალით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ნატო და ყველა ევროპული ქვეყანა და მათ უკან მდგარი აშშ დაუყოვნებლივ და საფუძვლიანად არ შეწყვეტენ უკრაინის ტერორისტულ-პუტჩისტური მთავრობის ყოველგვარ დახმარებას, — გვეუბნებიან ავტორები, — ის უბედურება, რომელიც უკრაინაში ტრიალებს, უახლოეს მომავალში ჩვენ დაგვემუქრება“.**

# ჯოჯოხეთის გამონათება, ანუ «სიკვდილის სექტის» ზრახვანი

**გერმანულმა ტელეარხმა Klagemauer TV-მ გადაიღო ფილმი, რომელიც ვაშინგტონის ექსპანსიონისტურ მიზნებს ამხელს. ავტორების მიერ მოწოდებული ფაქტები, გაანალიზებული პროცესები, რომლებიც ვითარდება დღევანდელ ცხელ წერტილებში, ხვალ შეიძლება, საყოველთაო უბედურებად შემოუბრუნდეს მსოფლიოს და ყველა ჩვენგანს. ფილმი-გაფრთხილება — თვალის ასახელად შემცდართა და გამოსაფხიზლებლად ურწმუნოთა. „საქართველო და მსოფლიო“ დღეს ამ ფილმის გადმოქართულებულ საგაზეთო ვარიანტს გთავაზობთ.**



მანამდე კი — მოკლე რეპლიკა ციკლიდან „სააკაშვილის ვნებანი“.

4 მარტს აშშ-ის სენატის კულუარებში ტრადიციულ შეკრებაზე („მოსმენაზე“), რომელიც ძალიან ჰგავს ფსიქოთერაპიის სეანსებს, სიტყვით ორი ყოფილი გამოვიდა — **გარი კასპაროვი**, მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში და საქართველოს ექსპრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი.** ორივემ უნისონში მოითხოვა უკრაინის შეიარაღება რუსეთის წინააღმდეგ ომში.

ცუდად ყოფილა ამერიკის პროპაგანდის საქმე, ამათ იმედზე თუა.

მაგრამ კადრების ეს საკითხი ამერიკელთა თავსატეხია, საწუხარი კი ის არის, რომ იმავე **სააკაშვილის და მის მსგავსთა თავგამოდება ამერიკული იარაღით უკრაინის აღჭურვის თემაზე მესამე მსოფლიო ომის გაღვივებულ ნაკვერჩხალზე ნავთის დასხმასავით არის.**

ამ საშიშროების შესახებაა გერმანელების მიერ გადაღებული ფილმი, რომელიც მაღალი პუბლიცისტური რეგისტრით არის გამორჩეული.

**„თუ ნატო და ყველა ევროპული ქვეყანა და მათ უკან მდგარი აშშ დაუყოვნებლივ და საფუძვლიანად არ შეწყვეტენ უკრაინის ტერორისტულ-პუტჩისტური მთავრობის ყოველგვარ დახმარებას, — გვეუბნებიან ავტორები, — ის უბედურება, რომელიც უკრაინაში ტრიალებს, უახლოეს მომავალში ჩვენ დაგვემუქრება“.**

ეკრანზე ერთმანეთს ცვლის შემაძრწუნებელი კადრები — „უახლესი იარაღით“ დახოცილი ადამიანები — ფეხებ და ხელებწაგლეჯილი გვამები, თოთო ბავშვის ნახევარსხეული, მამას რომ აუტაცია გასისხლიანებული ხელებით, თხემგადაგლეჯილი ბავშვი, გაუპატიურებული, კაბაშემოხეული ქალები, გოგონები, დახვრეტილი ადამიანების „მწყობრი რიგები“: ხელებდაბორკილ მსხვერპლს აჩოქებენ და ავტომატის მოკლე ჯერით წერტილს უსვამენ ცხედართა სტრიქონებით დაწერილი ჩვენი დროის სისხლიანი მატიანის კიდევ ერთ გვერდს კაენის ცოდვით დაღდასმულს. ქალაქის თავზე კი შხამიან ღრუბლებად იგრაგნება „გრადებით“ მიწასთან გასწორებული ნაქალაქარიდან ავარდნილი კვამლის უზარმაზარი სოკოები.

ამ შემზარავი კადრების მიღმა — დიქტორის ტექსტი:

**„ზუსტად ასე შეიძლება უპატრონოდ ეგდოს ჩვენი დედებისა და მამების, უმწეო მოხუცების გვამები, ზუსტად ასე შეიძლება ეყაროს მიწაზე ჩვენი ბავშვების გაგლეჯილი სხეულები... ზუსტად ასე შეიძლება გააუპატიურონ ჩვენი დედები, ცოლები და ქალიშვილები“.**

რატომ?

**„რატომ ჩვენს კაცებს
აღარა აქვთ
ძარღვებში სისხლი?
ჩვენს ქალებს ცრემლი
რატომ დაუშრათ?“**

ამ საკრალურ შეკითხვაზე ცდილობს პასუხის გაცემას ცრუმოსამართლე და მასხარა ფილოსოფოსი აზდაკი ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეში“:

**„და რატომ შერჩათ სისხლი
სასაკლაოზე მიდენილ
ხბორებს,
ცრემლი კი — მხოლოდ
წყლის ნაპირზე მდგარ
ტირიფებს?
რატომ?“**

რობიკო სტურუას დადგმულ გენიალურ სპექტაკლში განუმეორებელი რამაზ ჩხიკვაძის აზდაკი ამ შეკითხვას დახვეწილი ბელკანტოთი უპასუხებს — თითქოს იტალიური კანცონით, „იტალიურად“ ნამღერით, და იქმნება უნიკალური სცენური სახიობა, ლიტერატურული სახეც, რომელიც კონკრეტულად არაფერს გეუბნება, მაგრამ იტევს ყველაფერს, სხვათა შორის, იმასაც, რასაც გერმანელი ავტორები შეუფარავად გვეუბნებიან ამ ფილმში.

გვეუბნებიან და გვაფრთხილებენ, თუ რაღაც არ შეიცვლება დღევანდელ მსოფლიოში, „ზუსტად ასე შენც შეიძლება, გაგაცოფოს ნანახმა, შენც შეიძლება დაგემუქროს შიმშილი, უსახლკარობა და უსასოობა. ზუსტად ასე შეიძლება ჩამოგექცეს მშობლიური ქალაქის კედლები და ზუსტად ასე მოიფინოს შენი და შენიანების გვამებით მისი ქუჩები“.

ასეთი იქნება რეალური პერსპექტივა, რადგან **მესამე მსოფლიო ომი ყველა ჩვენგანის კარსაა მომდგარი.**

**„ახალი ომი გარდაუვალია იმიტომ, რომ:**

**1. ასე სურს ამერიკის შეერთებულ შტატებს;**

**2. აშშ გაკოტრებულია და მსოფლიოს ეს უძლიერესი ქვეყანა მსოფლიოში უდიდესი ვალებითაა დამძიმებული;**

**3. ახალი საბანკო სისტემა „ბრიკსი“ აჩქარებს უოლ სტრიტისა და პენტაგონის კაპიტალიზმის საბოლოო კრახს;**

**4. აშშ-ის მთავრობამ ადრეც არაერთხელ აირიდა დეფოლტი ომების მეშვეობით;**

**5. უოლ სტრიტისა და პენტაგონის ყურმოჭრილ ყმებს, რომლებიც თეთრ სახლში არიან მოკალათებულები, მსოფლიოზე განუყოფელი ბატონობა სურთ;**

**6. მსოფლიო თანამეგობრობის უმეტესმა ნაწილმა ირწმუნა აშშ-ის სიცრუე ე. წ. არაბული გაზაფხულის შესახებ. დავიჯერეთ, რომ აქ თავდაცვის პრინციპი მოქმედებდა და არა დემოკრატიულად შეფერადებული დამპყრობლურ-ტერორისტული ომი;**

**7. მასობრივი ინფორმაციის მთავარი საშუალებები აშშ-ის მოკავშირედ მოგვევლინა ამერიკული მაქინაციების განხორციელების საქმეში: მთელ მსოფლიოში ავრცელებენ ისინი დაკვეთილ სიცრუეს და ამით მიზანმიმართულად ამზადებენ ხალხებს ომისთვის;**

**8. ამის გამო ყველა ხალხი იმდენად გამოტვინდა, რომ ვერ ამჩნევს და ვერ აფასებს იმ საშიშროებას, რომელიც ახლა უკრაინაში ხდება.**

არადა, საჭიროა, ყველამ იცოდეს და გაისიგრძეგანოს, რომ მსოფლიოს შესაძლო კატასტროფის მუხტი დღეს მაინცდამაინც უკრაინაშია და მის გასანელებლად არავითარი დახმარება არ უნდა გავუწიოთ ამ ქვეყნის მთავრობას.

ამის გაკეთება საჭიროა იმიტომ, რომ:

**1. ეს მთავრობა შეიქმნა სისხლის სამართლის დამნაშავეთა ტერორისტული პუტჩის გზით;**

**2. ეს დამნაშავენი ააჯანყა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ამერიკამ დაიქირავა ისინი, გაწვრთნა შეაიარაღა საომარი საშუალებებით და მისცა ტერორისტული დაკვეთები;**

**3. ახალი პუტჩისტური მთავრობის წევრები არა მხოლოდ ამერიკის დაქირავებული აგენტები არიან, არამედ — პირწავარდნილი ნაცისტები. ყველა, ვისაც ფხიზელი მზერა აქვს და არ დაუკარგავს განსჯის უნარი, უნდა ხედავდეს და ხვდებოდეს, რომ ეს ე. წ. ნაცისტები ყველგან და ყოველთვის ერთსა და იმავე როლს თამაშობენ, იწვევენ არეულობას, დაბნეულობას, არბევენ მშვიდობიან დემონსტრაციებსა და აქციებს, სამოქალაქო ომის ცეცხლს ანთებენ მთელ რიგ ქვეყნებში. შავებში გამოწყობილი ეს ნაცისტები არსად და არასოდეს გამოსულან ეროვნული ინტერესების დასაცავად, რადგან არსად და არასდროს ყოფილან თავიანთი ერების წარმომადგენლები, მათი ინტერესების, მათი ზნეობისა და ტრადიციების მატარებელნი.**

ისინი, როგორც საზარელი აჩრდილები, მოდებული არიან მსოფლიოს და ახალ მსოფლიო წესრიგს ამკვიდრებენ. ხალხებს ამზადებენ იმისთვის, რათა უსიტყვოდ მიჰყვნენ მასობრივი მედიის პატრონების მიერ ნაჩვენებ გზას“.

**ყველაფერი კეთდება ერთი მიზნის მისაღწევად — აიძულონ რუსეთი, ჩაებას ომში, რათა შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ ომში გაგზავნონ მასმედიით მოტყუებული და შემცდარი ევროპელი ხალხები... მაშინ დაიღუპებიან ჩვენი ხალხები და სისხლისგან დაიცლება ევროპა. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შევაჩეროთ ყოველგვარი დახმარება, რომელსაც უკრაინის ტერორისტულ-პუტჩისტური მთავრობისთვის გავილებდით...**

**რა მიზნები ამოძრავებთ „მაიდნის ნაცისტებს“?**

უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ **უკრაინელი ნაცისტი-პუტჩისტების დამფინანსებლები არიან მათი ამერიკელი ბატონები. სწორედ ისინი ამზადებენ ანტიუკრაინულ ამ ორ ძალას ნატოში შესვლის გზით რუსეთთან დასაპირისპირებლად, პირდაპირ ვთქვათ, რუსეთის წინააღმდეგ საომრად.**

**აშკარაა, რომ ეს დამღუპველი კოალიცია რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობას ამზადებს, მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობით ატერორებს უკრაინის ინტერესებისთვის მებრძოლ ეროვნულ მოძრაობებსა და გაერთიანებებს, აყალბებს და აბინძურებს ჭეშმარიტ სახალხო მისწრაფებებს, წარმოგვიდგენს მათ, როგორც საშიშ სეპარატიზმს.**

**ისინი ცდილობენ, ჭეშმარიტად ეროვნული იდეების გაყალბებით აღმოფხვრან ეროვნული იდენტურობა. მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს არწმუნებენ, რომ ნებისმიერი ხალხი, რომელსაც ორიენტირად ეროვნული ინტერესები აქვს არჩეული, საშიში სეპარატიზმის გზაზეა დამდგარი.**

უბინძურესი გაყალბება ნასყიდი პოლიტიკოსების — ჭეშმარიტების თავდაყირა დაყენება *(რომლის დიდოსტატებიც თავად ხომ არიან და ქართველი „ნაცებიც“ კარგად გაწვრთნეს! — რედ.).*

რატომ მიჰყვება ამ გზას უკრაინის მთავრობა, იქაურ ნაცისტებთან ერთად? იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც უკრაინელი ხალხის ინტერესებს კი არა, აშშ-ის ინტერესებს ემსახურებიან.

**ჩვენ, — მიმართავენ ფილმის ავტორები გერმანიის საზოგადოებრიობას, — სასწრაფოდ უნდა გავიგოთ, რომ უკრაინა დაიპყრეს ამერიკელებმა.**

თუკი რამე ძალა ეწინააღმდეგება ამერიკულ ექსპანსიას უკრაინაში, ეს თვით უკრაინელი ხალხია, პროუკრაინულად თუ პრორუსულად განწყობილი. ამიტომაა, რომ ახალი მთავრობისა და მისი ვასალი ნაციონალისტების მიზანია, პირისაგან მიწისა აღგავონ ეს ძალა, დააბრალონ რუსული სეპარატიზმი ისე უსირცხვილოდ, როგორადაც თავიანთი მოწყობილი ტერაქტების გამო ხელს აწმენდენ „სეპარატისტებს“.

ბინძური თამაშით უკრაინელებს, ასევე, ევროპულ სახელმწიფოებს ამზადებენ ომში მონაწილეობის მისაღებად.

**დიდი გეგმა, რომელიც ამ ყველაფრის მიღმაა დაფარული, ასეთია:**

**ამ ომის გაჩაღების მსურველი ამერიკელები მსოფლიოს ბატონობისკენ ისწრაფვიან. გასული საუკუნის ორი მსოფლიო ომის შე-** ▶

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ, ქართველებს, არაფერი გვესაქმება არც ნატოში, არც კატოში და არც სხვაგან. ილია ჭავჭავაძის ნათქვამი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“, როდისღა უნდა მივიღოთ და გავისიგრძეგანოთ? რა გვინდა ნატოში, ადამიანებო, რა სიკეთე და ხეირი ნახეს იმ ქვეყნებმა, რომლებიც ნატოში არიან?“**

◀ **დეგად ისინი, ფაქტობრივად, გაბატონდნენ ევროპაში. ახლახან კი ჩვენ თვალწინ ხელთ იგდეს აფრიკის კონტინენტი და მისი წიაღისეული სიმდიდრენი თითქოსდა დემოკრატიისთვის წარმოებული ომების მეშვეობით.**

**მომდევნო ნაბიჯით მათ სურთ, დააჩოქონ თავიანთი უდიდესი და ყველაზე უფრო საშიში მეტოქე რუსეთი, შემდეგ — ჩინეთი. ირანიც არ უნდა დავივიწყოთ!**

**უკრაინის ოკუპაციით ისინი ახლა რუსეთის საზღვრებს მიუახლოვდნენ. მაგრამ დემოკრატიულად ჩატარებულმა რეფერენდუმმა ყირიმის რუსეთთან შეერთების საკითხზე მათი ყველა გეგმა ჩაფუშა...**

აშშ პირისპირ ომში რუსეთს ვერასოდეს დაამარცხებს. რუსეთზე უპირატესობის მოპოვებას ამერიკელები მხოლოდ ნატოსა და ევროპის ქვეყნების არმიებთან ერთად თუ შეძლებენ. სწორედ ამიტომ სისტემატურად იგონებენ ახალ და ახალ მიზეზებს, ევროპის ქვეყნებს ომის სურვილი რომ გაუღვიძონ.

„* სანამ ყურს დავუგდებთ ამერიკაზე დამოკიდებულ ადგილობრივ მედიას, ომის პროპაგანდა ყოველდღიურად უფრო და უფრო შედეგიანი გახდება.

***სანამ ყურს დავუგდებთ ამ მედიას, ომის გამჩაღებელი ტერორისტები მომგებიან ვითარებაში იქნებიან: თავისუფლად დახვრეტენ უიარაღო მოქალაქეებს, ჯვარზე გააკრავენ უსუსურ ბავშვებს, მათ დედებს კი ჯაჭვით გამოაბამენ ტანკებს და იმდენს ათრევენ, სანამ მათგან ჩონჩხები დარჩება. ისინი კვლავაც გააგრძელებენ უკრაინელი დედების დატერორებას, რომლებიც თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებების დასაცავად გამოვლენ; გააუპატიურებენ და დახოცავენ მათ და ამ ყველაფერს თავიანთ მოკავშირეებს — ნაცისტ-ვასალებს დააბრალებენ. ასე გააბინძურებენ ეროვნულ მოძრაობას.**

*სანამ ჩვენ ვუსმენთ და ვუყურებთ წამყვან მედიასაშუალებებს, რომლებიც ტერორისტებს ეკუთვნის, ისინი კვლავაც შეძლებენ, „სეპარატისტების“ სახელით ააფეთქონ საავადმყოფოები, სკოლები, ჩამოაგდონ თვითმფრინავები, დაბომბონ საცხოვრებელი სახლები და ასე შემდეგ“.

ამ ყველაფერს ისინი დაუბრკოლებლად მოიმოქმედებენ იმიტომ, რომ მათ ტერაქტებს დაფარავს მათივე კუთვნილი მედია. ტერორისტებს საშუალება აქვთ, გაავრცელონ ნებისმიერი სიცრუე თავიანთი შეხედულებისამებრ, ააფეთქონ, დაწვან, დაანგრიონ, რაც მოესურვებათ, და შემდეგ დააბრალონ რუსეთს ან პრორუს „სეპარატისტებს“.

**ყველაფერი კეთდება ერთი მიზნის მისაღწევად — აიძულონ რუსეთი, ჩაებას ომში, რათა შემდეგ მის წინააღმდეგ გაგზავნონ მასმედიით მოტყუებული და შემცდარი ევროპელი ხალხები... მაშინ დაიღუპებიან ჩვენი ხალხები და სისხლისგან დაიცლება ევროპა.**

**ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შევაჩეროთ ყოველგვარი დახმარება, რომელსაც უკრაინის ტერორისტულ-პუტჩისტური მთავრობისთვის გავიღებდით...**

...და მას შემდეგ, როცა უკანასკნელ ტყვიას გავისვრით, როცა ევროპა საკუთარ სისხლში აფართხალდება, როცა რუსეთი პირქვე დაემხობა, ჩინეთი და ამ ომში ჩათრეული სხვა ქვეყნები დაკარგავენ დედებსა და მამებს, შვილებს, მაშინ ერთადერთი რამ დაგვრჩება სადარდებლად — ძალაუფლების სიგიჟემდე მოყვარული ომის ეს გამჩაღებლები, ყველა ამ უბედურების „შემოქმედნი“ მესიად, კაცობრიობის გადამრჩენებად არ წარმოგვიდგენ და არ გააბითურონ მომავალი თაობები მათ მიერ გაყალბებული ისტორიის მეშვეობით.“

**ცრუ მესიები!**

### ბოლოთქმა განსჯისთვის

რა მოხდა ისეთი, რომ დაგვიმონეს ტურებივით გაიძვერა და აფთრებივით დაუნდობელმა ადამიანებმა?

**მოხდა კი ის, მიიჩნევენ ფილმის ავტორები, რომ დაგვაბრმავა ნასყიდმა მასმედიამ, აგვაცუნდრუკა ჰოლივუდის მასპროდუქციამ, გადაგვაქცია სულიერად გამოფიტულ, დაუნდობელ, გულქვა ადამიანებად, დავემონეთ ავხორცობის წუთიერებას, ქედი მოვუხარეთ ბოროტების შემოტევას, სექსის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ტყვეები გავხდით.**

**უნებისყოფო მასად ვიქეცით!**

გაგვიტაცა მომხვეჭელობამ და მატერიალურ სიკეთეთა მომნუსხველობამ, გავველურდით და მანკიერებათა სისინა გველების ყელზე შემოხვევა მხოლოდ მაშინ ვიგრძენით, როცა მათი შხამიანი ორკაპი ენები ჩვენს თვალებთან ათამაშდა.

რომელი ლაოკოონები ვიყავით, ნეტავ?!

ნებისმიერი სიცრუე, რაგინდ აშკარა ყოფილიყო, დავიჯერეთ, ვენდეთ პლაგიატს — „თურქეთის ქვეშევრდომის“, კონგენიალური ოსტაპ ბენდერ ბეის მსგავსი ვასიუკების მსოფლიოს ჭიპად წარმოდგენილი ჩვენი მამულის მომავალს.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: **დავკარგეთ ჩვენი მეობა, კაცობა, ტრადიციები, კულტურა. გავღატაკდით, რადგან მოგვპარეს მატერიალური სიკეთე ყოველი, რაიც ღვთივ გვქონდა ნაბოძები.**

„სხვა საქართველო სად არის?!“

**მსხვერპლად შეგვწირეს იმ სექტას, რომელიც დედამიწის მოსახლეობის „ოქროს მილიარდამდე“ ამოწყვეტას ქადაგებს და იქმს.**

**ამ ერთ მილიარდში ჩვენ რომ არ გვგულისხმობენ, ვაი, თუ მხოლოდ მაშინ ვირწმუნებთ, როცა ფაქტის წინაშე დაგვაყენებს „სიკვდილის სექტა“, რომელიც კაცობრიობას ემუქრება...**

საგაზეთო ვარიანტი
მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

**P.S. წუხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ თავს იკავებს უკრაინის მთავრობისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებაზე.**

**მიშას „რა აკაკანებდა“?**

# «არ გიღებს კარს ეს ნატო და დაანებე თავი!»

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან რამდენიმე დღის წინათ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ნატოში გაწევრების მსურველ ქვეყნებს უარი უნდა ეთქვათ. საქართველოს, კარგა ხანია, ნატოცა და ევროკავშირიც ეუბნებიან, რომ მისთვის ნატოს კარი არ გაიღება, თუმცა ჩვენ ყურს არავის ვუგდებთ და მაინც ჯიუტად ვაკაკუნებთ. რას გვაძლევს ნატოს კარზე კაკუნი ან როდემდე უნდა ვაკაკუნოთ? — ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი, ბატონი გოგი თოფაძე და მამა ელიზბარი (დიაკონიძე) ესაუბრნენ.**





გოგი თოფაძე:
## საქართველოს ნატოში მიღება უტოპიაა!

— საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის განცხადებაში ახალი არაფერი ყოფილა. ეს ყველაფერი, კარგა ხანია, ცნობილია. **ცხადია, რომ ნატოს საქართველოში ჩვენი მეზობლები არ შემოუშვებენ. და, რა თქმა უნდა, არც ნატო აპირებს ჩვენთვის ოდესმე კარის გაღებას. თუნდაც ავიღოთ ის ფაქტი, რომ ხან მაპი მოიგონეს, ხან — რაღაც ახალი სახელწოდებები, ასპირანტიო და ა. შ.** — ვითომ აპირებენ ნატოში ჩვენს მიღებას. დაკვირვებული თვალისთვის ეს ხომ ნათლად წარმოაჩენს სიტუაციას! რეალობა ასეთია: **ნატო საქართველოში ვერ შემოვა. თუ მაინც მოხდა სასწაული და შემოვიდა, ეს ჩვენთვის უდიდესი ტრაგედია იქნება!** იმიტომ, რომ ამას ჩვენი მეზობლები არ გვაპატიებენ — არც ჩრდილოელი მეზობელი და არც დანარჩენები. ვიმეორებ: **ნატოში საქართველოს შესვლა დიდ ეროვნულ ტრაგედიას გამოიწვევს.**

**— მაშ, რატომღა ამბობს ხელისუფლება, — საქართველო ნატოს წევრი გახდებაო, რა საჭიროა ეს ტყუილი?**

— კარგა ხანია, მიმდინარეობს ბჭობა ნატოში შესვლაზე, რაც არასწორია. ვფიქრობ, თვითონ ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც ამაზე ლაპარაკობს, დარწმუნებულია, რომ ნატო აქ აღარ შემოვა, მაგრამ საკუთარი თავის დასაცავად ამბობს ამას. დიახ, გაურბის ოპონენტების კრიტიკას, რომლებიც აცხადებენ, ჩვენ თურმე მარტო რუსეთისკენ ვიყურებით — აი, ესაა. არადა, არაფერი ასეთი არ ხდება. ჩვენ არც რუსეთისკენ ვიყურებით, არც ნატო გვინდა და არც სხვა რამ. ჩვენ გვინდა ძლიერი და სტაბილური საქართველო, თავისი ტრადიციებით, კეთილმეზობლური ურთიერთობებითა და ყველაფრით, რაც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს. ახლა ჩვენი ამოცანაა, როგორმე სასწრაფოდ დავაყენოთ ეკონომიკა ფეხზე, და არც ნატო გვჭირდება და არც ევროკავშირი. ევროკავშირზე არ არის იმდენად ლაპარაკი, რადგან ის სამხედრო ბლოკი არ არის, მაგრამ ისიც კარგად გასათვლელი და მოსაფიქრებელია, რას მოგვიტანს ევროკავშირი და რა შეიძლება, წავაგოთ. ნატოზე ლაპარაკიც რომ ზედმეტია, ეს, კარგა ხანია, ვიცით ყველამ. დიახ, საქართველოს ნატოში მიღება უტოპიაა! ნატო ვერავის დაიცავს, **ნატო ჩვენი დამცველი რომ ყოფილიყო, 2008 წელს და სხვა პერიოდებში გამოიჩენდა თავს.** ნატოზე ლაპარაკი პოლიტიკური ინტრიგებია და მეტი არაფერი. არ გიღებს კარს ეს ნატო, კაცო, და დაანებე თავი, რა გინდა?!



მამა ელიზბარი:
## ამერიკაზე დიდი მტერი ქართველებს არ გვყავს და არც არასდროს გვყოლია!

— ახლა ისეთი ტენდენცია მკვიდრდება, ისეთ აზრს გვინერგავენ, რომ თითქოს მსოფლიო გადაგვეკიდა ამ ერთ მუჭა გადასარევ ქვეყანას და მხოლოდ ამერიკაა ჩვენი მეგობარი. თუ კარგად გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ **ამერიკაზე დიდი მტერი ქართველებს არ გვყავს და არც არასდროს გვყოლია. სწორედ ეს უზარმაზარი მონსტრი სახელმწიფო აპირებს ჩვენს ჩაყლაპვას.** დიახ, საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ძალიან გაიბერა ნატოს რიგები და მისი გაფართოება არ არის საჭირო და არც იგეგმებაო.ესე იგი, ნატოში შესვლაზე უარი ეთქვა უკრაინასაც და საქართველოსაც. სწორი ბრძანა ოლანდმა, რომ **ჩვენ, ქართველებს, არაფერი გვესაქმება არც ნატოში, არც კატოში და არც სხვაგან. ილია ჭავჭავაძის ნათქვამი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“ როდისღა უნდა მივიღოთ და გავისიგრძეგანოთ? რა გვინდა ნატოში, ადამიანებო, რა სიკეთე და ხეირი ნახეს იმ ქვეყნებმა, რომლებიც ნატოში არიან?** ჩვენ, ჩვენი ძველი ტრადიციების მქონეთ, იქ არაფერი გვესაქმება და, თუ ახალი ტრადიციები გვჭირდება, ისეთები გია ჯაჯანიძის გადაცემებში რომ რეკლამას უკეთებენ, კი, ბატონო, მიბრძანდით, მე თავი დამანებეთ.

**— პირდაპირ გვეუბნებიან, ვერ შეხვალთ ნატოშიო და გაუგებარია, რატომ განვაგრძობთ მის კარზე უშედეგო კაკუნს?**

— უფალი ბრძანებს: დააკაკუნეთ და გაგეღებათო! მაგრამ ლაპარაკია არა სატანის, არამედ უფლის კარზე კაკუნზე. მე კი ნატოს კარზე კაკუნი სატანის კარზე კაკუნს მაგონებს, ვიდრე უფლის კარზე კაკუნს.

**— რესპუბლიკელი თინა ხიდაშელის შეფასებით, ოლანდის განცხადება არასერიოზული იყო. ხიდაშელისვე მტკიცებით, ოლანდის სურვილების მიუხედავად, საქართველო გახდება ნატოს წევრი...**

— თინა ხიდაშელი, ბატონი უსუფაშვილი და სხვები — ეს წყალწასაღები ადამიანები (ამას ხმამაღლა ვამბობ და, ვისაც უნდა, იმან განმსაჯოს. პასუხს ვაგებ ღვთის წინაშე და, თუ ნებავთ, მაგათი სასამართლოს წინაშეც, მაგრამ ღვთის წინაშე ნამდვილად ვაგებ პასუხს) ქვეყანას და ერს ნუ მიღუპავენ, ჩემი ერის დაღუპვას და დაქცევას ნუ ცდილობენ, ეყოთ, კმარა! გახსოვთ, სააკაშვილმა ლილიპუტინი რომ ეძახა პუტინს? აი, ახლა ხიდაშელიც იმავეს აკეთებს და საფრანგეთის პრესიდენტს ეძახის სოფლელს. ესენი წვეთი წყალივით გვანან ერთმანეთს, მიუხედავად სქესისა, სიმაღლისა და სიგანისა; ერთი ცენტრიდან იმართებიან, ერთი გასაღები ერგება ყველას. **იცით, რომ ორიოდე დღის წინათ, როდესაც ამერიკის სენატში ბატონი სააკაშვილი გამოზრძანდა, მის გამოსვლას უსუფაშვილიც ესწრებოდა?! აქ პრობლემა ის კი არ არის, რომ უსუფაშვილი სენატის სხდომაზე მივიდა, არა, პრობლემა არის ის, რომ უსუფაშვილი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტს, სააკაშვილი კი ამავე ქვეყნისგან ძებნილი პირია და ამ ქვეყნის ერთ-ერთ ხელმძღვანელს პროტესტი არ გასჩენია სახელმწიფოს მიერ ძებნილი პიროვნების სიტყვით გამოსვლაზე.** მეტიც, იჯდა და მშვიდად უსმენდა. დიახ, იჯდა გაფუყული სახით, როგორც იცის ხოლმე და ვითომც არაფერი. აქედან დასკვნა: **ესენი თამაშობენ ერთსა და იმავე თამაშს, რომელიც ჩემი ქვეყნის თამაში არ არის, და რომელიც ჩემს ქვეყანას არაფერში წაადგება, ის მხოლოდ გარყვნას, წაბილწვას და გაჯაჯანიძებას შეუწყობს ხელს.** რაც შეეხება რურუას განცხადებას, დამიჯდეს ბატონი რურუა ნებისმიერ გადაცემაში, სადაც მას ნებავს და ვილაპარაკოთ, რას ნიშნავს სიტყვა „მოღალატე“ და საზოგადოება გამოიტანს დასკვნას, ვინ არის მოღალატე და ვინ — არა. ნიკა რურუა არის (მინდა, ყველაზე რბილი სიტყვა გამოვიყენო) გათახსირებული პიროვნება და იმიტომ მეტყველებს მსგავსი „დითირამბებით“, რომ დაუსჯელად გრძნობს თავს.

**— მამა ელიზბარ, იქნებ გამოულოცოთ ამ ადამიანებს და ჩვენც გვეშველოს და მათაც...**

— გამიხარდა, ეს რომ მითხარით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ადამიანების გამოლოცვა დედამიწის ზურგზე არავის შეუძლია; იმიტომ, რომ ესენი სულითა და ხორცით არიან სატანისკენ მიდრეკილი. სატანის წიაღში მყოფ ადამიანს კი გამოლოცვა არ შველის.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

დემოკრატიის ნიღბით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კონგოში საკვანძო პოზიციები 5 მონოპოლისტურ ჯგუფს ეკავა (ბელგიური „სოსიეტე ჟენერალ დე ბელჟიკი“, „ამპენი“, „ლოუნა“, „კომინიერი“ და ინგლისურ-ჰოლანდიური კონცერნტი „იუნილევერი“), რომლებიც კაპიტალდაბანდებების 90%-ს აკონტროლებდნენ. იყვნენ სხვა ფინანსური ჯგუფებიც, მათ შორის, როტშილდის, მორგანისა და როკფელერის. ამერიკელი მონოპოლისტების ხელში იყო კონგოს ალმასების, ურანის (სხვათა შორის, ამერიკელთა მიერ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოგდებული ბომბები კონგოს ურანით იყო დამზადებული) და კობალტის საბადოები.**

ბევრი მკვლევარი და ექსპერტი თანხმდება, რომ ბოლო 100 წლის განმავლობაში წამოწყებულ ომებს, რომელთაც ამერიკის მხარდამჭერები მსოფლიო საზოგადოებრიობის შეცდომაში შესაყვანად კულტურულ-რელიგიური მენტალობების დაპირისპირებას უწოდებენ, ამერიკულმა „ცივილიზაციამ“ შთაბერა სული — ამ ომებს ამერიკის შეერთებული შტატები ან აფინანსებს, ან თვითონ არის მათი წამომწყები, რათა დაამხოს ამა თუ იმ სახელმწიფოს მისთვის მიუღებელი ხელისუფლება, დაეუფლოს ქვეყნის სიმდიდრეებს, გაამყაროს თავისი ვალუტა — დოლარი და მსოფლიოზე იბატონოს. აი, რა განაცხადა ამ საკითხზე ორი წლის წინათ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №34, 18-24 სექტემბერი, 2013 წ.) ცნობილმა პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ:**

**„მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების დასამორჩილებლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში, მას სჭირდება „ყველას ყველასთან“ დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომლებსაც აქვთ განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია.** ომები, რომლებსაც აშშ აწარმოებდა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მის მიერვე ორგანიზებული პროვოკაციების, ინსინუაციების, უტიფარი ტყუილის შედეგად იწყებოდა. ვიეტნამში 10-წლიანი ომი კონგრესის მოტყუებით დაიწყეს, რომ თითქოს ვიეტნამელები ამერიკულ გემს დაესხნენ თავს. შედეგად მივიღეთ 3 მილიონი მოკლული ვიეტნამელი, რომლებსაც, სხვათა შორის, ქიმიური იარაღით ხოცავდნენ, სანაცვლოდ კი აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მილიარდობით დოლარი იშოვა. **გაიხსენეთ კოსოვოში ბოსნიელების „მასობრივი მკვლელობებისა“ და „ალბანელთა გენოციდის“ ამსახველი დადგმული ვიდეოკადრები, რომლებსაც სერბი მოსახლეობის უმოწყალო დაბომბვა მოჰყვა. შედეგი კი იუგოსლავიის დანაწევრება, შემდეგ სერბეთის დაშლა და ევროპის ცენტრში მუსლიმანური ანკლავის შექმნაა, რომლის ამოქმედებაც ნებისმიერ წუთს შეიძლება, თუკი ევროპელები ურჩობას გაბედავენ და დამოუკიდებელ პოლიტიკას წამოიწყებენ.** გაიხსენეთ „უტყუარი მონაცემები“ ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ფლობაზე და კოლინ პაუელი რაღაც კოლბით ხელში. შედეგი — მილიონობით დახოცილი ერაყელი. მძლავრად განვითარებადი ქვეყანა შუა საუკუნეებში დააბრუნეს, სამაგიეროდ, ნავთობკომპანიებმა, მათ შორის ბუშისა და ჩეინის, მუქთა ნავთობი მიიღეს. მოგვიანებით აღიარეს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი უტიფარი სიცრუე იყო, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარი იყო, საქმე — გაკეთებული. **გაიხსენეთ ლიბია, დაქირავებული ტერორისტები რომ შეაგზავნეს და ამ ყველაზე თანამედროვე იარაღით კბილებამდე შეიარაღებულმა „დისიდენტებმა“ „დემოკრატიისა და თავისუფლების“ მოთხოვნა დაიწყეს.** შედეგი — ადგილობრივი კლანები ერთმანეთს ეომებიან, იღუპება ასობით მშვიდობიანი მოქალაქე. სამაგიეროდ, ნავთობი შეუფერხებლად გადაედინება საერთაშორისო კორპორაციების კუთვნილ ტანკერებში. გაიხსენეთ **ეგვიპტე, ტუნისი, იემენი,** სადაც ამერიკული სპეცსამსახურების პოლიტტექნოლოგებმა უკრაინული „ნარინჯისფერი“ და ჩვენებური „ვარდების“ მსგავსი „რევოლუციები“ მოაწყვეს. ამ ქვეყნების განვითარება შეჩერებულია, ისინი დენთის კასრებად იქცნენ, რომლებმაც ნებისმიერ წუთს შეიძლებაააფეთქონ რეგიონი.

**ბოლო ათწლეულებში ამერიკა მსოფლიოსთვის დესტაბილიზაციის მთავარ ძალად, ხოლო ამერიკული არმია კბილებამდე შეიარაღებული მკვლელებისა და მოძალადეთა ბანდად იქცა. ერთადერთი ხსნა ამ ბანდიტებისგან არის ბირთვული იარაღი. ამიტომაც ის ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ ასეთი იარაღი, მაგრამ სურთ, დარჩნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და განვითარდნენ, ფორსირებული ტემპით ცდილობენ ბირთვული იარაღის შექმნას.**

ამერიკამ მათ სხვა გამოსავალი არ დაუტოვა. სააკაშვილის საყვარელი მასწავლებლის, სენატორ მაკკეინის მოსმენისას ნორმალური ადამიანი ფიქრობს, რომ სისხლით გაუმაძღარ მანიაკს უსმენს. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი სისხლმოწყურებული კაციჭამიები და მათ ზურგს უკან მდგარი გაუმაძღარი კორპორაციები განაგებენ ამერიკას და ეს შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს არა მხოლოდ შეერთებული შტატების, არამედ მთელი კაცობრიობისთვის“.

**ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ამ შეფასებას ეხმაურება ციკლი წერილებისა სათაურით — „გენოციდის შეერთებული შტატები“, რომელსაც გთავაზობთ.**

# გენოციდის შეერთებული შტატები

## წერილი მეხუთე



პატრის ლუმუმბა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №5-8 (287-290)

### კონგო. 1960 წ. ნეოფაშიზმის თარეში: პატრის ლუმუმბას მკვლელობა; გენოციდი; ურანის მაღაროები; შიდსი და ებოლა

1960 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა 17-მა აფრიკულმა ქვეყანამ: სენგალმა; სპილოს ძვლის ნაპირმა (კოტ დ,ივუარი); ნიგერმა; ზემო ვოლტამ, ბენინმა, ტოგომ, კამერუნმა; მადაგასკარმა; მალიმ, გაბონმა, ჩადმა, უბანგიშარიმ (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა); კონგომ (ბრაზავილი), ნიგერიამ, სომალიმ, აგრეთვე, ბელგიის კონგომ (ლეოპოლდვილი). ეს ქვეყნები მყისვე მიიღეს გაეროში.

სწორედ 1960 წლიდან, როგორც კი გამოცხადდა 17 აფრიული ქვეყნის დამოუკიდებლობა, მათში როგორც ნაწვიმარზე სოკოები, მომრავლდნენ „ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობები“. **ამ ანტიკოლონური მოძრაობებს ფრანგული, ინგლისური და ბელგიური კონცერნები აფინანსებდნენ — კოლონიზატორები თავიანთ თავს ადგილობრივი მოსახლეობის ხელით „ებრძოდნენ“. მე-20 საუკუნის შუა წლებში იმპერიებსა და ევროპულ ტრანსნაციონალურ კომპანიებს აფრიკის მართვა ძალიან ძვირი უჯდებოდათ. თავიანთ კოლონიებში ადმინისტრაციების „დამხობით“ კი მარიონეტული მთავრობას ღარიბი შავკანიანი მოსახლეობის სოციალური საკითხების მოგვარებას დააკისრებდნენ, აგრეთვე — ახალი საგადასახადო და საინვესტიციო კანონების შექმნას თავიანთ სასარგებლოდ.**

აშშ იმედოვნებდა, რომ შავკანიანი მოსახლეობის დამოუკიდებლობის ბრძოლიდან სარგებელს მიიღებდა. დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების დასაცავად ბრძოლამ გამოიწვია ის, რომ აფრიკაში მთავარი ფიგურა „თოფიანი კაცი“ გახდა. **ბოლო 50 წლის განმავლობაში აფრიკის კონტინენტზე 120 სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს, 20-მდე სამოქალაქო ომმა კი მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დღეს მსოფლიოს 25 ყველაზე ღარიბ ქვეყანას შორის 20 აფრიკულია.**

1982 წლიდან დღემდე რამდენიმე ათეული მილიონი აფრიკელი შიდსის მსხვერპლი გახდა. ახლა კი აფრიკაში იფეთქა ახალმა ეპიდემიამ — ებოლამ. 2014 წლის ბოლოს გვინეაში, სიერა-ლეონესა და ლიბერიაში აღრიცხული იყო ებოლას ვირუსით დასნებოვნების 8376 შემთხვევა, მათგან 4024 — ლეტალური შედეგით.

შიდსისა და ებოლას პირველი შემთხვევები აღრიცხული იყო ბელგიის კონგოში (ამჟამად კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა). შესაძლოა, ურანის საბადოებმა და რადიოაქტიურ მასალებთან მუშაობისას უსაფრთხოების მოთხოვნების რეგულარულად უგულებელყოფამ ბიძგი მისცა კონგოში ამ დაავადებების გავრცელებას, რომელიც შემდეგ მსოფლიო მასშტაბის ეპიდემიად იქცა.



პატრის ლუმუმბას დაპატიმრება

აფრიკის ქვეყნების მიერ „დამოუკიდებლობის“ მოპოვების შემდეგ ამ კონტინენტზე თავისი ინტერესების გასატარებლად ხელ-ფეხი გაეხსნა აშშ-ს, რომელმაც იქ 40 საელჩო და წარმომადგენლობა გახსნა, დაიწყო აფრიკის „დახმარების“ პროგრამები და „პერსპექტიული“ შავკანიანი ახალგაზრდების წაყვანა ამერიკულ უნივერსიტეტებში. აშშ, ნატოს ეგიდით, აფრიკაში სამხედრო ბლოკის შეძენასაც შეეცადა, მაგრამ ამაოდ — უარი ეგვიპტემ განაცხადა.

### კრიზისი კონგოში. 1960 წელი

**1960 წლის 30 ივნისს ბელგიის კოლონია კონგომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა** და ეს ქვეყანა გაეროში მიიღეს. ქვეყნის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა პრემიერმინისტრი **პატრის ლუმუმბა**, რომელიც ანტიდასავლური განწყობით გამოირჩეოდა. იმავე დღეს დამოუკიდებლობა გამოაცხადა კონგოს პროვინცია **კატანგამ**, რომლის ტერიტორიაზეც იყო ურანის, სპილენძის, კობალტის, ოქროსა და ალმასის საბადოები და ცხოვრობდა 30 ათასი ბელგიელი. სეპარატისტებს სათავეში ჩაუდგა **მოიზ ჩომბე** — პროდასავლელი, ანტიკომუნისტი და ბელგიის ინტერესების გამტარებელი. მან დახმარება ბელგიელ სამხედროებს სთხოვა და 11 ივლისს დედაქალაქ ლეოპოლდვილში (ამჟამად კინშასა) ბელგიელთა დესანტი პარაშუტებით დაეშვა. კონგოში მწვავე საერთაშორისო კრიზისი დაიწყო. პატრის ლუმუმბამ ჩომბეს სეპარატისტული მოქმედებები დაგმო და სამხედრო დახმარება გაეროს სთხოვა.

გაერომ, თავისი 143-ე რეზოლუციით, ბელგიას კონგოდან სამხედრო ქვედანაყოფების გამოყვანისკენ მოუწოდა. სსრკ-მა კი გადაწყვიტა, პატრის ლუმუმბას მთავრობისთვის ორი თვითმფრინავით ჰუმანიტარული დახმარება გაეგზავნა, რითაც აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ამ სახელმწიფოებისთვის პატრის ლუმუმბა მიუღებელი იყო.

ლუმუმბა ნიუ იორკში ჩაფრინდა გაეროს იმჟამინდელ გენერალურ მდივან **დაგ ჰამარშელდსა** (დაიღუპა 1961 წელს საავიაციო კატასტროფაში, რომლის მიზეზები და გარემოებები დღემდე უცნობია) და აშშ-ის იმჟამინდელ სახელმწიფო მდივან **კრისტიან ჰერტერთან** მოსალაპარაკებლად კატანგაში გაეროს შეყვანის თაობაზე, მაგრამ ამაოდ.

გაერო, რომლის უშიშროების საბჭოს, ფაქტობრივად, ჰამარშელდი და მისი სამი ამერიკელი მრჩეველი მართავდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მითითებებით, ლუმუმბას დახმარებას სულაც არ აპირებდა, პირიქით — სწორედ მათ შეიმუშავეს კონგოში სახელმწიფო გადატრიალებისა და ლუმუმბას ფიზიკური განადგურების გეგმა.

აი, რას წერდა ბელგიაში აშშ-ის ელჩი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს:



გი დე როტშილდი

**1964 წლის 17 იანვარს კატანგას ჯარისკაცებმა მოკიტო და მ'პოლო სიცოცხლეს გამოასალმეს. შემდეგ ნატოს ბელგიელმა ოფიცერმა ლუმუმბა დახვრიტა. მას ყური მოაჭრეს და კასაის პრეზიდენტს გაუგზავნეს. ცხედრები ერთად დამარხეს. მოგვიანებით, როდესაც სამარხი გახსნეს, აღმოჩნდა, რომ გვამები დანაწევრებული იყო და მჟავა ჰქონდა გადასხმული.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მობუტუ და რიჩარდ ნიქსონი

**ბოლო 50 წლის განმავლობაში აფრიკის კონტინენტზე 120 სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს, 20-მდე სამოქალაქო ომმა კი მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დღეს მსოფლიოს 25 ყველაზე ღარიბ ქვეყანას შორის 20 აფრიკულია. 1982 წლიდან დღემდე რამდენიმე ათეული მილიონი აფრიკელი შიდსის მსხვერპლი გახდა. ახლა კი აფრიკაში იფეთქა ახალმა ეპიდემიამ — ებოლამ. 2014 წლის ბოლოს გვინეაში, სიერა-ლეონესა და ლიბერიაში აღრიცხული იყო ებოლას ვირუსით დასნებოვნების 8376 შემთხვევა, მათგან 4024 — ლეტალური შედეგით**



ურანის საბადოს გადამამუშავებელი ქარხანა კატანგაში

## ჩერჩის კომისიის დასკვნით, 1960 წელს ცსს-ს დირექტორმა ალენ დალესმა პატრის ლუმუმბას მკვლელობის ბრძანება გასცა

**„ლუმუმბას მთავრობა აშშ-ის ინტერესებს ემუქრება კონგოში და სრულიად აფრიკაში. ჩვენი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების მთავარი მიზანი ლუმუმბას მთავრობის დამხობაა. ის სულ უფრო დამოკიდებული ხდება სსრკ-ზე".**

გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, **კონგოში 11,5 ათასი სამხედრო შევიდა, სეპარატისტული პროვინცია კატანგას გარდა.**

ლუმუმბა ჰამარშელდის საწინააღმდეგო განცხადებით გამოვიდა: **„ყველაფერი, რასაც გაეროს გენმდივანი აკეთებდა აქამდე, ხელს აძლევდა ჩომბესა და ბელგიელებს. ჰარამშელდმა დაკარგა კონგოს მთავრობისა და ხალხის ნდობა. ის კონგოში ისე მოქმედებს, თითქოს კონგოს ცენტრალური ხელისუფლება არ არსებობდეს. ჩვენ ვგმობთ გაეროს გენერალური მდივნის მოქმედებას ".**

ცოტა ხანში კონგოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სახელმწიფო კასაი, რომელსაც მხარი დაუჭირა ჩომბემ, მაგრამ სეპარატისტები კონგოს ცენტრალურმა მთავრობამ გაანადგურა. ადამიანების დალუპვაში გაერომ ლუმუმბა და მისი მხარდამჭერი სსრკ დაადანაშაულა. გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, კატანგაში გაეროს ჯარები შევიდა, ოღონდ ჩომბეს პირობების გათვალისწინებით. ამით გაერომ მხარი დაუჭირა სეპარატისტულ რეგიონს.

### დასავლეთის მიერ სახელმწიფო გადატრიალების მომზადება კონგოში

ლუმუმბას წინააღმდეგ რამდენიმე შეთქმულება მომზადდა და ეს არ იყო გასაკვირი. კონგოში, ამ ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, საკვანძო პოზიციები 5 მონოპოლისტურ ჯგუფს ეკავა (ბელგიური **„სოსიეტე ჟენერალ დე ბელჟიკი", „ამპენი", „ლოუნა", „კომინიერი"** და ინგლისურ-ჰოლანდიური კონცერნტი **„იუნილევერი"),** რომლებიც კაპიტალდაბანდებების 90%-ს აკონტროლებდნენ. იყვნენ სხვა ფინანსური ჯგუფებიც, მათ შორის, **როტშილდის, მორგანისა** და **როკფელერის. ამერიკელი მონოპოლისტების ხელში იყო კონგოს ალმასების, ურანის (სხვათა შორის, ამერიკელთა მიერ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოგდებული ბომბები კონგოს ურანით იყო დამზადებული) და კობალტის საბადოები.**

შეთქმულთა პირველი ჯგუფი ძალიან გავლენიანი გახლდათ. ამ ჯგუფში შედიოდნენ ფრანგულენოვანი ქვეყნების თანამეგობრობის ორგანიზაციის მდივანი **ჟან ფოკარი**, ნატოს იმჟამინდელი გენერალური მდივანი **პოლ სპააკი**, ბელგიური კომპანია „სოსიეტე ჟენერალ დიუ კონგოს" ხელმძღვანელი, ბარონი **გი დე როტშილდი,** რესპუბლიკა კონგოს (ბრაზავილი) პირველი პრეზიდენტი, **აბატი ფულბერ იულუ** და ლუმუმბას მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარი **ბომბოკო.** სწორედ ამ ჯგუფმა მიიღო ლუმუმბას ლიკვიდაციის გადაწყვეტილება, რადგან შიშობდა, რომ ურანის საბადოებს სსრკ დაეპატრონებოდა. ამოცანის შესასრულებლად დაიგეგმა „ლუმუმბას გაქცევის ინსცენირება". დაქირავებული მკვლელებისთვის 800 ათასი ბელგიური ფრანგი გამოიყო.

აბატი იულუს წინადადებით, ოპერაციის ხელმძღვანელად დაინიშნა პოლიციის აგენტი **მორის დელარიუ**, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნაცისტებთან თანამშრომლობდა და ამისთვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ, აბატი იულუს ხელშეწყობით, კონგოში (ბრაზავილი) გაიქცა და კატანგის ჟანდარმერიაში დაიწყო მუშაობა.

### მეორე შეთქმულება: ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო

**ეს შეთქმულება 1975 წელს გამოააშკარავა სენატორ ფრენკ ჩერჩის კომისიამ, რომელიც ცსს-ს იმ ოპერაციებს იძიებდა, რომლებიც მიზნად სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების ლიკვიდაციას ისახავდა. ჩერჩის კომისიის დასკვნით, 1960 წელს ცსს-ს დირექტორმა ალენ დალესმა პატრის ლუმუმბას მკვლელობის ბრძანება გასცა.**

აი, დალესის მიერ ლეოპოლდვილში რეზიდენტ ლოურენს დევლინისთვის გაგზავნილი ტელეგრამა:

„მოშორება (ლუმუმბას — რედ.) უნდა გახდეს სასწრაფო და მთავარი მიზანი, ჩვენი საიდუმლო ოპერაციების უზენაესი პრიორიტეტი".

ორგანიზაციას კოდური სახელწოდებით ZR-RIFLE („შაშხანა") სათავეში ჩაუდგა ცსს-ს თანამშრომელი **უილიამ პარკი**, ხოლო 1963 წლიდან — **დეიმონ ფიტცჯერალდი.** ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ: მეცნიერი კონსულტანტი, ქიმიკოსი **სიდნეი გოტლიბი**, აგრეთვე, — **რობერტ ლეშბრუკი** და **რიჩარდ ბისელი.** მათთან თანამშრომლობდა ე. წ. ტექნიკური განყოფილება, რომელშიც შედიოდნენ პროფესიონალი მკვლელები — ყოფილი სამხედრო დამნაშავეები (22 კაცი), მათ შორის, **„ლიონის ჯალათი" — კლაუს ბარბიე.** ამ ორგანიზაციამ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც ლუმუმბა შხამით უნდა მოეკლათ.

### მესამე შეთქმულება: ბრიტანული MI-6

2010 წლის მარტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პატრის ლუმუმბა ბრიტანეთის სპეცსამსახურის MI-6-ის თანამშრომლის — **ბარონესა დაფნა პარკის** მონაწილეობით მოკლეს, რომელიც 1959-1961 წლებში კონსულად მუშაობდა კონგოში.

### 1960 წლის შემოდგომის მოვლენების ქრონიკა

***5 სექტემბერს** კონსტიტუციის დარღვევითა და აშშ-ის ელჩის — ტიმბერლეიკის მხარდაჭერით კონგოს პრეზიდენტმა კასავუბუმ ლუმუმბა ქვეყნის პრემიერმინისტრის პოსტიდან გადააყენა. ამას მოჰყვა ლუმუმბას გამოსვლა რადიოთი: **„დემოკრატიული გზით, პარლამენტის ერთსულოვანი თანხმობით არჩეული მთავრობის გადაყენება პარლამენტის თანხმობის გარეშე არ შეიძლება. მთავრობა რჩება და განაგრძობს მუშაობას. კონგოელებო, გაფრთხილდით! სამშობლოს მტრებმა, კოლაბორაციონისტებმა ნიღბები ჩამოიხსნეს!"**

მთავრობის წევრებმა მხარი დაუჭირეს პრემიერმინისტრს, მაგრამ ლუმუმბას მოწინააღმდეგეებს გაეროს ჯარი დაეხმარა, დაიკავა რადიოსადგური — იმჟამინდელ კონგოში უმნიშვნელოვანესი საინფორმაციო წყარო. გარდა ამისა გაეროს ჯარმა დაიკავა აეროდრომი, სადაც კონგოს შეიარაღებული ძალების სარდლის თვითმფრინავი უნდა დაშვებულიყო.

***7 სექტემბერს** დეპუტატებმა ხმების უმრავლესობით (სამი მეოთხედი) გააუქმეს პრეზიდენტის გადაწყვეტილება პრემიერის პოსტიდან ლუმუმბას ჩამოშორების შესახებ. იმავე დღეს ლუმუმბამ გამოაცხადა, რომ კასავუბუ პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენებულია, მაგრამ გაეროს ჯარებმა პრეზიდენტის სასახლეს ალყა შემოარტყეს და კასავუბუ დაიცვეს.

***14 სექტემბერს** კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხედართმთავარმა **ჟოზეფ დეზირე მობუტუმ** სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო — მთავრობა დაამხო, ხოლო ლუმუმბა და მისი ცოლი დააპატიმრა. პრეზიდენტმა კასავაბუმ პოსტი შეინარჩუნა. მთავრობის მეთაური მობუტუ გახდა.

***27 ნოემბერს** შინაპატიმრობამისჯილმა ლუმუმბამ დატოვა თავისი რეზიდენცია და გაიქცა სტენლივილში, სადაც მისმა მხარდამჭერებმა ოპოზიციური მთავრობა ჩამოაყალიბეს.

***29 ნოემბერს** ლუმუმბა მიტინგზე გამოვიდა. ხალხი მას აღტაცებით შეხვდა, თუმცა ამ გამოსვლით ლუმუმბამ თავისი ადგილსამყოფელი გაამჟღავნა.

*** 1 დეკემბერს** ლუმუმბა, მისი ცოლი და რამდენიმე მხარდამჭერი მობუტუს ჯარისკაცებმა პროვინცია კასაიში დააპატიმრეს.

*** 2 დეკემბერს** სასტიკად ნაცემი და ხელფეხშეკრული ლუმუმბა თვითმფრინავით ლეოპოლდვილში ჩაიყვანეს.

1961 წლის 13 იანვარს საპყრობილეში მყოფი ლუმუმბა პრეზიდენტმა კასავაბუმ, მობუტუმ და სხვა პირებმა მოინახულეს და მას ნებისმიერი მინისტრის პორტფელი შესთავაზეს, მაგრამ ლუმუმბამ უარი განაცხადა. ამ პერიოდში ლუმუმბას მომხრეები ქვეყნის აღმოსავლეთში სამხედრო წარმატებებს აღწევდნენ. მათ ქვეყნის თითქმის ნახევარი დაიკავეს. იმის შიშით, რომ ლუმუმბას გაათავისუფლებდნენ, ის სამხედრო ბანაკ „არდში" გადაიყვანეს. კონგოს მოსახლეობამ ლუმუმბას გათავისუფლება და პუტჩისტების დასჯა მოითხოვა. შეთქმულები მიხვდნენ, რომ ხალხი ლუმუმბას გაათავისუფლებდა და მისი ლიკვიდაცია გადაწყვიტეს. ჩომბემ სამხედრო ბანაკის ჯარისკაცებს 5 მლნ ფრანკი გადაუხადა და ტუსაღი ლუმუმბა თანამოსანგრეებთან — მ,პოლოსა და ოკიტოსთან ერთად ელიზაბეტვილში გადაიყვანეს.

1964 წლის 17 იანვარს კატანგას ჯარისკაცებმა მოკიტო და მ,პოლო სიცოცხლეს გამოასალმეს. შემდეგ ნატოს ბელგიელმა ოფიცერმა ლუმუმბა დახვრიტა. მას ყური მოაჭრეს და კასაის პრეზიდენტს გაუგზავნეს. ცხედრები ერთად დამარხეს. მოგვიანებით, როდესაც სამარხი გახსნეს, აღმოჩნდა, რომ გვამები დანაწევრებული იყო და მჟავა ჰქონდა გადასხმული.

### კონგოს კრიზისის (1960-1965) შედეგები

1. 1961 წლის 18 სექტემბერს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა **დაგ ჰამარშელდი,** რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიანიჭეს ნობელის პრემია მშვიდობის დარგში.

2. 1965 წლის 24 ნოემბერს სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა **ჟოზეფ მობუტუ** — ქვეყნის შეიარაღებული ძალების სარდალი. მან დიქტატორული რეჟიმი დაამყარა და კონგოს ზაირი დაარქვა. მობუტუს მმართველობის პერიოდში ხალხი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, მობუტუს ანგარიშზე კი შვეიცარიის ბანკებში 5 მლრდ დოლარი აღმოაჩინეს.

3. **დიდი აფრიკული ომი (1997-2003).**

1990-იან წლებში რუანდაში დაიწყო გენოციდი და რამდენიმე ათასი ადამიანი ზაირში გაიქცა. მობუტუმ ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში არმია გაგზავნა იქიდან ლტოლვილების განსადევნად. 1997 წელს ოპოზიციის ჯარები კინშასაში შევიდნენ. მობუტუ გაიქცა ქვეყნიდან, რომელსაც კვლავ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაერქვა. ეს იყო დიდი აფრიკული ომის დასაწყისი, რომელშიც 9 სახელმწიფო მონაწილეობდა და რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„გელათში დანთებულია თქვენგან ისეთი ცეცხლი, რომელიც, თუ ახლავე თქვენივე ხელით არ ჩააქრეთ, სულ ჩქარა ცაში ავარდნილი გრანდიოზული ჭია-კოკონა წითლად შეღებავს მთელ საქართველოს არე-მარეს და ამ კოცონის გარშემო მომუშავე ქრისტიანებს გვერდში ამოუდგებიან მაჰმადიანი ქართველებიც, რომლებიც ხმამაღლა გაიძახიან: სოციალისტები თავიანთი ჯურის ეკლესიას რომ სპობენ, განა ჩვენ კი სიკეთეს დაგვაყრიან, ჩვენ კი არ შეგვიბილწავენ მეჩეთებსა და ყურანს?“**

# სტალინის როლი ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნებაში

## წერილი მესამე

### მენშევიკური მთავრობა, ქართული ეკლესია და ეროვნული განძი

მკითხველისათვის უფრო ავტორიტეტული და საიმედო რომ იყოს ჩემ მიერ ქვევით გამოთქმული აზრები, კვლავ მეცნიერ სერგო ვარდოსანიძეს დავიმოწმებ:

**„დაიწყო ეკლესია-მონასტრებიდან საეკლესიო სიწმინდეთა მუზეუმებში გადატანა, რამაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე, საკათალიკოსო საბჭოს წევრები და საერო პირები გაანაწყენა. შიშობდნენ, რომ ათეისტური მიმართულების სოციალ-დემოკრატებს, შესაძლოა, ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ხატები, ბრილიანტისთვლიანი მიტრები თუ პანაღიები გაეყიდათ და დაცარიელებული ხაზინის შევსება ამ გზით მოეხერხებინათ. გარდა ამისა, ხელისუფლებისთვის საეკლესიო სიწმინდეებს მხოლოდ ისტორიული ღირებულება ჰქონდა. ხელისუფლებამ იცოდა სასულიერო პირების პოზიცია, ამიტომ სცადა ვითარების განმუხტვა იმით, რომ 1919 წლის 22 ივლისს მთავრობის თავმჯდომარის — ნოე ჟორდანიას განკარგულებით, ექვთიმე თაყაიშვილი დაინიშნა ეკლესია-მონასტრების ქონების აღწერის თავმჯდომარედ. მთავრობის საგანგებო განკარგულებით, გელათის მონასტრის განძეულობა გადაიტანეს ქუთაისის მუზეუმში. გაგრძელდა საეკლესიო საკუთრების ხელყოფა, ამის გამო უწმინდესმა და უნეტარესმა ლეონიდემ საგანგებო წერილით მიმართა ნოე ჟორდანიას. წერილში წამოჭრილი საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გადავწყვიტეთ სრულად გამოქვეყნება“,** — წერს სერგო ვარდოსანიძე.

**„დიდად პატივცემულო ნოე ნიკოლოზის ძევ!**

ტელეფონოგრამით, რომელიც თქვენი სახელით გადმომცა ტრიფონ ჯაფარიძემ ნოემბრის 26-ს, თქვენ მითვლიდით: „დღეს ან ხვალ ქუთაისიდან დაბრუნდება ჩემი რწმუნებული და მაშინ დაწვრილებით გეცოდინებათ გელათის ამბები“. დღეს, დეკემბრის 5-ს თქვენი რწმუნებული, კარგა ხანია, დაბრუნდა და თბილისში იმყოფება, მაგრამ მე მაინც ღირსი არ გავხდი თქვენგან აღთქმული ცნობების მიღებისა! დღეიდან ეს ცნობები აღარ მჭირდება, მე უკვე მივიღე სრულებით საიმედო წყაროდან საჭირო ცნობები მთელი სისრულით.

**ვცდილობ მივხვდე, რამ გაიძულა თბილისიდან რწმუნებულის გაგზავნა გელათში მონასტრის განძეულობის გადმოსატანად. ვერ გამიგია, ვერ მიმხვდარვარ, ვერ გავრკვეულვარ, ეს რა ჩაგიდენიათ და როგორ აგიყირავებიათ ყველაფერი.** უეჭველია, თქვენ მიმითითებთ სოციალ-დემოკრატების გაზეთებში მოყვანილ ცნობაზე გელათის მონასტრის ვითომდა ბერებისაგან გაძარცვის შესახებ, მაგრამ ეს საბუთები არ გამოგადგებათ, რადგანაც დღეს ჩვენში სამი წლის ბავშმაც კი კარგად იცის, რა ღირებულებების და სისწორის ცნობებიც იბეჭდება ეკლესიებზე სოციალისტების ორგანოებში......

**... ნუთუ ჩემი მდგომარეობა, როგორც საქართველოს მთელი მორწმუნე მოსახლეობის მამამთავრისა და დროული საზოგადო მოღვაწისა, საბუთია თქვენთვის იმისი, რომ არაფერი ანგარიში არ გამიწიოთ, ჩვარივით მთელოთ და, ჩემდა სრულებით დაუკითხავად, ზიდოთ ტომრებით თქვენს ძირგავარდნილ ხაზინებში, ვითომ და დასაცველად, სასწაულმოქმედი ხატები, ჯვრები, წმინდა ნაწილები, შესამოსლები, ბარძიმ-ფეშხუმები და სხვა. არც სიცოცხლე, არც გონება და არც მორწმუნე ერისაგან მინიჭებული უფლებამოსილება, ღვთის მადლით, ჯერჯერობით არ დამიკარგავს და ვერ გამიგია, რომელი უფლებით გინებებიათ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის კვერთხის აღება ხელში და ბრძანების გაცემა, ასეთი რამეების გადმოტანა გელათის მონასტრიდან, რასაც მორწმუნენი მუხლს უყრიან, წმინდა სანთელს უნთებენ და, თუ ეხებიან, მარტო მხოლოდ და მხოლოდ დიდი კრძალვა მოწიწებით, ამბორის ყოფით, ისიც სამღვდელო პირთა დახმარებით და არა სხვა რომელიმე სახით.** განა თქვენ გქონდათ ან დღეს გაქვთ იმის საბუთი, რომ შეიარაღებული მილიციონერების რაზმით შეჭრილიყავით მონასტერში ცნობის მიუცემლად და სრულებით დაუკითხავად ქუთაისის ეპარქიული მწყემსმთავრისა, რომელსაც ასეთი თქვენი საქციელით პატივისცემას უკარგავთ და საზოგადოების თვალში სახავთ ნდობა დაკარგულ საეჭვო პირად?

თქვენ შეუფერხებლად შეეხეთ და შეურაცხყავით მორწმუნეთა სინდისი, იმ ხალხისა, რომელიც ეკლესიის ეზოდან გამოსული ფეხს იბერტყავს, წმინდა ადგილის მტვერი არ გამყვესო, რომელიც ეკლესიის ეზოში ნაპოვნ ლურსმანს ხელს არ ჰკიდებს, ღვთისა არისო, თქვენ აბუჩად იგდებთ, როდესაც მის სალოცავ და სათაყვანო წმინდა ნაწილებით სავსე ხატებს, ჯვრებს და ბარძიმ-ფეშხუმებს ტყემლის ტყლაპების ყუთებში აყრევინებთ უბრალო ნაირების მსგავსად თქვენგან გაგზავნილ საერო პირს. განა ეს, თქვენის მხრით, სხვისი სვინდისის შეგინება არ არის მორწმუნეთათვის და ბრძოლაში გამოსაწვევი ხელთათმანის გადაგდება არ არის? ნუთუ თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ამგვარ პროფანაციას მორწმუნე ქართველობა აპატიებს და შეარჩენს ვინმეს?! სასტიკად ცდებით.



ექვთიმე თაყაიშვილი

**გელათში დანთებულია თქვენგან ისეთი ცეცხლი, რომელიც, თუ ეხლავე თქვენივე ხელით არ ჩააქრეთ, სულ ჩქარა ცაში ავარდნილი გრანდიოზული ჭია-კოკონა წითლად შეღებავს მთელ საქართველოს არე-მარეს და ამ კოცონის გარშემო მომუშავე ქრისტიანებს გვერდში ამოუდგებიან მაჰმადიანი ქართველებიც, რომლებიც ხმამაღლა გაიძახიან: სოციალისტები თავიანთი ჯურის ეკლესიას რომ სპობენ, განა ჩვენ კი სიკეთეს დაგვაყრიან, ჩვენ კი არ შეგვიბილწავენ მეჩეთებსა და ყურანს?**

თქვენ გაგეცინათ ამაზე, მაგრამ მოგახსენებთ, რომ თქვენი გაცინება თუ რისხვა არ აჩერებს არც მტკვარს და არც სხვა რომელიმე მდინარეს.

გული სისხლით მეწურება, როდესაც ვითვალისწინებ თქვენგან ჩადენილი ფაქტის შესაძლო სავალალო შედეგებს და **სამშობლოს სახელით გემუდარებით, ნუ გაამწვავებთ ამ საქმეს, ნუ გაიტანთ გელათიდან საეკლესიო ნივთების გამოტანის ამბავს ფართო საზოგადოებაში, ინებეთ უკანვე მიბრუნება მონასტერში განძეულობისა და ყველაფერი თავისთავად მიჩუმდება, თორემ იცოდეთ, სავსებით გამომჟღავნება ხალხში თქვენი განკარგულება, რომელიც ნავთის ტბაში ანთებული ასანთის გადასროლა იქნება.**

თუ გელათის მონასტერს არ დაუბრუნდება მისი საკუთრება, ვერც მე შემიძლია გაჩუმება და იმ შემთხვევისათვის ვიტოვებ მოქმედებათა თავისუფლებას. თქვენთვის უცნობი არ არის წმინდა წყლის ქართული დიდი მოთმინება და მოკრძალება, არასოდეს ამ ენითა და კილოთი არ მილაპარაკნია თქვენთან, მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს საზღვარი აქვს: უკანასკნელი საქციელით თქვენ შარაზე დასვით ყოფნა-არყოფნის საკითხი ქართული ეკლესიისა, ურომლისოდაც ერთ წამსაც არ მსურს სიცოცხლე, და ასეთ შემთხვევაში ჩემი გაჩუმება იქნებოდა ღალატი.

**თქვენგან უსამართლოდ უფლება აყრილი, შეურაცხყოფილი კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე“.**

„1920 წლის ივლისში თბილისში გამართულ მეორე საეკლესიო კრებაზე მოწვეული იქნა პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი. მისი სურვილი იყო, შეეგონებინა კრებისთვის, რომ საქართველოს ეკლესიებიდან და მონასტრებიდან გადმოეცათ მღვდლებს მთავრობის მოთხოვნილებისამებრ მამა-პაპათგან დღემდე დაცული სიწმინდე — განძეულობა, მაგრამ ექვთიმეს კრება დაუპირისპირდა, მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდეც“ (თალაკვაძე. 2013: 119).

მენშევიკური მთავრობის საქმიანობამ ეკლესია-მონასტრების ძარცვისა და შევიწროების საქმეში კულმინაციას მიაღწია, რის გამოც საკათალიკოსო საბჭო, მთლიანად მრევლი და თვით კათოლიკოს-პატრიარქი აღშფოთებას ვერ ფარავდნენ. გაგზავნილი წერილების პასუხის მიუღებლობითა და ეკლესიების ძარცვით შეწუხებული **კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე რამდენიმე საეკლესიო საბჭოს წევრთან ერთად მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას კაბინეტში ეახლენ.** მათ შორის გაიმართა დიალოგი.

**მისი უწმინდესობა:**

**— ბატონო ნოე ნიკოლოზის ძევ! თქვენ წინ დგანან საქართველოს თავისუფალი და დამოუკიდებელი ეკლესიის თავი, ამ ეკლესიის მუდმივი საღვთო კრების წევრები და ამ სამი დღის წინედ დასრულებული მცხეთა-თბილისიურბნისის საეპარქიო კრების დელეგატთა წარმომადგენლები. ამ შემადგენლობით მოვედით თქვენთან იმ მიზნით, რომ გაგიმეოროთ, ჩემდა, საეკლესიო უზენაესი ორგანოს და ქუთაისის მღვდელმთავრის დაუკითხავად, თქვენს რწმუნებულს გადაუზიდია გელათიდან ქუთაისის ხაზინაში ვითომდა დასაცლელად ჯვრები, ხატები, წმინდა ნაწილები და სხვა. 25 ნოემბერს ტელეფონოგრამით გთხოვეთ განკარგულება ნივთების უკანვე დაბრუნებისათვის. თქვენ აღმიქვით დამაკმაყოფილებელი პასუხის მოცემა რწმუნებულის დაბრუნების შემდეგ, მაგრამ მე ასეთი არ მიმიღია, თუმცა თქვენი რწმუნებული, დიდი ხანია, დაბრუნდა თბილისში. ამის გამო მე გიცხადებთ ულრმეს გულისწყრომას და უსასტიკეს გაკიცხვას.**

**მთავრობის თავმჯდომარე:**

— მე ვწყვეტ ამ სხდომას, ამ კილოთი ლაპარაკს და გულისწყრომას მე, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ვერ მოვისმენ. მას მე ვაუწყებ მთავრობას.

**მისი უწმინდესობა:**

— ჩვენ სწორედ იმისათვის მოვედით, რომ დამოუკიდებელი ეკლესიის სახელით მოგვეთხოვა თქვენი რწმუნებულის მიერ გელათის მონასტრიდან წაღებული ნივთების უკან დაბრუნება.

**მთავრობის თავმჯდომარე:**

**— საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი და თავისუფალი არ არის, ის ჯერ სახელმწიფოსაგან გამოუყოფელია, ვერც შევქმნით სახელმწიფოს სახელმწიფოში. რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს, ისინი შეადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და სახელმწიფოს საქმეა, სად შეინახავს მათ... უნდა იცოდეთ, ვისთან მიდიხართ...**

**მისი უწმინდესობა:**

**— თქვენ უფლება გაქვთ, ციხეშიდაც ჩამსვათ, მე ვასრულებ ჩემს საღმრთო მოვალეობას, ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გაგვეგო, რომ საეკლესიო ნივთებს თქვენ სთვლით სახელმწიფო საკუთრებად... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!**

ამ სიტყვებით გამოიხურა მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტის კარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ და მდუმა-

▶

**«ნუთუ ჩემი მდგომარეობა, როგორც საქართველოს მთელი მორწმუნე მოსახლეობის მამამთავრისა და დროული საზოგადო მოღვაწისა, საბუთია თქვენთვის იმისი, რომ არაფერი ანგარიში არ გამიწიოთ, ჩვარივით მთელოთ და, ჩემდა დაუკითხავად, ზიდოთ ტომრებით თქვენს ძირგავარდნილ ხაზინებში, ვითომ დასაცველად, სასწაულმოქმედი ხატები, ჯვრები, წმინდა ნაწილები, შესამოსელები, ბარძიმ-ფეშხუმები და სხვ. არც სიცოცხლე, არც გონება და არც მორწმუნე ერისგან მინიჭებული უფლებამოსილება, ღვთის მადლით, ჯერჯერობით არ დამიკარგავს და ვერ გამიგია, რომელი უფლებით გინებებიათ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის კვერთხის აღება ხელში და ბრძანების გაცემა, ასეთი რამეების გადმოტანა გელათის მონასტრიდან, რასაც მორწმუნენი მუხლს უყრიან, წმინდა სანთელს უნთებენ და, თუ ეხებიან, მარტო მხოლოდ და მხოლოდ დიდი კრძალვა მოწიწებით...»**

## „სამშობლოს სახელით გემუდარებით, ნუ გაამწვავებთ ამ საქმეს, ნუ გაიტანთ გელათიდან საეკლესიო ნივთების გამოტანის ამბავს ფართო საზოგადოებაში, ინებეთ უკანვე მიბრუნება მონასტერში განძეულობისა და ყველაფერი თავისთავად მიჩუმდება, თორემ იცოდეთ, სავსებით გამომჟღავნდება ხალხში თქვენი განკარგულება, რომელიც ნავთის ტბაში ანთებული ასანთის გადასროლა იქნება“.

**გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბატონო ნოე ნიკოლოზის ძევ! თქვენ წინ დგანან საქართველოს თავისუფალი და დამოუკიდებელი ეკლესიის თავი, ამ ეკლესიის მუდმივი სალვთო კრების წევრები და ამ სამი დღის წინედ დასრულებული მცხეთა-თბილისი-ურბნისის საეპარქიო კრების დელეგატთა წარმომადგენლები. ამ შემადგენლობით მოვედით თქვენთან იმ მიზნით, რომ გაგიმეოროთ, ჩემდა, საეკლესიო უზენაესი ორგანოს და ქუთაისის მღვდელთმთავრის დაუკითხავად, თქვენს რწმუნებულს გადაუზიდია გელათიდან ქუთაისის ხაზინაში ვითომდა დასაცლელად ჯვრები, ხატები, წმინდა ნაწილები და სხვა. 25 ნოემბერს ტელეფონოგრამით გთხოვეთ განკარგულება ნივთების უკანვე დაბრუნებისათვის. თქვენ აღმიქვით დამაკმაყოფილებელი პასუხის მოცემა რწმუნებულის დაბრუნების შემდეგ, მაგრამ მე ასეთი არ მიმიღია, თუმცა თქვენი რწმუნებული, დიდი ხანია, დაბრუნდა თბილისში. ამის გამო მე გიცხადებთ უღრმეს გულისწყრომას და უსასტიკეს გაკიცხვას!“**



ნოე ჟორდანია



საქართველოს პატრიარქი ლეონიდე

◀რედ დაეშვა სიონის ეკლესიისკენ.

1923 წლის 10 აპრილს **ექვთიმე თაყაიშვილი** პარიზიდან წერილს უგზავნის საქართველოს აკადემიურ წარმომადგენელს მოსკოვში **დამიანე ჯგუშიას**, იგი წერს:

**„...უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს სიძველენის ძარცვა სისტემატიურად სწარმოებდა და იმდენი ძეგლებია საქართველოდან გატაცებული, რომ ეხლა მესამედის მიგნებაც ძნელია. ოთხი მეხუთედი ზვენიგოროდსკის, ბოტკინის და ბალაშოვის კოლექციებისა საქართველოს მონასტრებიდან არის მოტაცებული, ესენი ბიზანტიურ — ქართული ხელობის მინანქრიანი ნივთებისგან შესდგებიან... ამის გამო, მე რომ უნივერსიტეტიდან ტფილისში ჩამოვედი, გ. ბაქრაძესთან ერთად მოხსენება-საჩივარიც წარვუდგინე მთავრობას, მაგრამ ყურადღებაც არ მოგვაქციეს, ვინაიდან ეგზარხოსი ერია საქმეში“ (გ. ჟორდანია. „დაბრუნებული საუნჯე“, გვ. 27. 1983 წელი).**

როგორც მასალებიდან ირკვევა, არც მენშევიკური მთავრობა და არც ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი არ იყვნენ დაინტერესებული იმ საგანძურითა და სამუზეუმო- საარქივო რელიკვიებით, რომელზეც ასე გულდაწყვეტით წერდა პარიზიდან მეცნიერი. იმ წლებში (1918-21), როდესაც პირწმინდად გაიძარცვა ეკლესია-მონასტრები, მთავრობის დავალებით 1919 წლის 8 დეკემბერს ექვთიმე თაყაიშვილს დაევალა სამეგრელოს თავადის განძეულობის აღმწერი კომისიის შექმნა, 20 ან 21 დეკემბერს მინგრელსკის მოურავთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილმა შეაღო სასახლის დალუქული კარი და დაუთვალიერებია სასახლის ყველა ოთახი და სათავსო.

„ჩასულა ქვემო სართულის სამზარეულოში, სადაც მოურავს უჩვენებია სამალავი. გამოუნგრევიათ განჯინის ამოქოლილი პირი. შიგ აღმოჩენილა 4 ყუთი სავსე ოქროსა და ვერცხლის ნივთებით და ცალკე ვლახერნის დიდი ხატი თავის „კოიტით“, ანუ კიდობნით. მეორე დღეს, 22 დეკემბერს, კომისიას დაუთვალიერებია სასახლის ზემო სართულის ოთახები და აღუნუსხია „უმთავრესი საგნები და ნივთები ამ ოთახებისა“. კომისიის გადაწყვეტილებით, თბილისში გადაიტანეს ვლახერნის ხატი, სამალავში დაცული ნივთები, აგრეთვე, „ხატები, სამი სახარება და ყანწები ვერცხლით შემკობილი, ვერცხლის ნივთები და ერთი ღვთისმშობლის ხატი“ — ეკლესიიდან (ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, გვ. 34. 1983 წელი).

**ასე მიჰქონდა მენშევიკურ მთავრობას „საფრთხე“ ადგილებიდან და სამალავებიდან ამოღებული ეროვნული განძი, ძველი, დანგრეული გემით, აბობოქრებული ზღვის გავლით, აბობოქრებულ „უსაფრთხო“ ევროპაში შესანახად.**

აი, რას წერს ამის შესახებ დიდი ქართველი მეცნიერი და გულანთებული პატრიოტი **სარგის კაკაბაძე:**

„1917 წლის განმავლობაში საარქივო საქმეს ჯერ კიდევ თვალსაჩინო ზიანი მიყენებული არ ჰქონდა. არქივები უმთავრესად იყო თავის ადგილას, ჩრდილოეთ კავკასიაში გატანილ არქივებს თვალყურს ადევნებდნენ სპეციალური მოხელეები, რომელნიც კიდევ განაგრძობდნენ ჯამაგირის მიღებას თბილისიდან. 1918-1919 წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში მოთავსებული არქივები უკვე საფრთხეს განიცდიდნენ, რაც 1920-21 წლებში გამოიხატა მათ ნაწილობრივ ან სრულ დაღუპვაში. 1920 წელს სტანიცა კავკასკაიაში დაიღუპა ტფილისის საგუბერნიო მიწათმოქმედების სამმართველოს არქივი, სადაც, სხვათა შორის, მოთავსებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს სიგელ-გუჯრები დაწყებული მეთერთმეტე საუკუნიდან. ამავე 1920 წლიდან სერიოზულ საფრთხეში ვარდება ქალაქ ეკატერინოდარში მოთავსებული ძვირფასი არქივი რუსეთის დროინდელ თბილისის ცენტრალური დაწესებულებებისა. პარალელურად ამისა, ჩვენშიდაც 1919 წელს გაიყიდა თითქმის მთლიანად ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს არქივი.... ეს გაყიდვა მოხდა თვით ამ არქივების არქივარიუსების შუამდგომლობით, ადგილობრივი ხელისუფლების დასტურით. არქივი იმდენად დიდი იყო, რომ, როდესაც 2 წლის შემდეგ მისი გაყიდვისა, 1921 წელს, ივნისში, ამ სტრიქონების დამწერმა შესძლო სპეციალური მივლინების მიღება ქუთაისში, ამ არქივის ნაშთის გადარჩენის მიზნით, ქალაქში ჩხრეკის მოხდენის და მოვაჭრეებისთვის ცოტად თუ მეტად მნიშვნელოვანი საქმეების ჩამორთმევით, კიდევ შესაძლებელი შეიქმნა ერთგვარი საარქივო ფონდის შექმნა“ („საისტორიო მოამბე“, წიგნი პირველი. ტფილისი, 1924 წ. გვ. 267).

1920 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ. სამწუხაროდ, ცენტრალური არქივის საქმე თავიდანვე ვერ წავიდა სასურველად, მის სათავეში მოყვა ნაცვლად დირექტორისა დამფუძნებელი კრების წევრი, როგორც მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებული, რაც ერთგვარ უხერხულობას წარმოადგენდა („საისტორიო მოამბე“, წიგნი პირველი, ტფილისი, 1924 წ. გვ. 268).

„სამწუხაროდ, როგორც არქივების, ისე სამუზეუმო კოლექციათა რუსეთიდან უკან დაბრუნების საქმე თავიდანვე ვერ წავიდა სასურველად. ჯერ კიდევ 1920 წელს საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ გაგზავნა მოსკოვს სათანადო ნდობითY აღჭურვილი პირი, რომელმაც, არათუ ზომები მიიღო საქმის დასაძრავად, არამედ არც კი შეიარა გზად ქალაქ გეორგიევსკსა და რომანოვსკში ამ ადგილებში დაცული საქართველოს მონასტრების სიგელ-გუჯრების ბედის გასაგებად“ („საისტორიო მოამბე“, წიგნი პირველი, ტფილისი, 1924 წ. Gგვ. 270).

„1919 წლის თებერვალში სტანიცა კავკასკაია აიღო წითელმა ჯარმა. ციხის შენობაში დაბინავდნენ სტანიცაზე გამვლელი ჯარები. არქივები გადმოყრილნი იქმნენ და ჩაყრილი ციხის გარშემო მყოფ ფართო თხრილისაგან დარჩენილ ჩაღრმავებულ ადგილებში. ქარი იყო, სიგელ-გუჯრების ნაგლეჯები ქარს მიჰქონდა და ჯარისკაცები მცხოვრებლებს ნებას არ აძლევდნენ, ქაღალდების აკრეფისას, — მიამბეს მე სტანიცაში ამ ამბის მნახველებმა. ასე დაიკარგა და დაიღუპა უდიდესი განძეულობა. ორიოდე ნაგლეჯი ამ ორმოებიდან მოტყუებით წამოიღო მოქალაქე აბრამ ევანგულოვმა, რომელმაც ეს ნაგლეჯები შეინახა და ეხლა გადმომცა. „ცხენი მიმყავდა ვითომ მოსაძოვებლად და ისე ჯარისკაცების დაუნახავად ავკრიფე რამდენიმე ნაფლეთი“, — სთქვა მან. ერთი ამგვარი ნაფლეთი არის ხელის დადება ნაგლეჯი დავით აღმაშენებლის ანდერძისა, რომლის სიგრძე ორი მეტრი იყო. ასეთივე ნაფლეთია ევანგულოვის მიერ გადარჩენილი მეთერთმეტე საუკუნის გიორგი მეფის მეტრ-ნახევრიან სიგელისგან. Gგული მიკვდებოდა, როდესაც ამ ნაფლეთებს ვუყურებდი, ნაშთს სამი ათასი ძვირფას სიგელ გუჯრისას...

ამ ძვირფასი გუჯრების დაღუპვა არის, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ბრალი. სამწუხაროდ, თავის დროზე, 1918-1919 წლებში, პასუხისმგებელ პირთა შორის არავინ აღმოჩნდა თანამდებობრივი მდგომარეობის მქონე, არც რომელიმე საზოგადო თუ სამეცნიერო დაწესებულება, რომ დროულად, ვისიც ჯერი იყო, ამ საკითხზე ყურადღება მიეპყრო. ამ სტრიქონების დამწერი ოფიციალურად ცდილობდა ორგზის — 1918 და 1919 წლებში ამ საკითხზე ვისიც ჯერ იყო, მათი ყურადღების მიპყრობას, მაგრამ ამ შუამდგომლობას კერძო მოქალაქისას, არ გამაგრებულს სამსახურის მდგომარეობით, ანდა რომელიმე სამეცნიერო ორგანიზაციაზე დაყრდნობით, რასაკვირველია, არ შეიძლება შედეგი მოჰყოლოდა“ („საისტორიო მოამბე“, წიგნი პირველი, ტფილისი, 1924 წელი გვ. 277).

**აქ სარგის კაკაბაძე ფარულ საყვედურს გამოთქვამს ექვთიმე თაყაიშვილის მიმართ.**

„სამხედრო-საისტორიო მუზეუმის ძვირფასი ნივთები (ოქრო-ვერცხლის) უმთავრესად წაღებული აღმოჩნდა რუსეთის სამუზეუმო სამმართველოს განკარგულებით მოსკოვში სახელმწიფო საგანძურში მოსათავსებლად, ეს ნივთები გადაეცა 1921 წლის იანვარში სტავროპოლის საგუბერნიო ფინანსურ განყოფილებას შესანახად, ხოლო იქედან შემდეგ გადაგზავნილი იქნა მოსკოვში სახელმწიფო საგანუძრში. სია ამ ნივთებისა გაუგზავნეს საქართველოს წარმომადგენელს აკადემიურ საქმეთათვის — დამიანე ჯგუშიას მოსკოვში“.

**აქ იმ საგნძურსა და სამუზეუმო რელიკვიებზეა საუბარი, რომელზეც ექვთიმე თაყაიშვილი პარიზიდან დამიანე ჯგუშიას გულისტკივილით წერდა.**

**როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მენშევიკური მთავრობა და ექვთიმე თაყაიშვილიც იმ წლებში ეროვნული განძის გატანით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე შემოტანით. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით შემდეგ წერილებში გესაუბრებით.**

---

**კვირის კითხვა:**

**— ლარის კურსის რყევას ზოგი ეროვნულ ბანკს აბრალებს, ზოგიც — ქვეყნის ხელისუფლების მოუქნელ მუშაობას. თქვენ რას იტყვით?**

**გრიგოლ ონიანი:**

— ერთხელ პოლიტბიუროზე სტალინმა ნავთობის მრეწველობის მინისტრს მკაცრად უსაყვედურა, საძიებო სამუშაოებისას ღრმა ფენებში ვერ ჩადიხართო. მინისტრმა ბაიბაკოვმა უპასუხა, ბურღები სუსტია და ღრმა ფენებში ჩასვლისას ტყდებაო.

— ამხანაგო თეოსიან, — მიმართა სტალინმა მრეწველობის მინისტრს, — კრიტიკულ მომენტში სამშობლოს ღალატობთ და უხარისხო ბურღებს უშვებთ?!

— ამხანაგო სტალინ, ბურღებს ვუშვებთ იმ სიმტკიცისას, რის საშუალებასაც ნედლეული გვაძლევს. ფოლადი, რომელშიც მცირე დოზითაა შეყვანილი მოლიბდენი, ნაკლებად მტკიცეა.

— მოლიბდენი გვაქვს, თუ კარგად მახსოვს, 300 ტონა. მოგცემთ, — განაცხადა სტალინმა.

— 300 ტონა მოლიბდენი სახელმწიფო რეზერვია, რომელსაც ვერ გავცემ. კატეგორიულად განუცხადა სტალინს სახელმწიფო დაგეგმვის კომიტეტის თავმჯდომარემ ვოზნესენსკიმ. სტალინი აუჩქარებელი ნაბიჯით მიუახლოვდა ვოზნესენსკის, თვალებში ჩახედა და უთხრა:

— გიბრძანებ, მოლიბდენი დღესვე გადასცე თეოსიანს, — და ნელი ნაბიჯით თეოსიანისაკენ გაემართა.

— მოლიბდენი გექნება, გიბრძანებ, გამოუშვა მტკიცე და გამძლე ბურღები. შემდეგ კი ნავთობის მრეწველობის მინისტრს განუცხადა:

— შენ კი, ბაიბაკოვ, გიბრძანებ, უმოკლეს დროში აღმოაჩინო ნავთის ახალი საბადოები.

ასე გადაწყვიტა თხუთმეტიოდე წუთში სამ უწყებას შორის დავა სახელმწიფოს მეთაურმა, ანუ **ორკესტრს ჰყოხს ერთი კაცი უნდა უქნევდეს და ეს კაცი ჩრდილში არ უნდა იყოს!**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კონფლიქტის ადრეულ სტადიაში ბარაკ ობამას ადმინისტრაცია არანაირ ნაბიჯებს არ დგამდა, სამხედრო მოქმედებების განვითარების თეატრში მხოლოდ დამკვირვებლის როლით შემოიფარგლებოდა.**

# კიდევ ერთი ჯვაროსნული ლაშქრობა

**2011 წლის 18 დეკემბერი ღირსშესანიშნავი დღე იყო ამერიკის სამხედრო ავიაციისთვის: ოპერაცია „ახალი გარიჟრაჟის“ ფარგლებში უკანასკნელი სამხედრო გაფრენები შესრულდა. ეს ოპერაცია იყო 2003 წელს დაწყებული ერაყის მეორე ომის ფინალური ფაზა. 1991 წლის „ქარიშხალი უდაბნოში“ შემდეგ პირველად აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავებმა ერაყის თავზე სამხედრო ოპერაციები შეწყვიტეს, მაგრამ ერაყის ცაზე მშვიდობა დიდხანს არ შენარჩუნებულა. 2014 წლის 8 აგვისტოს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი გამანადგურებლიდან დარტყმები მიაყენეს ერბილის მახლობლად განლაგებული „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების საარტილერიო პოზიციებს და ახალი ომიც დაიწყო...**



## ბაღდადის ალების სერიოზულმა საფრთხემ, რომელიც არ იხსნებოდა დღის წესრიგიდან, აშშ აიძულა, ერაყის რეჟიმისა და ქურთებისთვის, იარაღის მიწოდების გარდა, სამხედრო ინტერვენციაზეც ეფიქრა

აპოკალიფსის მეორე მხედარს ეს მიწები არ მიუტოვებია, სულ მცირე, ირან-ერაყის ომის დასაწყისის — 1980 წლის შემდეგ. მხოლოდ მონაწილეები იცვლებიან, ცხადია, გარდა ერაყისა. ახალ ძალად იქცა „ისლამური სახელმწიფო“ — ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც ერაყში გაჩნდა და რომელმაც სირიის სამოქალაქო ომში წარმატებას მიაღწია. ამ წარმატებამ განაპირობა ორგანიზაციის გაფართოება და ტრიუმფალური დაბრუნება ერაყში. 2014 წლის ზაფხულში მიზანმიმართული შეტევისას „ისლამურმა სახელმწიფომ“ ელვის სისწრაფით მიიტაცა ჩრდილოეთ ერაყის მნიშვნელოვანი ნაწილი — სულ რამდენიმე დღეში დაემხო მოსული და ტიკრიტი, 12 ივნისს კი ტერორისტები ბაღდადს 100 კილომეტრზე მიუახლოვდნენ. ერაყის ხელისუფლებამ მაშინვე სთხოვა დახმარება ამერიკის შეერთებულ შტატებს.

გარდაუვალი დამხობისაგან ერაყის დედაქალაქი იხსნა მხოლოდ სახალხო ამბოხისკენ მოწოდებამ და ირანის დახმარებამ, ირანისა, რომელმაც ერაყში ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის ნაწილები გაგზავნა.

ივნისის ბოლოს და ივლისის დასაწყისში რუსეთიდან და ირანიდან მიწოდებულ იქნა რამდენიმე „სუ-25“.

**კონფლიქტის ადრეულ სტადიაში ბარაკ ობამას ადმინისტრაცია არანაირ ნაბიჯებს არ დგამდა, სამხედრო მოქმედებების განვითარების თეატრში მხოლოდ დამკვირვებლის როლით შემოიფარგლებოდა.** მას შემდეგ, რაც ერაყის შეიარაღებული ძალების ნარჩენებმა ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის დახმარებით ალკვეთა „ისლამური სახელმწიფოს“ ბაღდადზე თავდასხმა მოვლენებმა ჩრდილოეთისკენ, ერაყის ქურთისტანისკენ — დე იურე ერაყის ავტონომიური ოლქის, დე ფაქტო კი ქურთების კვაზისახელმწიფოსკენ გადაინაცვლა. **პეშმერგა**, ქურთების შეიარაღებული ფორმირება, რომელმაც ძლიერი ჯარისკაცებით გაითქვა სახელი, ძლივს იცავდა დედაქალაქ ერბილს ბოევიკებისგან. ქურთების, „ისლამური სახელმწიფოს“ მოწინააღმდეგე ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი ძალის სერიოზული სამხედრო მარცხისა და **ბაღდადის ალების სერიოზულმა საფრთხემ, რომელიც არ იხსნებოდა დღის წესრიგიდან, აშშ აიძულა, ერაყის რეჟიმისა და ქურთებისთვის იარაღის მიწოდების გარდა, სამხედრო ინტერვენციაზეც ეფიქრა.**

2014 წლის 7 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ერაყის პრობლემაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა და ბრძანა, რომ აშშ იწყებდა „ისლამურ სახელმწიფოზე“ შეზღუდულ საჰაერო დარტყმებს. ოფიციალურ საბაბად დასახელდა ბაღდადსა და ერბილეში მყოფი ამერიკელი მოქალაქეების — დიპლომატების, სამხედრო მრჩევლებისა და სამოქალაქო სპეციალისტების დაცვის აუცილებლობა. პრეზიდენტს არც დევნილი იეზიდები დავიწყებია, ისინი, ვინც „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს სადღაც მთებში ემალებოდნენ — მათი უბედურება მაშინ დასავლური მასმედიის ყურადღების ცენტრში იყო.

## მერყევი „ურყევი შემართება“

თავიდანვე გამოვლინდა აშშ-ის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მცდელობა, რომ ოპერაცია ამერიკელი გადასახადების გადამხდელებისა და ამომრჩევლებისაგან რაც შეიძლება შეუმჩნევლად ჩაეტარებინათ. ადმინისტრაციისთვის, რომელიც მოვიდა დევიზით „დავასრულოთ ომი ერაყში“, ეს სულაც არ იყო გასაკვირი. აშშ-ის ცენტრალურ სარდლობას, ძირითადად, საკუთარი რესურსებით მოუხდა იოლად გასვლა — კიდევ კარგი, რომ საბრძოლო მოქმედებების თეატრად ქცეულ რეგიონში განლაგებულ სამხედრო ბაზებზე მნიშვნელოვანი საავიაციო დაჯგუფებები ჯერ კიდევ იყვნენ. მათი სრული შემადგენლობა არ ხმაურდება, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი ძალების გადაჯგუფება არ მომხდარა.

ფრენებში არ მონაწილეობდა არც სტრატეგიული ავიაცია აშშ-ის ტერიტორიიდან (ბომბდამშენების მცირე რაოდენობა მოქმედებს ყატარიდან, სადაც დიდი ხნის წინ ჯერ კიდევ ავღანეთის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად განათავსეს). სპარსეთის ყურეში აქამდე მოქმედებს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მხოლოდ ერთი ავიამზიდი. ჯერ კიდევ ოქტომბერში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის მეთაურმა ჯონ გრინერტმა განაცხადა, რომ მეორე ავიამზიდის გაგზავნა არ იგეგმებოდა.

აბსურდამდეც მისულა საქმე. ოპერაციის კოდური დასახელება „ურყევი შემართება“ მხოლოდ 15 ოქტომბერს გაჩნდა. ეს უნიკალური შემთხვევაა, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ აშშ-ის დასავლელი მოკავშირეები საკუთარ ოპერაციებს — საერთო ინტერვენციაში შეტანილ წვლილს — დაუყოვნებლივ არქმევდნენ სახელებს (Shader — დიდი ბრიტანეთი, Chammal — საფრანგეთი, Impact — კანადა, Okra — ავსტრალია). თვით სახელწოდება „ურყევი შემართება“ გამოიყურება, როგორც სამხედრო უწყების დაცინვა პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართ.

**საერთო ჯამში, ამერიკული სამხედრო მანქანისთვის ეს ომი რეგიონულია, ამ სიტყვის ყველაზე პირდაპირი გაგებით. ძირითადად, ოპერაციაში ადგილობრივი ძალები მონაწილეობენ შედარებით მცირე მხარდაჭერით.**

პირველი თვის განმავლობაში ძირითად როლს ასრულებდა ავიაცია ავიამზიდიდან George H.W. Bush. პირველი დარტყმა განახორციელა ორმა F/A-18F Super Hornet-მა. სამიზნე იყო ბოევიკების საარტილერიო პოზიციები. ორი ავიაბომბით განადგურებულ იქნა ორი ჰაუბიცა, რომლებიც ერბილს ცხრილავდნენ. ბედის ირონიით, ეს იყო აშშ-ის წარმოების M198-ები, რომლებიც აშშ-ის ჯარების გაყვანის შემდეგ ერაყის ხელახლა ჩამოყალიბებულ არმიას დარჩა, შემდგომ კი „ისლამურმა სახელმწიფომ“ ჩაიგდო ხელთ გაცხარებული ბრძოლის შედეგად.

ოპერაციაში მონაწილეობდნენ ვერტიკალური აფრენადაშვების თვითმფრინავებიც — AV-8B Harrier უნივერსალური სადესანტო გემიდან LHD-5 Bataan-ი, რომლებმაც პირველი დარტყმა 2014 წლის 8 აგვისტოს განახორციელეს. სამხედრო-საჰაერო ძალებიდან კონფლიქტის პირველი თვის განმავლობაში დარტყმებში მონაწილეობდნენ ბომბდამშენები F-15E Strike Eagle და სტრატეგიული ბომბდამშენები B-1B Lancer. საერთო ჯამში აგვისტოს განმავლობაში შესრულდა 100 გაფრენა შეიარაღების გამოყენებით და გამოყენებულ იქნა 211 ბომბი და რაკეტა.

ოპერაციის დასაწყისშივე გამოვლინდა სერიოზული უხერხულობა, რომელიც ჯერ ამერიკული, შემდგომ კი კოალიციური ავიაციისთვის საბრძოლო მოქმედებების ძირითად თეატრსა და ავიაციის განლაგების ბაზებს შორის შორი მანძილით იყო განპირობებული. ყატარიდან და არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან, სადაც ძირითადად არის ბაზირებული აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები, ერაყის ჩრდილოეთამდე დაახლოებით ათას ხუთასი კილომეტრია. ქუვეითიდან ან სპარსეთის ყურის ჩრდილოეთ სანაპიროდან საბრძოლო მოქმედებების ზონა გაცილებით უფრო ახლოა, მაგრამ ის მაინც სცდება ჩვეულებრივი გამანადგურებლების მოქმედების რადიუსს. იმავე აგვისტოში შესრულდა ტანკერების 675 გაფრენა, ჰაერში საწვავით ავზები 3971-ჯერ შეივსო, სულ გადასხმულ იქნა 1800 ტონა საწვავი. ჩვეულებრივი მისიის შესასრულებლად და ავიადარტყმის მისაყენებლად ხშირად თვითმფრინავებს არა ერთხელ, არამედ ორჯერ ესაჭიროებოდათ ჰაერში საწვავის მარაგის შევსება.

## ბრძოლის ველი – სირია

ოპერაციის დაწყების უმთავრეს დილემად იქცა ავიადარტყმების ზონის გაფართოება. ერაყი „ისლამური სახელმწიფოსთვის“ მოწინავე იყო და აუცილებელი გახდა მისი სასწრაფოდ გადარჩენა, მაგრამ ტერორისტული დაჯგუფების ზურგი — საწვრთნელი ბანაკები და მისი შემოსავლის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო — ნავთობმოპოვების ინფრასტრუქტურა და კუსტარული ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები — სირიაში მდებარეობდა.

**თუ ერაყის მიმართ არ არსებობდა არც დიპლომატიური და არც იურიდიული პრობლემები — ერაყის ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში ოფიციალურად და სავსებით გულწრფელად სთხოვდა აშშ-ს, აღმოეჩინა მისთვის შესაძლო სამხედრო დახმარება — სირიის მიმართ ყველაფერი გაცილებით რთულად იყო.** ბაშარ ასადის მოქმედ ხელისუფლებასთან აშშ გასაგები მიზეზების გამო ოფიციალურად მოლაპარაკებას ვერ შეძლებდა — ასეა თუ ისე, კურსი აღებულია „ზომიერი“ ოპოზიციის მხარდაჭერისა და „არალეგიტიმური რეჟიმის“ დამხობისკენ. ძნელი სათქმელია, გაიმართა თუ არა კულისებს მიღმა მოლაპარაკებები, მაგრამ საბოლოოდ ▶

---

მოკლედ

## ამერიკელი კონგრესმენი: ობამას ადმინისტრაციამ უკრაინისთვის თავდაცვითი იარაღის გაგზავნას ემბარგო დაადო

**აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ უკრაინისთვის თავდაცვითი იარაღის გაგზავნას დე ფაქტო ემბარგო დაადო. ამის შესახებ „ამერიკის ხმის“ ცნობით, ამერიკელმა რესპუბლიკელმა კონგრესმენმა, კრის სმიტმა სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.** კონგრესმენმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინელებს სჭირდებათ თავდაცვითი იარაღი სასწრაფოდ. მისივე თქმით, უკრაინელებისთვის იარაღზე უარის თქმის პასუხისმგებლობა პრეზიდენტ ობამას ეკუთვნის. კიევის სამხედრო იარაღით მომარაგების შესახებ აშშ-ში ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ, თუმცა ობამას ადმინისტრაცია ამ გადაწყვეტილების მიღებისგან თავს იკავებს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელთა გათვლებით, 6000-ზე მეტი ბოევიკი მოკლეს, ათობით ქვეყანა ასე თუ ისე ჩართულია კოალიციაში, მხოლოდ ამერიკა ოპერაციაზე დღეში 8 მილიონ დოლარზე მეტს ხარჯავს. საერთო დანახარჯები, 31 იანვრის მონაცემებით, 1,35 მილიარდ დოლარს აჭარბებდა.

◀ სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ სირიის ტერიტორიაზე ბოევიკების ინფრასტრუქტურასა და პოზიციებს დაარტყამდნენ ერაყის ხელისუფლების თხოვნით, რასაც გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვაც კი არ სჭირდებოდა.

სირიის ხელისუფლებასთან ამერიკელები ოფიციალურად არ შეთანხმებულან, მაგრამ მოსალოდნელი დარტყმების თაობაზე აცნობეს. დამასკო შემოიფარგლა პასუხით, რომ მასთან არაფერი შეუთანხმებიათ, მაგრამ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ცხადია, მიესალმა. ის გარემოება, რომ აშშ-ის ავიაცია დარტყმებს ახორციელებს, ძირითადად, „ისლამური სახელმწიფოს“ და ქურთების შეტაკებების ადგილებში, შესაძლებელს ხდის, ვივარაუდოთ, რომ გარკვეული შეთანხმებები მაინც იქნა მიღწეული. უნდა აღინიშნოს, რომ ადრე სირია, ისევ და ისევ ბაღდადის თხოვნით, ერაყის ტერიტორიაზე ბოევიკების პოზიციებზე დარტყმებს ახორციელებდა.



**სირიის ტერიტორიაზე ბოევიკების ინფრასტრუქტურასა და პოზიციებს ავიაციის სამმა ტალღამ შეუტია. ამასთანავე შედგა მეხუთე თაობის გამანადგურებლის — F-22A Raptor-ის დებიუტი; მხოლოდ ამ ოპერაციის მიმდინარეობისას იქნა აქტიურად გამოყენებული საზღვაო ბაზირების ფრთიანი რაკეტები — «ტომაჰავკი»**

დაძლიეს რა დიპლომატიური წინააღმდეგობები, 23 სექტემბრის დილას ამერიკის ავიაციამ და ფლოტმა ოპერაციის დაწყებიდან დღემდე ყველაზე მძლავრი დარტყმა მიაყენეს „ისლამურ სახელმწიფოს“. **სირიის ტერიტორიაზე ბოევიკების ინფრასტრუქტურასა და პოზიციებს ავიაციის სამმა ტალღამ შეუტია. ამასთანავე შედგა მეხუთე თაობის გამანადგურებლის — F-22A Raptor-ის დებიუტი; მხოლოდ ამ ოპერაციის მიმდინარეობისას იქნა აქტიურად გამოყენებული საზღვაო ბაზირების ფრთიანი რაკეტები — „ტომაჰავკი“.**

კამპანიის მსვლელობისას სირიაზე დარტყმები დაახლოებით თანაბრად ხორციელდებოდა. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ბაღდადის აეროპორტიდან მოქმედება უწევდათ აშშ-ის არმიის იქ განლაგებულ მომცრო კონტინგენტის ვერტმფრენებს — AH-64 Apache.

ოქტომბერში სირიაში მთელი ყურადღება ნავთობგადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის განადგურებაზე გადაიტანეს, „ისლამური სახელმწიფოსთვის“ შემოსავლების წყაროს გადაკეტვის მიზნით. ამ ამოცანის გადაჭრის შემდეგ დარტყმების უდიდესი რაოდენობა „ქურთების სტალინგრადზე“ — სირია-თურქეთის საზღვარზე მდებარე ქალაქ კობანზე განხორციელდა, სადაც ომის ნახევარწლიან ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი მოვლენები განვითარდა. ქალაქსა და მის შემოგარენსი პერიოდულად დღეში ოცი და მეტი ავიადარტყმა ხორციელდებოდა, საერთო ჯამში კი — 700 დარტყმა. ოპერაციის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ გაანადგურეს ბოევიკების 280-ზე მეტი პოზიცია, მათ მიერ დაკავებული 100-მდე შენობა, 60 საბრძოლო მანქანა და რამდენიმე დუჟინი ტანკი. მხოლოდ 27 იანვარს მოახერხეს ქურთებმა, ავიაციის მხარდაჭერით საბოლოოდ განედევნათ ბოევიკები ნანგრევებად ქცეული ქალაქიდან.

## მოწოდების დროშები

აშშ-მა თავიდანვე ფართო საერთაშორისო კოალიციის შექმნისკენ აიღო კურსი. ეს აუცილებელი იყო, პირველ რიგში, დარტყმების დამატებითი ლეგიტიმაციისთვის, საერთაშორისო დონეზე კამპანიის მხარდაჭერის დიპლომატიური და ინფორმაციული მხარდაჭერისთვის; მეორეც, საკუთარი დამატებითი რეზერვების გამოყენების თავიდან აცილებისთვის. კოალიციის შექმნის საქმეში საკვანძო როლი შეასრულა კონფერენციამ, რომელიც პარიზში 15 სექტემბერს ჩატარდა.

თავიდანვე და აქამდეც აშშ-ის მოკავშირენი მკაცრად იყოფიან ორ ჯგუფად: სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები და პირობითად შეკრებილი დასავლური ქვეყნები.

პირველ ჯგუფში შედიან ბაჰრეინი, იორდანია, ყატარი, საუდის არაბეთი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები. ეს ქვეყნები დარტყმებს ახორციელებენ მხოლოდ ბოევიკების პოზიციებზე სირიაში. მათი აქტივობაზე მწირი ინფორმაციაა და არსადაა მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები.

მეორე ჯგუფში შედიან აშშ-ის ძირითადი მსოფლიო მოკავშირეები — ავსტრალია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, დანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები. ამავე ჯგუფს უნდა შეუერთდეს მაროკოც. ამ ქვეყნებმა სპარსეთის ყურის ქვეყნებში მდებარე ბაზებზე — არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, იორდანიასა და ქუვეითში გაგზავნეს საკუთარი კონტინგენტები. ძალების უმეტესობა თავმოყრილია ტაქტიკური მრავალსამიზნიანი გამანადგურებლების მომცრო ჯგუფის ირგვლივ. 31 იანვრის მონაცემებით, მხოლოდ აშშ-ის ტანკერებს 5950 გაფრენა ჰქონდათ შესრულებული და ჰაერში თვითმფრინავების ავზები 36 591-ჯერ შეავსეს საწვავით.

ყველაზე ძლიერი კონტინგენტი საფრანგეთმა წარმოადგინა, სწორედ ის შეუერთდა დარტყმებს პირველი 19 სექტემბერს. მეხუთე რესპუბლიკა გეგმავს, სპარსეთის ყურეში თავისი ატომური ავიამზიდი Charles de Gaulle გაგზავნოს, ამასთანავე, ეს გადაწყვეტილება პარიზში ტერაქტებამდე იყო მიღებული. სხვა ქვეყნები, რომლებმაც ყველაზე ძლიერი კონტინგენტები წარადგინეს, ბრიტანეთი და ავსტრალიაა.

ამ ჯგუფის ქვეყნები დარტყმებს აყენებენ მხოლოდ ბოევიკების პოზიციებს ერაყში. მიუხედავად მოკავშირეების დიდი რაოდენობისა, დარტყმების მიყენების საქმეში ძირითად როლს მაინც აშშ ასრულებს. 2014 წლის ნოემბრის დასაწყისში გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, ამერიკის ავიაციამ განახორციელა დარტყმების 85%.



## „ომის დასრულებას მხოლოდ მიცვალებულები იხილავენ“

იანვრის დასასრულს დარტყმების რაოდენობას 1919-მდე ითვლიდნენ. **ამერიკელთა გათვლებით, 6000-ზე მეტი ბოევიკი მოკლეს, ათობით ქვეყანა ასე თუ ისე ჩართულია კოალიციაში, მხოლოდ ამერიკა ოპერაციაზე დღეში 8 მილიონ დოლარზე მეტს ხარჯავს. საერთო დანახარჯები, 31 იანვრის მონაცემებით, 1,35 მილიარდ დოლარს აჭარბებდა.**

მიუხედავად ამისა, ახლა „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხება უფრო ახლოს არ არის, ვიდრე 2014 წლის აგვისტოში იყო. ტერორისტები ჯერ კიდევ აკონტროლებენ უზარმაზარ ტერიტორიებს, რომელთაც საკუთრებად მიიჩნევენ. ჯერჯერობით კოალიციას დანაკარგები არ აქვს, მაგრამ ასე უსასრულოდ გაგრძელება შეუძლებელია.

ბოევიკებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადეს, ბევრი მოხალისე უერთდება არა მხოლოდ ისლამური ქვეყნებიდან, არამედ ამერიკიდან და ევროპიდან, კანადიდან და ავსტრალიიდან. „ისლამურმა სახელმწიფომ“ უკვე მიაყენა დარტყმები მტერს ზურგიდან ხმაურიანი ტერაქტების სახით.

**ასე რომ, ახლო აღმოსავლეთის მორიგი ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. 2015 წელს მხოლოდ საჰაერო კამპანიის ზრდაა მოსალოდნელი. პენტაგონის სპიკერმა ჯონ კირბიმ გულახდილად აღნიშნა, რომ არ იცის, რამდენი დრო დასჭირდება „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხებას, სავარაუდოდ, 3-5 წელი. როგორც ჩანს, აშშ-მა მიიღო კიდევ ერთი ომი, რომელსაც დასასრული არ უჩანს.**

posthunt.net



## აშშ-ში ქართველი კურსანტები — სოსო მაკარიძე და ბესარიონ ღორჯოლაძე დაიღუპნენ

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აშშ-ში გარდაცვლილი ქართველი სამხედრო კურსანტების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რიგითი სოსო მაკარიძე ნიუ-ჯერსიში აშშ-ის საზღვაო თავდაცვის აკადემიის IV დამამთავრებელი კურსის მსმენელი იყო. ის აკადემიაში 2011 წლიდან სწავლობდა. II კურსის მსმენელი, რიგითი ბესარიონ ღორჯოლაძე საზღვაო თავდაცვის აკადემიაში 2013 წლიდან ირიცხებოდა.**

„რიგითი სოსო ალექსანდრეს ძე მაკარიძე და რიგითი ბესარიონ კახას ძე ღორჯოლაძე ნიუ-ჯერსის შტატში მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაიღუპნენ. ორივე ახალგაზრდა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში მსმენელად ირიცხებოდა და აშშ-ის საზღვაო თავდაცვის აკადემიაში სწავლობდა“, — აცხადებენ სამინისტროში.

ნიუ-ჯერსიში ავარია 7 მარტს, გამთენიისას მოხდა. ავტოავარიის შედეგად ერთი ქართველი კურსანტი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე კი — ჰოსპიტალში მიყვანის შემდეგ.



## ზაურ დადაევმა ბორის ნემცოვის მკვლელობა აღიარა

**ბორის ნემცოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილმა ზაურ დადაევმა აღიარებითი ჩვენება მისცა. მოსამართლის განცხადებით, დადაევის ბრალი დასტურდება მისივე აღიარების საფუძველზე.**

დადაევთან ერთად ეჭვმიტანილის სტატუსს ინარჩუნებს კიდევ სამი დაკავებული: ხამზატ ბახაევი, ტამერლან ესკერხანოვი და შაგიტ გუბაშევი. სამივემ განაცხადა, რომ ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ. ორ დაკავებულს 6-6 შვილი ჰყავს, ხოლო მესამეს — ფეხმძიმე მეუღლე.

მოკლედ

## «ისლამური სახელმწიფოს» მებრძოლები ერაყის ისტორიულ ქალაქ ჰათრას ანადგურებენ

**„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა ამჯერად ერაყის ისტორიული ქალაქის — ჰათრას განადგურება დაიწყეს, — იუწყება „ბი-ბი-სი“.**

ქალაქი ჰათრა, რომელიც 2 000 წლის წინათ დაარსდა, იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შესული. ისლამისტი რადიკალების მხრიდან ეს კულტურული მემკვიდრეობის განადგურების პირველი შემთხვევა არ არის. რამდენიმე დღის წინათ მათ ბულდოზერებით გადაუარეს უძველეს ქალაქ ნიმრუდსაც. გასულ კვირას კი ექსტრემისტებმა ქალაქ მოსულიში უძველესი არტეფაქტები გაანადგურეს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ლიბიაში არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება, მას ცვლის ორი მთავრობა: ტრიპოლში პარლამენტი ისლამისტებს აქვთ ხელში ჩაგდებული, ტორბუკში კი მოქმედებს მეორე პარლამენტი, რომელსაც ანტიისლამისტები ხელმძღვანელობენ. სწორედ ამ უკანასკნელს უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატები და, შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოებაც.**

# რა დგას ისლამური ექსტრემიზმის შეუპოვრობის უკან

**რატომ მოაქვს ესოდენ მწირი ნაყოფი რადიკალური მუსლიმანური დინებების წინააღმდეგ მრავალწლიან ბრძოლას? — ამაზე დაფიქრებას გვაიძულებს ბოლო დროინდელი მოვლენები, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში ტერორისტული აქტები ხორციელდება „ჯიჰადის მეომართა" სახელით და ისმის ისლამური ექსტრემიზმის წინააღმდეგ ომის მოწოდებები.**



მას შემდეგ, რაც იანვარ-თებერვალში საფრანგეთსა და დანიაში წინასწარმეტყველი მუჰამედის პროვოკაციული კარიკატურები მთელი რიგი მკვლელობების საბაბი გახდა, ევროპელი პოლიტიკოსები ერთხმად აცხადებენ, რომ ევროპულ ღირებულებებზე ისლამისტების თავდასხმები მთელი მსოფლიო საზოგადოების მიმართ მუქარაა. ცხადია, აზრი არ აქვს, პარიზსა და კოპენჰაგენში მომხდარის მასშტაბები შევადაროთ, ვთქვათ, აფრიკაში შიმშილის გამო უამრავი ბავშვის დაღუპვას, მაგრამ დასავლურ სამყაროს ეს ნაკლებად აღელვებს. ის, რომ დასავლური მასმედია რადიკალურ ისლამს უმთავრეს მსოფლიო ბოროტებად წარმოაჩენს, ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ამ ბოროტების არსებობით დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ მისი მატარებლები, არამედ ისინიც, ვინც მასთან „შეურიგებელ ბრძოლას" აწარმოებენ.

13 წელზე მეტი დროის მანძილზე, რაც უკვე გავიდა აშშ-ის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომის გამოცხადებიდან და ამ ლოზუნგით ავღანეთში შევარდნიდან, მსოფლიოში ტერორიზმი არ შემცირებულა. პირიქით, ის მხოლოდ იზრდება. ჩნდებიან ახალ-ახალი ტერორისტული ორგანიზაციები, შემდეგ ქრებიან, შემდეგ კვლავ ჩნდებიან წინათ არნახული რეგულარობით. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ კაცობრიობის უმთავრეს მტრებად გამოცხადდნენ „ალ ქაიდა" და ათეული წლის მანძილზე მოუხელთებელი უსამა ბენ ლადენი. ამ მტრის წინააღმდეგ ვაშინგტონმა ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა და ამ ლაშქრობის სარგებელი ის იყო, რომ მან ხელი შეუწყო „ერთადერთი ზესახელმწიფოს" პოზიციების გამყარებას ახლო და შუა აღმოსავლეთში. დროთა განმავლობაში „ალ ქაიდა" ნელ-ნელა გავიდა მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრიდან, 2011 წელს კი იქუხა ცნობამ უსამა ბენ ლადენის მოკვლის შესახებ, მაგრამ ტერორიზმის წინააღმდეგ დასავლეთის ბრძოლის ეფექტურობის დამადასტურებელ მოვლენად ესეც ვერ იქცა.

არც დასავლეთის მიერ გამოცხადებული „ჯვაროსნული ლაშქრობა" შეწყვეტილა ამით. უბრალოდ, ერთი ტერორისტები სხვებმა ჩაანაცვლეს, უფრო სისხლისმსმელებმა, მათ, ვინც ახლა უკვე მსოფლიო ხალიფატის შექმნის პრეტენზიას აცხადებენ. „ალ ქაიდას" ადგილი ისლამურმა სახელმწიფომ დაიკავა — საერთაშორისო საზოგადოებას შეზღუდულ ვადებში წარუდგინეს მსოფლიო მნიშვნელობის ახალი მტერი, ამერიკამ კვლავ იჩქარა კაცობრიობის მხსნელის აპლუაში მოვლინება: 2014 წლის 11 სექტემბერს ბარაკ ობამამ ისლამურ სახელმწიფოს გამოუცხადა ომი.

ისლამური ექსტრემიზმი და აშშ-ის მიერ გაპიარებული მის წინააღმდეგ გაჩაღებული ომი არის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაზე ზემოქმედების ერთიანი ინსტრუმენტი. ეს ზემოქმედება ხორციელდება როგორც მსოფლიოს გეოპოლიტიკურად მგრძნობიარე ზონებში აშშ-ის პოზიციების გამყარების მიმართულებით, ასევე იმ სახელმწიფოების დესტაბილიზების მიმართულებითაც, რომელთა პოლიტიკაც არ შეესაბამება ვაშინგტონის მოთხოვნებს.

ევროპაში რელიგიური მტრობის გაჩაღებაც, უცნობი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" აღზევებაც, ოპერატორების მიერ მსოფლიოში ►

# ცსს ლიბიისთვის პრეზიდენტს ამზადებს

**ლიბია ყოვლისმომცველ კრიზისში 2011 წელს, აშშ-ის სამხედრო ინტერვენციის შედეგად, ჩაეფლო. ქვეყანა სამ ნაწილადაა გახლეჩილი — ტრიპოლიტანია, კირენაიკუ და აზანი. ამ სამიდან ორმა ავტონომია გამოაცხადა და არ ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას. არც ახალი სახელმწიფო ხელისუფლების და არც შეიარაღებული ძალების სტრუქტურები ბოლომდე ფორმირებული არაა. ქვეყანაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები თეთრ სახლს აიძულებს, მთელი ძალით ეძებოს ამ ქვეყანაში ხელისუფლების პრობლემის გადაჭრის გზები.**



ქვეყანაში მყოფი ბოევიკებისა და მეომარი რადიკალური ისლამისტების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ საკუთარ საველე მეთაურებს ემორჩილება და არა ოფიციალურ ხელისუფლებას. ისინი ორგანიზებას უკეთებენ ტერაქტებს, აქტიურად იყენებენ ადამიანების გატაცების პრაქტიკას, როგორც ლიბიის ახალ ხელისუფლებაზე ზეწოლის ინსტრუმენტს.

**ლიბიაში სიტუაციის გაუარესებამ 2014 წლის ივლისში საერთოდ დამანგრეველი ხასიათი მიიღო,** მაგრამ, როგორც გაზეთი Washington Post-ი წერდა, „ლიბიას ძალიან სჭირდება ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება ამჟამინდელი დემოკრატიული გარდასახვების პროცესში", რითაც ისარგებლა კიდეც ვაშინგტონმა და გაამართლა თავისი „უანგარო" სიმპათიები ამ ქვეყნის მიმართ. ამასთან, გაზეთს არ დავიწყებია, აღენიშნა, რომ „ქვეყნის უზარმაზარი ნავთობმარაგები მის შედარებით მცირერიცხოვან და „ერთგვაროვან" მოსახლეობასთან (6,5 მილიონი მოქალაქე) შეფარდებით ლიბიას საშუალებას აძლევს, დააფინანსოს საკუთარი განვითარება მხოლოდ მოკრძალებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვით".

**დღეს ლიბიაში არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება, მას ცვლის ორი მთავრობა: ტრიპოლში პარლამენტი ისლამისტებს აქვთ ხელში ჩაგდებული, ტორბუკში კი მოქმედებს მეორე პარლამენტი, რომელსაც ანტიისლამისტები ხელმძღვანელობენ. სწორედ ამ უკანასკნელს უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატები და, შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოებაც.**

უკვე დიდი ხანია, სწორედ ტორბუკში არსებულ სახელისუფლო სტრუქტურებს „ამყარებს" ვაშინგტონი საკუთარი კადრებით და იმედოვნებს, რომ ამ ადამიანებისგან შექმნის იმ მომავალი მარიონეტული ხელისუფლების ღერძს, რომელიც მკაცრად შეასრულებს თეთრი სახლის ინსტრუქციებს და, ბოლოს და ბოლოს, მოუტანს აშშ-ს იმ სარგებელს, რომლის გამოც დაიწყო 2011 წელს მუამარ კადაფის დამხობისა და ლიბიაში ინტერვენციის პროცესი. ბუნებრივია, ამ მიზნით ვაშინგტონის ძირითადი ყურადღება ეთმობა ტორბუკში სამხედრო ფორმირებების ხელმძღვანელებს.

გარდა ამისა, ბოლო დროს ეგვიპტის ხელისუფლებაში ფელდმარშლის — აბდულა-ფატახ ხალილ ას-სისის მოსვლამ ძილი და მოსვენება დააკარგინა როგორც თეთრ სახლს, ასვეე ცსს-ს, რომელიც მთელი ძალისხმევით ცდილობს ამ „ექსპერიმენტის" გამეორებისა და ლიბიის საპრეზიდენტო სავარძელში საკუთარ ფრთებქვეშ გამოზრდილი სამხედრო მეთაურის დასმას.

**ვაშინგტონისა და ცსს-ისთვის ასეთ ყველაზე მომგებიან კანდიდატად სულ უფრო თვალნათლივ ყალიბდება ლიბიის არმიის გადამდგარი გენერალი ხალიფა ბელკასიმ ხაფტარი, რომელიც დღეს მხოლოდ ორი ნაბიჯითაა დაშორებული იმისგან, რომ სათავეში ჩაუდგეს ლიბიის არმიის ფორმირებებს და ნაციონალური პარლამენტისგან** ►

მოკლედ

# ჩეხეთის მთავრობა პოლონეთს სადავო ტერიტორიას უბრუნებს

**ჩეხეთის მთავრობა გეგმავს, პოლონეთს სადავო ტერიტორია დაუთმოს. ინფორმაციის თანახმად, 1950-იანი წლებიდან ორ ქვეყანას შორის საზღვარზე დაახლოებით 4 კვადრატული კილომეტრის ფართობის ტერიტორიის ბედი გაურკვეველი იყო.** ჩეხეთსა და პოლონეთს შორის საზღვარი ცივი ომის დროს შეიცვალა. ახლა კი პრაღაში გადაწყვიტეს, რომ მეზობელ ქვეყანას, კარგი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, აღნიშნული ტერიტორია გადასცენ. ამ ინიციატივით ჩეხეთმა ოფიციალურ ვარშავას უკვე მიმართა. **„პოლონეთს ვუბრუნებთ მიწას, სხვას ვერაფერს გეტყვით ამჯერად, სხვა დეტალები კონფიდენციალურია",** — განაცხადა ჩეხეთის პრემიერმინისტრმა ბოჰუსლავ სობოტკამ.



**ისლამისტების ლიდერი აბუ ბაკრ ალ-ბაღდადი, რომელმაც თავი ხალიფად გამოაცხადა, ისეთივე მოუხელთებელი გახდა, როგორიც თავის დროზე ბენ ლადენი. აშშ-ის საბრძოლო ოპერაცია დღეში 8,3 მილიონი დოლარი ჯდება, რაც ერაყისა და ავღანეთის ომებთან შედარებით მეტია, იქ ხარჯები ყოველდღიურად საშუალოდ 800 მილიონ დოლარს აღწევდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დემონსტრირებისათვის პროფესიონალურად გადაღებული სიკვდილით დასჯის ვიდეოებიც, „ჯიჰადის მებრძოლთა" გამოჩენაც პლანეტის უამრავ ცხელ წერტილში, მათ შორის რუსეთის საზღვრებთანაც, იმ ერთი დიდი სურათის ფრაგმენტებია, რომელსაც მხოლოდ ისლამისტები არ ხატავენ.

ამ სურათზე კი ჩანს, რომ მსოფლიოს ყველა ტელეარხი სისტემატიურად აჩვენებს ადამიანთა სიკვდილით დასჯის ვიდეორგოლებს, იმ ადამიანებისა, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს მოწინააღმდეგებად არიან შერაცხულნი. ბოლო დროს ეს ამაზრზენ ტრადიციად იქცა. მასობრივი სიკვდილით დასჯები, რომლებიც სადღაც ახლოაღმოსავლეთში ხორციელდება, აშშ-სა და ევროპაში იმ რეზონანსის მცირე ნაწილსაც კი არ იწვევს, რომელიც საფრანგეთსა და დანიაში რამდენიმე ადამიანის მკვლელობამ გამოიწვია. სამაგიეროდ ეს სატელევიზიო სიკვიდილით დასჯები ამყარებენ რწმენას, რომ აუცილებელია ბრძოლა „მსოფლიო ბოროტების" წინააღმდეგ, ბოროტებისა, რომლის ადგილსაც ახლა ისლამური სახელმწიფო იკავებს.

ევროპაში კი ამ დროს კვლავაც აგრძელებენ მუსლიმანების პროვოცირებას წინასწარმეტყველის კარიკატურებით, ანტიმუსლიმანური გამოსვლებით, სიკვდილით დასჯის შემოღების წინადადებებით და ასე შემდეგ. და ეს ყველაფერი კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც დაძაბულ სიტუაციას და ქმის გლობალურ საფრთხეს, ასევე, აფართოებს მართვადი ქაოსის ზონას. სხვა თვალხილული შედეგი ისლამის დროშის ქვეშ მოქმედი ტერორიზმის წინააღმდეგ დასავლეთის ომს ჯერჯერობით არ მოჰყოლია.

ამ ყველაფრის გამო გასაკვირიც არაა, რომ „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ ომი, რომელიც უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია გრძელდება და რომელში მონაწილეობისთვისაც ვაშინგტონმა 60 სახელმწიფო დარაზმა, თითქოს არასერიოზულად მიმდინარეობს. რა მოიტანა 2014 წლის აგვისტოში ერაყში დაწყებულმა და სექტემბერში სირიაზე გავრცობილმა ოპერაცია „ურყევმა შემართებამ"? 2000-ზე მეტი ავიადარტყმისა და ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლი ქურთების დახმარებით განადგურდა, როგორც იტყობინებიან, 7000 ბოევიკი და მტრისგან გათავისუფლებულ იქნა 700 კვადრატული კილომეტრი. ეს ისლამური სახელმწიფოს მიერ მიტაცებული მთელი ტერიტორიების 1%-ზე ოდნავ მეტია.

**ისლამისტების ლიდერი აბუ ბაკრ ალ-ბაღდადი, რომელმაც თავი ხალიფად გამოაცხადა, ისეთივე მოუხელთებელი გახდა, როგორიც თავის დროზე ბენ ლადენი. აშშ-ის საბრძოლო ოპერაცია დღეში 8,3 მილიონი დოლარი ჯდება, რაც ერაყისა და ავღანეთის ომებთან შედარებით მეტია, იქ ხარჯები ყოველდღიურად საშუალოდ 800 მილიონ დოლარს აღწევდა.**

ისლამური სახელმწიფოს დასუსტება და საბოლოოდ განადგურება ვერ მოხერხდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვერც მოხერხდება; იმიტომ, რომ „ისლამური სახელმწიფო", როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე ზემოქმედების ინსტრუმენტი, სჭირდებათ მათ, ვინც „გლობალური ელიტის" პოლიტიკას აძლევს მიმართულებას. კერძოდ, რადიკალური ისლამი სჭირდება დასავლური ცივილიზაციის მთავარ ფორპოსტს აღმოსავლეთში — ისრაელს. ამიტომაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისლამიზმი სულ მაღლა და მაღლა აფრიალებს თავის შავ დროშას, „ილამის მტრების" დასჯის ამსახველი ვიდეოკადრები კიდევ მრავალჯერ გამეორდება და კიდევ უფრო სასტიკი გახდება, ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი კიდევ უფრო დიდ ტერიტორიებზე გავრცელდება, აშშ კი კვლავაც მოუწოდებს მსოფლიოს სახელმწიფოებს, შეუერთდნენ მის ომს კაცობრიობის მთავარი მტრის წინააღმდეგ. არადა, ეს სულელური უსასრულობისაკენ მიმავალი გზა დასავლური ცივილიზაციისთვის, შესაძლოა, თვითგანადგურების გზად იქცეს...

**fondsk.ru**

◀ **სრული მხარდაჭერა მიიღოს.**

ხაფტარი 1949 წელს დაიბადა ბენღაზში და ახალგაზრდობიდანვე დაიწყო ლიბიის არმიაში მსახურება. 1969 წელს მან აქტიურად დაუჭირა მხარი კადაფს ლიბიის გაერთიანებული სამეფოს მეფე იდრის პირველის ჩამოგდებაში. ამან მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი სამხედრო კარიერის ზრდა 2011 წლამდე. ხაფტარის სამხედრო უნარების დახვეწა და სრულყოფა მიმდინარეობდა, როგორც ლიბიის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში, ისევე საბჭოთა კავშირსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, რომელთა რეჟიმებთანაც კადაფს მჭიდრო კავშირები ჰქონდა.

**გასული საუკუნის 80-იან წლებში ხაფტარი, წარმოადგენდა რა ერთ-ერთ უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელს არმიაში, აქტიურად მონაწილეობდა ლიბია-ჩადის შეიარაღებულ კონფლიქტში.** ჩადში ფრანგული ჯარების ტყვედ ჩავარდა, მაგრამ აშშ-მა დაიხსნა და 1990 წელს საცხოვრებლად ვირჯინიაში გაამწესა, ცსს-ს შტაბ-ბინასთან ახლოს. აშშ-ში ემიგრაციის 23 წლის განმავლობაში ხაფტარმა მიიღო ამერიკის მოქალაქეობა და ცსს-ს დახმარებით აშშ-ში სხვა ლიბიელი სამხედრო და სამოქალაქო პირებისგან ჩამოაყალიბა კადაფის ოპოზიცია. ქვეყანაში აშშ-ის სამხედრო ინტერვენციის შემდეგ და „არაბული გაზაფხულის" ტალღაზე ვაშინგტონმა იგი ლიბიაში დააბრუნა და იგი „განახლებული ლიბიური არმიის" ერთ-ერთ ხელმძღვანელად იქცა.

2014 წლის თებერვალში მასმედიაში გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ხაფტარმა მოითხოვა ნაციონალური კონგრესის მუშაობის შეწყვეტა და დაიწყო სამხედრო მოქმედებები იმ ისლამური დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებმაც კადაფის დამხობის შემდეგ ლიბიაში ყველა სახელისუფლო თანამდებობა ხელში ჩაიგდეს. თუმცა მისი ეს ქმედებები შესამჩნევ წარმატებამდე არ მისულა, ვიდრე 16 მაისს არ წამოიწყო სამხედრო კომპანია ახლანდელი დროებითი ხელისუფლებისა და ლიბიის პარლამენტის წინააღმდეგ. ამას ემირატების მედიამ „ლიბიური გულმოწყალება" უწოდა.

**დღესდღეობით გენერალ ხაფტარს აქვს საკმარისი რაოდენობის იარაღი, რომელიც, სხვადასხვა ინფორმაციით, დაახლოებით 50 მილიონამდე ერთეულს ითვლის.**

ამიტომაც არავის გაკვირვებია ბოლო დროს გავრცელებული ცნობა, რომ მისი ბოევიკების დაჯგუფებამ 21 იანვარს ხელში ჩაიგდო ლიბიის ცენტრალური ბანკის ბენღაზის განყოფილება, 22 იანვარს კი ბოევიკებმა სრული კონტროლი დაამყარეს ცენტრალური ბანკის იმ განყოფილებაზე, რომელშიც მდებარეობდა ნავთობის გაყიდვიდან მიღებული თანხის საცავი, ასევე — ლიბიის სავალუტო რეზერვები, რომელთა საერთო მოცულობა 100 მილიარდი დოლარია. როგორც მედია აღნიშნავდა, ლიბიის ცენტრალური ბანკი ქვეყანაში ერთ-ერთი უკანასკნელი ჯერ კიდევ მოქმედი სახელმწიფო ინსტიტუტი იყო.

მთელი ამ წარმატებების ფონზე ხაფტარს თავისი მომხრეები არმიის უმაღლეს სარდალს უწოდებენ, თვითონ კი საკუთარი ძალაუფლების გამყარებისთვის კრიტიკის ახალი ტალღა ააგორა პრემიერმინისტრისა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელის წინააღმდეგ. არც ამის შემდეგაც შეჩერებულა მიღწეულზე და თავისი ამერიკელი კურატორების ინსტრუქციების შესაბამისად ბოლოდროინდელ ინტერვიუში განაცხადა, რომ ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობისთვის აპირებს ბრძოლას.

**posthunt.net**

ტიპიური ვიქტორიანული ნაგებობები ლონდონის ცენტრში ბელგრავიას რაიონში ითვლება ფეშენებელურ და ძვირადღირებულ უძრავ ქონებად




# ფულის გათეთრების მსოფლიო დედაქალაქი

**საერთაშორისო ორგანიზაცია Transparency International-მა გამოაქვეყნა ანგარიში ლონდონში უძრავი ქონების ბაზრის ბუმსა და „ბინძური" ფულის გათეთრების თაღლითურ სქემებს შორის უშუალო კავშირის თაობაზე. მიწის კადასტრისა და ქალაქის პოლიციაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ანგარიშებზე დაყრდნობით, ორგანიზაციის ექსპერტებმა გამოავლინეს სქემები, რომელთა მიხედვითაც მსოფლიოს კორუფციული შემოსავლები იხარჯება ლონდონში ძვირად ღირებული სახლებისა და მიწების შეძენაზე.**

ორგანიზაციის მონაცემებით, უძრავი ქონების თითქმის 37 ათასი ობიექტი ბრიტანეთის დედაქალაქში ოფშორულ კომპანიებს ეკუთვნით. ამ ობიექტების ღირებულება საშუალოდ 1,5 მილიონ ფუნტს (2,3 მილიონი დოლარი) შეადგენს, ყველაზე ძვირად ღირებულები კი 14 მილიონ დოლარადაა შეფასებული. Transparency International-ი ვარაუდობს, რომ ლონდონში შეძენილი ძვირად ღიებული სახლების ლომის წილი ნაყიდია უკანონო შემოსავლებით — კორუფციითა და ფულის გათეთრებით.

ამგვარი შემთხვევების მცირე ნაწილი დამტკიცებულია და, როგორც ანგარიშის ავტორები ამბობენ, ეს აისბერგის მხოლოდ მწვერვალია.

2004 წლიდან ბრიტანეთის პოლიციის თვალთახედვის არეალში მოხვდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებები, რომელთა ღირებულება მხოლოდ 180 მილიონი ფუნტი იყო და რომლებიც სისხლის სამართლის დევნაში მყოფი პირების ინტერესებით განხორციელდა.

შედარებისთვის: მხოლოდ 1013 წელს კომპანიებმა, რომლებიც ოფშორულ ზონებში არიან დარეგისტრირებულნი, ლონდონში 4 მილიარდი ფუნტის ღირებულების უძრავი ქონება შეიძინეს. საერთო ჯამში მხოლოდ იმ წელს ბრიტანეთში გათეთრებული ბინძური ფულის მოცულობა 23-დან 57 მილიარდ ფუნტამდე შეფასდა.

**პოლიცია ირწმუნება, რომ გამოძიებაში მყოფი პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 75% ფორმალურად ოფშორული კომპანიების საკუთრებაშია.**

Transparency International-ის ბრიტანულმა ქვეგანყოფილებამ შექმნა სპეციალური საიტი, სადაც განთავსებულია ლონდონის ინტერაქტიული რუკა. ამ რუკაზე იქმნება ლონდონის თითოეულ რაიონში საეჭვო უძრავი ქონების სტატისტიკა.

**რეიტინგში, როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერის პოზიცია დაიკავა ქალაქის ცენტრმა — ვესტმინსტრმა (11 ათას ობიექტზე მეტი). მას მოსდევს კენსინგტონი (დაახლოებით 6 ათასი ობიექტი), ჩელსი (დაახლოებით 6 ათასი ობიექტი) და კემდენი (დაახლოებით 2 ათასი ობიექტი).**

საიტზე შემსვლელებს სთავაზობენ, ხელი მოაწერონ პეტიციას დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებისადმი და ყველა პოლიტიკური პარტიისადმი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების თაობაზე კანონმდებლობის გასამკაცრებლად და ოფშორული კომპანიების დასავალდებულებლად, გამოააშკარავონ თავიანთი რეალური მფლობელები.

გარდ ამისა, Transparency International-მა ბრიტანეთის ხელისუფლებისთვის, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოებისთვის 10 რეკომენდაცია შეიმუშავა, თუმცა ამ რეკომენდაციებზე რაიმე ოფიციალური რეაგირება ჯერ არავის მოუხდენია.

**bbc.co.uk**






# თეთრ სახლში განგაში გამოცხადდა

**ამერიკის პრეზიდენტს ბარაკ ობამას თეთრ სახლში გამოცხადებული განგაშის გამო მოუწია, ვერტმფრენიდან ავტომანქანაში გადამჯდარიყო და ისე დაეტოვებინა რეზიდენცია.** განგაში გარკვეული ხმაურის გამო გამოცხადდა. ხმაური მაშინ გაისმა, როდესაც პრეზიდენტი ახლომდებარე სამხედრო საჰაერო ბაზაზე გადაფრენას აპირებდა, იქიდან კი ალაბამას შტატში უნდა გაფრენილიყო ერთ-ერთ ღონისძიებაზე დასასწრებად. ზოგიერთი მედიასაშუალების ცნობით, ხმაური თეთრი სახლის მახლობლად სუვენირების ჯიხურში გაჩენილ ხანძარს უკავშირდებოდა.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

როგორ მიკვირს, რომ კვლავ იმ მიწის მოფერება და დაცვა გინდათ, რომელიც სავსეა შურითა და ბოღმით, წინაპართა სიძულვილით და ჩვენი წარსულის დამცირებით.

# ღია წერილი მერაბ ბერძენიშვილს

## წერილის — «თუ გაგყიდეს «მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!»-ს გამო

**ადამიანი რა სიმაღლეზეც უნდა აფრინდეს, თასმები მაინც თავის აკვანზე აქვს გამობმული. დიდი კონსტანტინე გამსახურდია თავის მოგონებებში წერდა: ჩემი რომანების რამდენი გმირიც მოვკალი, იმდენჯერ ჩემი სიცოცხლე დავამთავრეო. ბატონო მერაბ, მე მესმის მისი, და მესმის თქვენიც.**

თუ ბატონი კონსტანტინე მრავალჯერ მოკვდა თავისი გმირების სიკვდილთან ერთად, მე ნათლად ვხედავდი, რამდენჯერ დაგიბრუნდათ სიცოცხლე, როდესაც უსულო ბრინჯაოში დავით აღმაშენებლის სულს აღვივებდით; როგორ მოგემატათ ძალა და ენერგია, როდესაც ავშარააწყვეტილ ბედაურზე დიდი მოურავი შესვით და ხელში „ხელიდანგაუვარდნელი" ხმალი დააჭერინეთ; „რა ძალამ შეგკრა ძალად", როდესაც ყიზილბაშურ სამყაროს წინ „ალგეთის ლეკვები" დაახვედრეთ; გალაქტიკის რომელი ციური სხეულის სხივი დაგნათოდათ, როდესაც დიდგორზე საქართველოს უკვდავებას აქანდაკებდით.

ყოველთვის მჯეროდა და დღესაც მჯერა, რომ ბოროტება ვერასოდეს ძლევს კეთილს. ზოგჯერ კი ბოროტების აღზევება საფუძველია კეთილის გაძლიერების.

**საქართველოს, და არა თქვენი, „დიდების მემორიალის" აფეთქება ქუთაისში იმის მაცნე იყო, რომ ანტიქრისტე მალე შეიჭრებოდა შუამდინარეთში და ცივილიზაციის პირველ საწყისს უროებით ბოლოს მოუღებდა, ხოლო ცისფერი ყუთით სულს ამოუღებდნენ მსოფლიო კულტურას და მის მაგიერ ამერიკულ სულს შთაბერავდნენ.**

თქვენი პირუთვნელი შემფასებლისა და მსოფლიო ხელოვნების დიდი ექსპერტის — მოისეი კაგანის წიგნში „მერაბ ბერძენიშვილი" ამოვიკითხე ერთი წინადადება: „ადამიანს აქვს საიმისო ძალა, რომ კვლავ აღდგეს იმ სიკვდილის წინამდგომარეობიდან, რომლამდეც დასავლურმა ცივილიზაციამ მიგვიყვანა". და ეს თქვენ ხართ, ბატონო მერაბ, მშობელი მიწის ეს გედო ვალი.

ბატონო მერაბ! თქვენ სრულიადაც არ გჭირდებათ სამეტყველო ენა. თქვენი ენა ის ცისფერი ალია, რომელიც თქვენ კოსმოსურ გონს ბრინჯაოსთან ადუღაბებს და გაციებისთანავე ამეტყველდება, როგორც ცოცხალი არსება, რომელიც ხან დიდგორს გასძახის და ხან მარტყოფის ველზე დაქრის, როგორც უკვდავება. „ალგეთის ლეკვების" მშობელი ქართველი დედა სევდიანად, მაგრამ მომავლის იმედით, ამაყად გასცქერის დაბრუნებულ თუ დასაბრუნებელ მიწებს, სწორედ აქ ისმის სიკვდილის წინამდგომარეობიდან „კვლავაღდგომის" ბრინჯაოში ამეტყველებული სიტყვები: „კიდევაც დაიზრდებიან".

**წავიკითხე თქვენი წერილი — „თუ გაგყიდეს —„მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!"**

დასანანია ის დრო, როდესაც მოკვდავებს ესაუბრებით, რადგან მოკვდავებს უკვდავებასთან არაფერი ესაქმებათ. თქვენი წუხილი ქვეყნის გადარჩენისა ხმაა „მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". „არსაიდან ხმა, არსით ძახილი მშობელი შობილს არას ეტყოდა".

გვაიმედებენ, ქართველებმა ბოლოს ვიცით ძალის მოკრება და გაერთიანებაო... ეს ფუჭსიტყვაობაა.

**საქართველო გააერთიანა ძალამ გორგასალისა, მოხერხებამ და სტრატეგიამ დავით აღმაშენებლისა, სიბრძნემ და უძლეველობამ სტალინისა.**



ცრემლი მადინა ჯერ პოეტის და მერე თქვენ ბაგეთაგან წარმოთქმულმა სიტყვებმა:

**„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველმა**
**არ გავიარე, რაა მამული?**
**წინაპართაგან წავიდა ყველა,**
**სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული".**

**გაივლის დრო და ამ სიტყვების მთქმელი აღარ დარჩება საქართველოში. აქ ის ხალხი იქნება, რომლებშიც ამერიკულმა სულმა მამაკაცების მუცელში სპერმა ჩათესლა და ახლა იმ მამაკაცებს ტყუპი ბიჭი უნდა ეყოლოთ.**

მრცხვენია, ბატონო მერაბ, იმ „პატიოსან" დეპუტატებს რომ მიმართავთ, რომლებმაც კანონი უნდა მიიღონ ან თქვენ, საერთოდ, რატომ უყურებთ ტელეეკრანს. ეს ზომბირების ყუთი ხომ ჩვენს გასაბრიყვებლად და გასამასხარავებლადაა მოგონილი, სადაც ჟურნალისტი ქვეყნის პრეზიდენტს ირონიულად ეკითხება: „აბა, პრეზიდენტო, მომიყევით რა პროგრამა გაგაჩნიათ!"

თქვენ, დიდი ხანია, გასცდით იმ ქაოსს, რომელშიც უამრავი ლეში და სიმყრალე ბუდობს, თქვენ უკვდავების ბინადარი ხართ. **როგორ მიკვირს, რომ კვლავ იმ მიწის მოფერება და დაცვა გინდათ, რომელიც სავსეა შურითა და ბოღმით, წინაპართა სიძულვილით და ჩვენი წარსულის დამცირებით.** ახლაც ჩამესმის ყურში მუზების ღმერთის დაწერილი და თქვენ მიერ წარმოთქმული სიტყვები:

**„მშობლიურო ჩემო მიწავ,**
**შენს საყვარელ**
**სახელს ვფიცავ,**
**გიცავდი და გიცავ მარად,**
**გიცავდი და**
**კვლავ დაგიცავ".**

თქვენმა თანამოქალაქემ კი ამას წინათ გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა: „ვცვლი ან ვყიდი ჩემს სალ კლდეებს სხვა ქვეყნის სამოთხეზე".

ბატონო მერაბ, ამერიკული სულით გაზრდილი ამ ახალგაზრდა კაცის მეზობელი და თანამოქალაქე არ გეგონოთ თქვენი თავი. თქვენ ძალიან მაღლა ხართ ასული!

**პატივისცემით,**

**გრიშა ონიანი**
**5 მარტი (სტალინის გარდაცვალების დღე), 2015 წელი**

**P.S. როცა ამ წერილს ვწერდი, ამეკვიატა აზრი: ადამიანი რა სიმაღლეზეც უნდა აფრინდეს, თასმები მაინც თავის აკვანზე აქვს მიბმული.**

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციას!**
**მოგმართავთ თხოვნით, თუ მიზანშეწონილად ჩათვლით, „ღია წერილის" სახით გამოგვიქვეყნოთ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქალბატონ ირმა ქავთარაძისადმი თანდართული მიმართვა.**
**ღრმა პატივისცემით,**
**სამეგრელოს რეგიონული საზოგადოებრივი უხუცესთა კავშირი „სხუნუს" გამგეობის თავმჯდომარე**
**ანზორ ლომაია**

# ღია წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ირმა ქავთარაძეს

**მოგახსენებთ, რომ ამა წლის 6 თებერვალს უხუცესების მიერ გამოგზავნილი მომართვა ჩაგბარდათ იმავე დღეს, 6 თებერვალს, რეგისტრაციის № E-0200, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია. პასუხი არ მიგვიღია წინა მიმართვებზეც, ან მივიღეთ ზერელე, არაფრისმთქმელი პასუხი, რაც ჩვენი მიმართვების ჩამოსაწერადაა გაკეთებული.**

**განმეორებით გიგზავნით იმავე მომართვას (ამჟამად დანართის გარეშე).**

**მოგახსენებთ, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდა შემდეგი:**

1. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ბატონი გიორგი კვირიკაშვილი წარმომადგენლებთან (საკუთარი შეხედულებით) ერთად ჩამოვიდა ზუგდიდში და დაათვალიერა მდინარე თიქორის ზღვასთან შესართავი ადგილები, შემდეგ კი საზოგადოების მცირე ნაწილთან თათბირზე განაცხადა, რომ ანაკლიის ნავსადგური აშენდება მდინარე თიქორის შესართავთან, ხოლო აკადემიკოს არჩილ კიკნაძის პროექტზე თუ წინადადებაზე კრინტი არ დაუძრავს, ანუ ერთპიროვნულად გადაწყვიტა ესოდენ სათუთი და აქტუალური საკითხი, რაც სრული უკანონობაა.

**2. მ/წლის 26 იანვარს თქვენთან ჩატარდა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ: ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და ბუნების დაცვის მინისტრთა მოადგილეები, ქართველი მეცნიერი მუშაკები, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ბატონი ჯ. მხეიძე და სხვა პირები. თათბირზე განხილული იყო ბატონ ს. ერაგიას პროექტი, მდ. თიქორზე ნავსადგურის აშენების საკითხზე. როგორც ამბობენ, იგი უარყოფილი იქნა დამსწრეთა მიერ, ხოლო ა. კიკნაძის პროექტზე საუბარი არ ყოფილა.**



ირმა ქავთარაძე

**ამჟამად ს. ერაგია დაეძებსო ზღვის სანაპიროზე ახალ ადგილს, რითაც დასასვენებელი ზღვის სანაპირო („პლაჟის") ადგილის დიდი ნაწილი ნადგურდება, რასაც სამეგრელო-ზემო სვანეთის საზოგადოება, მით უმეტეს, ზღვის სანაპიროს მიმდებარე სოფლების მოსახლეობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს.**

**ა. კიკნაძის პროექტი თქვენი სამინისტროს მიერ შეგნებულად არ იხილება, რომელიც სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად (ამის შესახებ არაერთხელ დაწერილა) უზრუნველყოფს სანაპირო ზოლის სრულყოფილად შენარჩუნებას.**

3. იაპონელ მეცნიერთა საექსპერტო დასკვნა საჯარო დოკუმენტია, მაგრამ, მიუხედავად საზოგადოებისა და მეცნიერთა არაერთგზის თხოვნისა, ეკონომიკის სამინისტრო პრინციპულად ასაიდუმლოებს მას და აბრალებს „საპარტნიორო ფონდს", თითქოს მან მოიწვია იაპონელი სპეციალისტები და გადაიხადა თანხა, რისი კანონიერი უფლება არ ჰქონდა. საზოგადოება ლაპარაკობს, რომ იაპონელი სპეციალისტების საექსპერტო დასკვნა არ არსებობს და 5 მილიონი დოლარი მათთვის მიცემული არ არის, ან უკეთეს შემთხვევაში, იაპონელებს აჩვენეს კანიონი მდ. ენგურის შესართავთან და „გადაიტანეს" მდ. თიქორის შესართავთანო.

საზოგადოებას აინტერესებს და ელოდება თქვენგან პასუხს: **ბოლოს და ბოლოს, დადგება თუ არა ანაკლიის ნავსადგურის აშენების ადგილის შესარჩევი კომისიის წინაშე ა. კიკნაძისა და ჯ. მხეიძის „ინჟინრული წინადადების" — მდ. ენგურის სიღრმეში ანაკლია-განმუხურის ღრმაწყლიანი სახმელეთო ნავსადგურის აშენების საკითხი. ამის გადაწყვეტას ითხოვს სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა, რომელსაც წერილობითი თხოვნითაც ადასტურებენ** (დღემდე ოფიციალურად ხელმოწერილი აქვს 9000-მდე მოქალაქეს. ხელმოწერა გრძელდება!)

რეგიონის უხუცესთა და საზოგადოების სახელით, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ:

**1. თქვენთან მ/წლის 26 იანვარს ჩატარებული თათბირის ოქმი (თუ ასეთი არაა, მაშინ დასმული საკითხები და გადაწყვეტილებები);**

**2. იაპონელ მეცნიერთა საექსპერტო დასკვნის ქსეროასლი (თუ იგი მართლაც არსებობს);**

**3. ნუ ცდილობთ სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის აბუჩად აგდებას და გთხოვთ, გარკვევით მოგვწეროთ: დგას თუ არა განსახილველად აკადემიკოს ა. კიკნაძის პროექტი მდ. ენგურის სიღრმეში ღრმაწყლიანი სახმელეთო ნავსადგურის აშენების შესახებ. თუ არ დგას და არც აპირებთ, მოგვწერეთ უარყოფის ერთი მიზეზი მაინც.**

ხალხის მოთმინების ფიალა ივსება და მოსალოდნელია მასობრივი გამოსვლები, რაც ჩვენ არ გვსურს.

ველოდებით პასუხს.

**სამეგრელოს რეგიონული საზოგადოებრივი უხუცესთა კავშირი „სხუნუს" გამგეობის თავმჯდომარე**
**ანზორ ლომაია**

**თუ ბატონი ტყემალაძე ეცდება, ის სულისკვეთება გადაიტანოს ოფიციალურ ვერსიაში, რომელიც სამუშაო ვარიანტშია და რომელიც იურიდიული პირების ინტერესების ლობირებითაა გაჟღენთილი და პარლამენტს შესთავაზოს, როგორც ალტერნატივა – ეს იქნება ქართველი ხალხის მოტყუების მცდელობა. ეს არ გამოვა. ჩვენი ვალია, აკადემიურად გავაფრთხილოთ იგი, რომ ქართული მიწის განიავების ხელშეწყობის შემთხვევაში ბატონი ტყემალაძე პერსონალური პასუხისმგებლობით წარდგება სასამართლოს წინაშე!**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელი არ ახლოთ ჩვენს მარადიულ სამკვიდრებელს!

**საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს საზოგადოების მშენებლობისათვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისათვის.**



ქართველი ერის სიცოცხლე განუყოფელია საქართველოს მიწისგან. ვერც დიასპორის სახით, ვერც საკუთარ ქვეყანაში უმცირესობის სახით ქართველი ერი ვერ იარსებებს. ამას ობიექტური მიზეზები აქვს:

**I. ქართველმა ერმა იცის, რომ მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში მისი სამოსახლო მიწა-წყალი დედამიწაზე კარგ მიწებს შორის ერთ-ერთია, მის მეზობლობაში კი — საუკეთესო. ეს ქართველს ანიჭებს განცდას, რომ მის მიერ გაღებული მსხვერპლი ამ მიწის შესანარჩუნებლად უაზრო არ არის: იგი თავის შთამომავლობას კაცობრიობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ ისეთი მოარული ფრაზები, როგორიცაა „მშვენიერი საქართველო“, „ტურფა საქართველო“, „ცაფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტო — ჩემო სამშობლო მხარეო“, ,,ქართულზე უკეთეს ხილს ვერსად შეჭამ“, „აქაურზე უკეთეს წყალს ვერსად დალევ“, „ჩვენზე უკეთესი საღვინე ყურძენი არსად მოდის“ და ა. შ. მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ არის. ქართველმა კაცმა ისტორიულად იცის, რომ საქართველოს მიწის დაკარგვით ის და მისი შთამომავლობა მომავალს დაკარგავენ.**

**II.** ქართველმა კაცმა იცის, რომ საქართველოს სამხედრო თვალსაზრისით, კულტურული თვალსაზრისით, მორალური თვალსაზრისით, საზოგადოდ – მოსახლეობის ხარისხის თვალსაზრისით, აგრეთვე, საკუთარი ცხოვრების მოწყობის ნიჭის თვალსაზრისით, მსოფლიოში საუკეთესო ადგილი უჭირავს. ამაში მას ეგულება ერთ-ერთი უპირატესობა, რომელსაც იგი თავის შთამომავლობას უტოვებს. ქართველმა იცის (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც), რომ მისი ერის მაღალი ხარისხი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი ქვეყნის ბუნებრივი მახასიათებლებით (მაგალითად, ყველას ესმის, რომ ადამიანი, რომელსაც თვეში ერთხელ მაინც მთაზე შედგომა და ქვეყნის გადახედვა უწევს, უფრო მეტად არის აღჭურვილი წარმოსახვითა და აქტიური აზროვნების უნარით, ვიდრე ის, ვინც ტრამალში ცხოვრობს).

აზროვნების აქტიურობა, რომელიც ადამიანს ბავშობიდან უვითარდება, როგორც ცნობილია, დიდი ფაქტორია მისი შემოქმედებითი აქტიურობისთვის, შრომისა და შემოქმედების ყველა დარგში.

**III.** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის მრავალგვარობა ქართველ კაცს (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც) ანიჭებს იმის განცდას, რომ მასაც და მის მოდგმასაც უნარი აქვთ, სრულფასოვნად იშრომონ და იბრძოლონ ყველანაირ ექსტრემულ პირობებში — სიცხეშიც და ყინვაშიც, მთაშიც და ბარშიც, წყალშიც და ხმელეთზეც. აქედან გამომდინარე, საქართველოს მიწა-წყალი ქართველს უღირს სხვა ყოველივესთან ერთად, როგორც თაობათა აღზრდის ოპტიმალური ბაზა — საქართველოს ბუნება ადამიანს არც ანაზებს, არც გაუსაძლისი პირობებით ჩაგრავს. იგი მას განვითარების საუკეთესო პირობებს უქმნის.

**საქართველოს კანონმდებელს არ აქვს უფლება, ქართველი ერის (საქართველოს მოქალაქეთა კრებულის) ამ ბედნიერ მემკვიდრეობას, მის წინაპართა სისხლით დაცულს, თუნდაც ერთი გოჯი მოაკლოს. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, როგორც საცხოვრისის ისტორიულად ჰარმონიზებული ერთიანი სისტემა, ვერ იფუნქციებს მისი ნაწილ-ნაწილ ხელყოფის (გასხვისების) შემთხვევაში.**

*მიწა ერისთვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და, ფაქტობრივად, მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

***თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, მაშინ უყოყმანოდ იწირება თეორიის მოთხოვნა. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ.**

*ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. **გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული საქართველოს ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა;**

*ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და, თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა;

***მიწა არა მხოლოდ პროდუქციის წარმოების წყაროა, არამედ ქართული მოდგმისა და ერის განმტკიცების ფაქტორიცა;**

*ქვეყნის სიძლიერე გლეხკაცის მიწასთან მარადიულ კავშირშია;

*გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია;

*** მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლას.**

***სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხკაცი თავის მამაპაპურსაც, თავის მამულსაც იცავდა. სხვა სიტყვით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის — სახელმწიფოს — დაცვის სახით იცავდა. ეს ფსიქოლოგიური კანონზომიერება მარადიულია.**

ამ სასიცოცხლო თემაზე საზოგადოებამ უნდა იცოდეს შემდეგი:

***საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნო-ფსიქოლოგიური და ეთნო-კულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.**

*მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფო ტერიტორიული შეუვალობა, ანუ სუვერენიტეტი. სუვერენია ხალხი (ერი).

***ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მიწის უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) ხალხის (ერის) საკუთრებაა. ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშეგნება სამართალსუბიექტად მიიჩნევს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ არც ერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ ხელისუფლებას) არ აქვს არანაირი უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას.**

*საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია, ყველა კანონმდებლობითი და პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიება გამოიყენოს, რათა საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობას შეუნახოს საქართველოს მიწა-წყალი და ბუნებრივი რესურსები შეუმცირებლად.

***საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეების შთამომავლობა დაიცვას არა მხოლოდ სამხედრო, ეკოლოგიური, ეპიდემიური და სხვა მასობრივი კატასტროფებისგან, არამედ სასურსათოსგანაც (ანუ სტაბილური და მასობრივი შიმშილობისგან), კონკრეტულად — მუდმივად და უცვლელად ჰქონდეს ხელთ ის მინიმალური რესურსი, რომ თავის მოსახლეობას (ბუნებრივია, მზარდ თაობათა მანძილზე) ბიოლოგიურად აუცილებელი კალორიები მისცეს. ამისი ერთადერთი რეალური გზაა, მის კონტროლს დაქვემდებარებულ საზღვრებში შეინარჩუნოს ის საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც საკმარისია, რათა თავის მოქალაქეთა შრომის საჭირო ნაწილი საკვებ მასალად გარდაქმნას. ასეთი საწარმოო სიმძლავრე, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს და ვერ ექნება, არის მხოლოდ მიწა.**

*ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე — მისი პოტენციური მყიდველი, მომხმარებელი, მფლობელი და გაჭირვების გამო გამყიდველი — დღეს არაკონკურენტუნარიანია უცხოელების მიმართ.

*ფართოდ უნდა გაცხადდეს საქართველოს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ ხელისუფლების განზრახვა, უცხოელებისთვის ხელოვნურად გალატაკებული გლეხების მიწის მიყიდვისა არის კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის გაყიდვა და რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება. მოსახლეობის ეს ნება და ეს აზრი გაფრთხილების ფორმით უნდა მიეწოდოს შემოსახლების მსურველებს, როგორც გაფრთხილება ნაქურდალის ყიდვის გამო, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ქართულ საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად მართებს!

**საზოგადოება „საქართველოს მიწის გუშაგის“ სახელით,**

**მამუკა გიორგაძე,
რევაზ გოგოხია,
პაატა კოლუაშვილი,
გურამ მაქაცარია,
ზაზა მგალობლიშვილი,
ანზორ მესხიშვილი,
ნოდარ ნათაძე,
ბადრი რამიშვილი,
თენგიზ დიხამინჯია,
პაატა ცნობილაძე,
მიხეილ ჯიბუტი,
ზაურ ჯინჯოლავა,
შოთა ჩხეიძე,
ანზორ მესხიშვილი,
ნიკო ჩიხლაძე,
ყარამან ფაღავა,
ოთარ ჟორდანია**

**P.S.** კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტში ქართული საზოგადოების „ზურგს უკან შევიდა“, მისი საჯარო განხილვა არ მომხდარა. საზოგადოებამ კანონპროექტზე მსჯელობა დაიწყო მას შემდეგ, რაც მისი ტექსტი საქართველოს პარლამენტის ელექტრონულ გვერდზე აიტვირთა. კანონპროექტმა ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა. მასზე არც ერთი დადებითი გამოხმაურება არ ყოფილა საჯარო სივრცეში. სიტუაციის გადარჩენა, ეტყობა, „თავის თავზე აიღო“ საქართველოს პარლამენტის წევრმა ზურაბ ტყემალაძემ და მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე დღეში შეიქმნა ე. წ. ალტერნატიული ვარიანტი. ჩვენ ხელთ არ გვაქვს ამ „ალტერნატიული ვარიანტის“ ოფიციალური ვერსია (თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ამ „ალტერნატიულ ვარიანტში“ არსად ჩანს მთავრობის ხედვა და სტრატეგია სასოფლო-სამეურნეო მიწის მიმართ. ასევე, არ ჩანს, ანალიზზე დაფუძნებულ რა გამოწვევებს პასუხობს იგი. კანონპროექტი უნდა ემსახურებოდეს ხედვის, სტრატეგიისა და დასახული მიზნების განხორციელებას). სამუშაო ვერსიის საფუძველზე, ბუნებრივია, განხილვას ვერ შევთავაზებთ მკითხველს, თუმცა ერთის თქმა კი შეგვიძლია: **თუ ბატონი ტყემალაძე ეცდება, ის სულისკვეთება გადაიტანოს ოფიციალურ ვერსიაში, რომელიც სამუშაო ვარიანტშია და რომელიც იურიდიული პირების ინტერესების ლობირებითაა გაჟღენთილი და პარლამენტს შესთავაზოს, როგორც ალტერნატივა — ეს იქნება ქართველი ხალხის მოტყუების მცდელობა. ეს არ გამოვა. ჩვენი ვალია, აკადემიურად გავაფრთხილოთ იგი, რომ ქართული მიწის განიავების ხელშეწყობის შემთხვევაში ბატონი ტყემალაძე პერსონალური პასუხისმგებლობით წარდგება სასამართლოს წინაშე!**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# კუბა — სიგარების, «მოხიტოსა» და «მოხუცი და ზღვის» სამშობლო

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

რესპუბლიკა კუბა (ესპ. — Republica de Cuba) კარიბის ზღვის ჩრდილოეთით მდებარე კუნძულოვანი სახელმწიფოა. სახელწოდება მომდინარეობს სიტყვიდან „აკობა“ და ადგილობრივი ინდიელების ენაზე „მიწას, ხმელეთს“ ნიშნავს. ქვეყანა შედგება კუნძულ კუბისგან, კუნძულ ჰუვენტუდისა და პატარა კუნძულებისგან — მარჯნის რიფებისგან (სულ 1600). სანაპიროებისთვის დამახასიათებელია ღრმა ყურეები. კუბას ხშირად ადარებენ ხვლიკს, რომელსაც თავი მიმართული აქვს ატლანტიკის ოკეანისკენ, კუდი კი — მექსიკის ყურის შესასვლელში. კუბის სამხრეთის მდებარეობს კარიბის ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით — მექსიკის ყურე, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ატლანტის ოკეანე.

კუბასა და აშშ-ს შორის უმოკლესი მანძილი ფლორიდის სრუტეზე გადის და 180 კმ-ს შეადგენს. კუნძულ ჰაიტიმდე 77 კმ-ია იამაიკამდე; 140 კმ — მექსიკამდე, იუკატანის სრუტით — 210 კმ.

კუბის რელიეფი, ძირითადად, დაბლობია. ყველაზე მაღალი მთათა სისტემა — სიერა მაესტრა სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ მდებარეობს. უმაღლესი წერტილია **ტურკინოს პიკი** (1972 მ).

**კლიმატი.** ტროპიკული. წლიური საშუალო ტემპერატურა პლუს 25,5 გრადუსია, ყველაზე ცივი თვის — იანვრის ტემპერატურა პლუს 22 გრადუსი, ყველაზე ცხელი თვის (აგვისტო) — 27,8. წყლის ტემპერატურა სანაპიროებთან ზამთარში 22-24 გრადუსია, ზაფხულში — 27. დიდი რაოდენობით მოდის ნალექი, ამიტომ ჰაერის ტენიანობა მაღალია. ხშირია ტაიფუნი, რომელსაც ერთვის კოკისპირული წვიმები.

**ფლორა.** აქ ხარობს ტროპიკული მცენარეები: პალმა (50 სახეობა); წითელი და შავი ხეები; ალვა, სანდალოზის ხე, ვირჯინიის ფიჭვი, პასიფლორა; ციტრუსები, შაქრის ლერწამი. დაბლობები დაფარული ბალახეულით.

**ფაუნა.** კუნძულზე ბინადრობს უამრავი ღამურა. ფრინველებიდან აღსანიშნავია მწყერი, კოლიბრი, ფასკუნჯი, თუთიყუში არა. ზღვაში დიდი რაოდენობითაა მოლუსკები, ლანგუსტები და კრევეტები.

უდიდესი მდინარეა **კაუტო.**

კუბის ტერიტორია 110 860 კვ.კმ-ია (104-ე მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2013 წლის აღწერით, **11,4 მლნ-ს** შეადგენს (77-ე). აშშ-ში ცხოვრობს დაახლოებით 1 მლნ. კუბაზე ესპანელების გამოჩენამდე ცხოვრობდნენ ინდიელები სიბონეების ტომის წარმომადგენლები, აგრეთვე, ჰაიტიდან გადმოსახლებული ინდიელები. ესპანელებმა, რომლებმაც კუბა კოლონიად აქციეს, იაფი


ჰავანა


სიგარა „რომეო და ჯულიეტა“

მუშახელი შეიყვანეს — ძირითადად, აფრიკელი მონები. მათი შთამომავლობა მოსახლეობის 35-40%-ია. ესპანეთიდან კი, ძირითადად, გადმოსახლდნენ გალისიელები, კასტილიელები და ნავარელები. კუნძულზე ცხოვრობენ ფრანგებისა და იტალიელების შთამომავლებიც. საერთოდ კი, კუბის მოსახლეობის 65% — ევროპელთა შთამომავალია, 20% — მულატი; 12% — აფრიკელი; ცხოვრობენ, აგრეთვე ჩინელებიც.

**დედაქალაქი: ჰავანა** (2,2 მლნ).

**უდიდესი ქალაქები: სანტიაგო დე კუბა** (500 ათასი);**კამაგუეი** (354 ათასი); **ოლგინი** (275 ათასი); **გუანტანამო** (270 ათასი).

**ოფიციალური ენა:** ესპანური.

## მმართველობის ფორმა და რელიგია

კუბა უნიტარული სახელმწიფოა. ქვეყნის პირველი პირია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. ეს პოსტი ამჟამად უკავია **რაულ კასტროს** (ფიდელ კასტროს ძმას), რომელიც, ამასთანავე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეცაა და უმაღლესი მხედართმთავარიც. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ნაციონალური ასამბლეა.

კუბა დაყოფილია **16 მუნიციპალიტეტად**, რომლებსაც აქვთ თავიანთი ადმინისტრაციული ცენტრები.

**რელიგია.** კუბაზე ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან. მოსახლეობას რწმენის თავისუფლება კონსტიტუციით აქვს გარანტირებული. 40 პროცენტი ათეისტია. ყველაზე გავრცელებული რელიგია კი კათოლიციზმია (მოსახლეობის 40%), შემდეგ პროტესტანტიზმი (10%), კუბაზე ცხოვრობს დაახლოებით 3000 მუსლიმანი.

**ეკონომიკა.** 1960-იანი წლებიდან აშშ-ის მიერ კუბისთვის დაწესებულმა ემბარგომ ქვეყნის ეკონომიკა დიდად დააზარალა. ოფიციალური მონაცემებით, ეს ზარალი 104 მლრდ აშშ დოლარად არის შეფასებული.

მიუხედავად ამისა, კუბის შიგა ეროვნული პროდუქტი, რომელიც 114 მლრდ-ს შეადგენს, (67-ე) მნიშვნელოვნად აღემატება, მაგალითად, უკრაინის ანალოგიურ მაჩვენებელს.

კუბის ეკონომიკის ძირითადი დარგი შაქრის მრეწველობაა. კუბის შაქრის მწარმოებელ ქარხნებს დღე-ღამეში 670 ათასი ტონა შაქრის ლერწმის გადამუშავება შეუძლიათ (წელიწადში 9-9,5 ტ შაქარი).


ციხესიმაგრე სან პედრო დე ლა როკა

გარდა შაქრისა, კუბა საექსპორტოდ აწარმოებს ნიკელს, თამბაქოს (კუბა განთქმულია სიგარებით), ზღვის პროდუქტებს, სამედიცინო მოწყობილობებს, ციტრუსებს, ყავას. ამ მხრივ მისი ძირითადი პარტნიორები არიან ჩინეთი, კანადა, ესპანეთი და ჰოლანდია.

ქვეყანაში მოიპოვებენ კობალტს, სპილენძს, რკინას, ფოსფატებს, მარგანეცს. 1984 წელს კუბის დასავლეთში აღმოაჩინეს ნავთობისა და გაზის მარაგი, 2006 წელს კი დაიწყეს მისი ათვისება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ კუბის შელფზე ნავთობის მარაგი 5 მლრდ ბარელს აღემატება, ბუნებრივი აირისა კი — 300 მლრდ კუბ.მ-ს.

**ვალუტა: კუბური პესო** (1 პესო — 1 აშშ დოლარს).

**ინტერნეტდომენი: cu**

**სატელეფონო კოდი: +53**

**საათობრივი სარტყელი: UTC-5**

**დამოუკიდებლობის დღე: 10 დეკემბერი (1898 წლიდან).**

**კულტურა.** პირველი ევროპელი, რომელმაც 1492 წელს კუბაზე ფეხი დაადგა, იყო **ქრისტეფორე კოლუმბი.** 1511 წელს კი **დიეგო ველასკეს დე კუელიარმა** კუბა ესპანეთს დაუმორჩილა. მას შემდეგ კუბის არქიტექტურა და კულტურა ესპანური კულტურის გავლენას განიცდიდა. იუნესკომ მსოფლიოს მემკვიდრეების სიაში კუბის 9 ობიექტი შეიტანა. ესენია: ძველი ჰავანა; ქალაქი ტრინიდადი და დე ლოს ინხენიოსის ველი; ციხესიმაგრე სან პედრო დე ლა როკა; ნაციონალური პარკი დესემბარკო დელ გრანმა; ვინიალესის ლანდშაფტი; ყავის პლანტაციების არქეოლოგიური ლანდშაფტი კუბის სამხრეთ-აღმოსავლეთში; ალექსანდრე ჰუმბოლდტის ნაციონალური პარკი; ქალაქ სიენფუეგოსისა და ქალაქ კამაგუეის ისტორიული ცენტრები.

**ღირსშესანიშნაობები:** ჰავანაში — ნაციონალური მუზეუმი; მოროს ციხესიმაგრე; სანტა კლარას მონასტერი; ამერიკაში ყველაზე დიდი ზოოპარკი. სანტიაგო დე კუბაში — ისტორიის მუზეუმი; კამაგუეიში — მსოფლიოში ყველაზე დიდი აკვარიუმი.

**აღსანიშნავია, რომ სახელგანთქმული ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ერნესტ ჰემინგუი წლების განმავლობაში ცხოვრობდა კუბაზე, სწორედ აქ დაწერა მან ცნობილი მოთხრობა „მოხუცი და ზღვა“ (1952).**

## სამზარეულო

კუბურ კერძებში ბევრია ესპანური და აფრიკული კულინარიის ელემენტი. კუბელები კერძებში, ძირითადად, იყენებენ ფრინველის, ძროხისა და ღორის ხორცს, ზღვის პროდუქტებს (ლანგუსტები და კრევეტები), ტკბილ კარტოფილს, ბანანს, ფორთოხალს, გუანაბანას, ანანასს, ქოქოსის რძესა და ზეთს, აგრეთვე, სიმინდს, პომიდორს, ხახვსა და ნიორს.

კუბა განთქმულია კოქტეილებით, რომელთა ძირითადი ინგრენდიენტი არის შაქრის ლერწმისგან დამზადებული რომი.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**


ჰემინგუეის სკულპტურა ბარში

### კოქტეილი „მოხიტო“

**„მოხიტო“ ერნესტ ჰემინგუის საყვარელი სასმელი იყო. სწორედ ჰემინგეიმ შეუწყო ხელი ამ კოლქეტილის პოპულარიზაციას მსოფლიოში.**

**ინგრენდიენტები (4 ულუფისთვის):**

***შაქარი** — 4 ჩ. კოვზი
***გაზიანი ან მინერალური წყალი** — 1 ჭიქა
***პიტნა** — 20 ფოთოლი
***ლაიმი** — 1 ცალი
***რომი (თეთრი)** — 160 მლ
***ყინულის ნატეხები** — 10-12 კუბი (დაახლოებით 2 ჭიქა)

**მომზადების წესი:**

**1.** პატარა ქვაბში ჩაყარეთ შაქარი, დაასხით გაზიანი ან მინერალური წყალი, აურიეთ და მასა მიიყვანეთ ადუღებამდე. ქვაბი გადმოიღეთ ცეცხლიდან, ჩაყარეთ შიგ პიტნის 5-6 ფოთოლი, შემდეგ დაახურეთ თავსახურავი და კვლავ შემოდგით ცეცხლზე — 10 წუთით. მიღებული მასა მარლაში გაწურეთ. მომცრო ჯამში გადაიტანეთ და გააცივეთ;

**2.** ლაიმი გარეცხეთ და შუაზე გაჭერით. შემდეგ ერთი ნახევარი 4 ნაწილად დაჭერით (მეორე ნახევარი მოსართავად შეინახეთ).

გაციებულ ბოკლებში ჩაყარეთ პიტნის ფოთლები (2-3 ფოთოლი 4 ჭიქაში) და გასრისეთ, ვიდრე მკაფიოდ არ იგრძნობთ პიტნის არომატს, შემდეგ ბოკლებში ჩაყარეთ ლაიმის ნაჭრები და ისინიც გაჭყლიტეთ;

**3.** ბოკლებში ჩაასხით რომი და შაქრისგან მომზადებული მასა, ჩაყარეთ ყინული;

**4.** მორთეთ კოქტეილი ლაიმისა და პიტნის ფოთლებით.



**ამ პერიოდში მოერიდეთ გადაწყვეტილებების ნაჩქარევად მიღებას, რადგან დიდია შეცდომის დაშვების ალბათობა. წარმატების ყველაზე მეტი შანსი აქვთ თევზებისა და მორიელის ნიშნით დაბადებულებს.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**11 - 17 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

ამ პერიოდში ვერძებისთვის რეკომენდებულია დასვენება. ჯერ ძალები მოიკრიბეთ და შემდეგ შეუდექით დასახული მიზნებისკენ სვლას. ოღონდ ხელმძღვანელობა არ აიძულოთ, საქმეებით მეტისმეტად დაგტვირთონ.

მიზნის მიღწევაში კი მეგობრები და ოჯახის წევრები დაგეხმარებიან.

საფინანსო საკითხების გადაწყვეტისას, უმჯობესია, არ გარისკოთ, რადგან შესაძლოა, მშრალზე დარჩეთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ, აგრეთვე, ხელშეკრულების გაფორმებისას.

მარტოხელა ვერძები შეიძლება შეხვდნენ საპირისპირო სქესის ადამიანს, რომელთან ურთიერთობაც მგზნებარე რომანში გადაიზრდება და არ არის გამორიცხული, ქორწინებითაც დაგვირგვინდეს.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მოთოკეთ ემოციები!

**დადებითი დღე: 14 მარტი,**
**უარყოფითი დღე: 17 მარტი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

ამჟამად კოლექტივის ინტერესები უნდა დააყენოთ წინა პლანზე, თუმცა ამ კოლექტივის ლიდერის როლში თქვენ იქნებით. თქვენს გრანდიოზულ გეგმებს ხელმძღვანელობა მხარს დაუჭერს და დიდ პასუხისმგებლობას დაგაკისრებთ.

გაითვალისწინეთ თითოეული კოლეგისა და პარტნიორის ინტერესი და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. თუ ზედაპირულად და დაუდევრად მოეპყრობით ადამიანების განცდებს, ისინიც ანალოგიურად მოგექცევიან, რაც თქვენს იმედგაცრუებას გამოიწვევს.

თუ მოახერხებთ წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში, ბედნიერად განაგრძობთ ცხოვრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაშორება გარდაუვალია.

მოერიდეთ ვირუსული ინფექციებით დაავადებულ ადამიანებთან ურთიერთობას!

**დადებითი დღე: 12 მარტი.**
**ნეგატიური დღე: 14 მარტი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

ამ პერიოდში ბევრი ტყუპი მიხვდება, რომ ადამიანების პოტენციალის შეუფასებლობა არ შეიძლება. ეს თქვენთვის კარგი გაკვეთილი იქნება, რომელიც საშუალებას მოგცემთ, მომავალში ნაჩქარევი დასკვნები აღარ გააკეთოთ.

გააკონტროლეთ თქვენი განცდები და ემოციები. არ არის საჭირო, ყველაფერი უთხრათ კოლეგებს, რასაც მათზე ფიქრობთ — წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხს არასასიამოვნო ფორმით მიიღებთ.

საყვარელ ადამიანს ბევრს ნუ მოსთხოვთ, მას უყვარხართ ისე, როგორც შეუძლია.

გაიმყარეთ იმუნიტეტი ხილითა და ვიტამინებით.

ყურადღება გამოიჩინეთ ავტომობილის მართვისას!

**დადებითი დღე: 15 მარტი.**
**ნეგატიური დღე: 11 თებერვალი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

შეეცადეთ, სრულად გამოიყენოთ თქვენი შესაძლებლობები — მხოლოდ ასე მიაღწევთ წარმატებას ამ პერიოდში. რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მისაღებად რჩევისთვის მეგობრებსა და ოჯახის წევრებს მიმართეთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რაც დიდად წაადგება თქვენს შემცირებულ ბიუჯეტს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას, შეიძლება, თავიდან ვერ აიცილოთ კონფლიქტი, რომლის მიზეზიც ძველი წყენა იქნება. მაგრამ შეეცადეთ, ემოციებს არ აჰყვეთ და უთანხმოების პერიოდი როგორმე გადააგოროთ. შემდეგ კი იფიქრეთ იმაზე, როგორ განაგრძოთ ერთად ცხოვრება.

დაიცავით კვების რეჟიმი და ყურადღება მიაქციე კუჭნაწლავის სისტემას. ურიგო არ იქნება, თუ სტომატოლოგს მიმართავთ.

**დადებითი დღე: 16 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 12 მარტი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

ამ პერიოდში არ ღირს საქმეებში თავით გადაშვება და მხოლოდ ფულის გამომუშავებაზე ფიქრი. ახლა უფრო მნიშვნელოვანი თქვენი ცხოვრების სულიერი ასპექტებია. დაასრულეთ მიმდინარე საქმეები და დაისვენეთ. არ წამოიწყოთ ახალი პროექტები — ისინი მხოლოდ პრობლემებს შეგიქმნით.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და მიიპყრობთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას. თუმცა მეტისმეტმა წარმოდგენამ საკუთარ თავზე და თავდაჯერებულობამ შეიძლება, პრობლემები შეგიქმნათ ურთიერთობაში. გახსოვდეთ: კარგი რეპუტაციის მოპოვება ძალიან ძნელია, ცუდის — ადვილი.

დაიცავით დიეტა და უფრო ხშირად დაიტვირთეთ ფიზიკურად — დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით, ეს საჭიროა ნივთიერების ცვლის პროცესის მოსაწესრიგებლად.

**დადებითი დღე: 12 მარტი.**
**უარყოფით დღე: 15 მარტი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

შეეცადეთ, უფრო შორსმჭვრეტელი იყოთ. ახლა უყურადღებოდ არც ერთი წვრილმანი არ დატოვოთ — არც პროფესიულ საქმიანობაში და არც პირად ცხოვრებაში.

თავი არ აარიდოთ შეხვედრებს, რადგან შესაძლოა, ისეთ ადამიანთან გააბათ ურთიერთობა, რომელიც მხარს დაგიჭერთ პროექტების განხორციელებაში — მორალურადაც და ფინანსურადაც.

მარტოხელა ქალწული შეიძლება ძველ შეყვარებულს შეხვდეს და მათ შორის კვლავ განახლდეს ურთიერთობა. დაოჯახებული ქალწულები კი ოჯახში, ბოლოს და ბოლოს, დასადგურებული სიმშვიდით დატკბებიან.

გუნება-განწყობას ბუნების წიაღში გასეირნება გამოგიკეთებთ.

**დადებითი დღე: 11 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 14 მარტი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

თქვენმა სურვილმა, ყველაფერი აწონ-დაწონოთ, შეიძლება ცუდი სამსახური გაგიწიოთ. ვიდრე თქვენ აწონ-დაწონით, შეიძლება თქვენი ადგილი სხვამ დაიკავოს. გადაწყვეტილებები სწრაფად მიიღეთ, ამაში კი ინტუიცია დაგეხმარებათ.

სამსახურში კოლეგებთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები და სიტყვები გააკონტროლეთ. თუ ბრძოლა წააგეთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ომში დამარცხდით.

ამ პერიოდში დიდია ალბათობა იმისა, რომ მარტოხელა სასწორებმა ფლირტი წამოიწყონ, მაგრამ შესაძლოა, ეს კრახით დასრულდეს. დაქორწინებული სასწორებისთვის კი მშვიდი პერიოდია.

მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე და მიეჩვიეთ ფიზიკურ დატვირთვას. ორგანიზმის გაკაჟება მომავალში დიდად წაგადგებათ.

**დადებითი დღე: 16 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 11 მარტი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

ამ პერიოდში უფრო მგრძნობიარე და შორსმჭვრეტელი გახდებით და მეტ ყურადღებას დაუთმობთ ლამაზსა და უჩვეულოს, რაც თქვენს ცხოვრებას გაამრავალფეროვნებს. შესაბამისად, კარგ განწყობაზე იქნებით. სამსახურში შეიძლება იმაზე მეტის გაკეთება მოგთხოვონ, ვიდრე აქამდე გევალებოდათ, მაგრამ, თუ შესაძლებლობებს სრულად გამოიყენებთ, ყველა დავალებას პირნათლად შეასრულებთ.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს — გაიზიარეთ მათი პრობლემები და მხარში ამოუდექით. თქვენი მზრუნველობა ახლა მათ ძალიან სჭირდებათ.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ შეეცადეთ, სწორად იკვებოთ და მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 12 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 15 მარტი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

შეიძლება, სამსახურში შექმნილმა ვითარებამ ყურადღება გაგიფანტოთ, მაგრამ არ აჩქარდეთ და საქმე გულდასმით შეასრულეთ. წარმატებას მხოლოდ ასე მიაღწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეცდომას დაუშვებთ, ამიტომ ათჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ემოციებს ნუ აჰყვებით და წამოჭრილი პრობლემების მოგვარებას ერთობლივად შეუდექით. ყურადღება დაუთმეთ ოჯახის ხანში შესულ წევრებს!

ამ პეhრიოდში თქვენი მთავარი პრობლემა ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხი იქნება, რადგან ენერგოპოტენციალი შესუსტებული გაქვთ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ კანსა და კუჭ-ნაწლავის სისტემას. აუცილებლად ჩაიტარეთ გამოკვლევა სპეციალისტებთან.

მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს!

**დადებითი დღე: 14 მარტი.**
**უარყოფითი დღე:12 მარტი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

ამ პერიოდში წარმატება მხოლოდ თქვენს გონიერებაზე იქნება დამოკიდებული. შეეცადეთ, ნებისმიერ დავალებას შემოქმედებითად მიუდგეთ და ყველა საქმეს წარმატებით მოაგვარებთ. ამ პერიოდში მიღწეულ წარმატებებზე იქნება დამოკიდებული თქვენი მომავალი კარიერა და ფინანსური შემოსავლები.

ყურადღება არ მოადუნოთ უძრავი ქონების შეძენისას, აგრეთვე, ხელშეკრულების გაფორმებისას.

შეეცადეთ, გულწრფელი იყოთ საყვარელ ადამიანთან, რადგან, თუ გამომჟღავნდება, რომ მას რაღაცას უმალავთ, შეიძლება ურთიერთობა გაგირთულდეთ.

ამ პერიოდში დიდია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 11 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 17 მარტი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

მერწყულებისთვის არაერთმნიშვნელოვანი პერიოდია — ერთი მხრივ, შეიძლება, უფრო გაბედულად და შეუპოვრად წარმართოთ საქმეები, მეორე მხრივ, მღელვარებისა და შფოთვის მიზეზი უახლოესი ადამიანები გახდნენ. იმედი არ გქონდეთ, რომ შექმნილი პრობლემები თავისთავად გადაიჭრება. მათ მოსაგვარებლად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ.

სამსახურში დავალებები ხარისხიანად შეასრულეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელმძღვანელებისგან საყვედური არ აგცდებათ.

შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ საყვარელ ადამიანთან, რომელსაც თქვენთან დიდხანს ყოფნა ბედნიერებას ჰგვრის.

უარი თქვით ცხიმიან საკვებსა და ალკოჰოლურ სასმელებზე, რადგან შეიძლება, კუჭ-ნაწლავის სისტემა გაიღიზიანოთ.

**დადებითი დღე: 15 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 11 მარტი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

წარმატებული პერიოდია. ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც დაგეგმეთ, თუმცა, თუ მეტისმეტს მოინდომებთ, შეიძლება პრობლემები შეგექმნათ. მიენდეთ ინტუიციას და ყველაფერი, რასაც ხელს მოჰკიდებთ, წარმატებით დასრულდება. თქვენი თავგამოდებული მუშაობის წყალობით, მნიშვნელოვანი პროექტი, რომელზეც, კარგა ხანია, მუშაობდით, ბოლოს და ბოლოს, განხორციელდება.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის მოთხოვნებსაც გაითვალისწინებთ.

ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები არ შეგექმნებათ, თუმცა ძილი და დასვენება არ გაწყენდათ.

**დადებითი დღე: 14 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 11 მარტი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დეპრესია ქრონიკული დაავადებაა, ისევე, როგორც შაქრიანი დიაბეტი, მაღალი არტერიული წნევა და სხვ. ის შეიძლება დაემართოს ნებისმიერი სქესის, ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანს და მას კვალიფიციური მკურნალობა სჭირდება.**

# ზოგი რამ დეპრესიის შესახებ

**დეპრესია (ლათინურად depressio დათრგუნულს ნიშნავს) არის ადამიანის ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც ნეგატიური განწყობა, სევდა და დათრგუნვა ახასიათებს, ცხოვრების ინტერესის დაკარგვა. საბედნიეროდ, დეპრესია ადვილად განკურნებადია — პაციენტების 80% სრულად ინკურნება. თუმცა ძალიან მძიმე სახის დეპრესიამ, შესაძლოა, ადამიანი ისე დააუძლუროს, რომ თვითმკვლელობამდეც მივიდეს, ამიტომ ეს საკითხი სერიოზულ მიდგომას საჭიროებს.**

დროდადრო უგუნებოდ ყოფნა ჩვეულებრივი რამ არის, მაგრამ, როცა სიცარიელისა და იმედგაცრუების განცდა ერთიანად მოიცავს ადამიანს და უსასრულოდ გრძელდება, ეს უკვე შეიძლება დეპრესია იყოს. დეპრესია არღვევს ცხოვრების ჩვეულ რიტმს, გვართმევს სიცოცხლით ტკბობის უნარს. **დეპრესიული ადამიანი მუდამ დაქანცულია. მისი მდგომარეობა დღითიდღე უნუგეშო ხდება. ძველ გატაცებებსა და მეგობრებს სიხარული აღარ მოაქვს.**

მართალია, უიმედობა დეპრესიის ნაწილია, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თვით მდგომარეობა უიმედო არ არის. დღევანდელ მედიცინას შეუძლია მასთან გამკლავება.

ფსიქიკური აშლილობა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური პრობლემაა, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ყოველ მეოთხე ან მეხუთე ადამიანს ჰქონია ან ექნება.

როდესაც ადამიანს დეპრესია არ აქვს, ნერვულ უჯრედებს შორის არსებული ნეირომედიატორები საჭირო რაოდენობით გამოიყოფა. თუ საკმარისია ეს ნივითიერება, მაშინ საჭირო რაოდენობის იმპულსაციას იწვევს. დეპრესიის დროს არასაკმარისი რაოდენობით ხდება იმპულსაცია, ნეირომედიატორების ცვლა და ნერვულ ქსოვილში იმპულსის გადაცემა ირღვევა. ასეთ შემთხვევაში სააზროვნო პროცესების შემცირება და განწყობის დაქვეითება ხდება.

განწყობილების ცვალებადობა ყველასთვის ნაცნობი მოვლენაა. მოწყენილობაც ასევე ნორმალური რეაქციაა ამა თუ იმ ცხოვრებისეული გამოწვევის, სირთულისა თუ იმედგაცრუების საპასუხოდ. ბევრი ასეთ განცდებს დეპრესიას არქმევს, თუმცა სინამდვილეში ასეთი ყოველდღიური, ხანმოკლე და თვითკომპენსირებადი მდგომარეობა დეპრესია არ არის.

აღსანიშნავია, რომ დეპრესიაში მყოფი ზოგიერთი ადამიანი მოწყენილობას საერთოდ არ უჩივის — მათ უსიცოცხლობა, სიცარიელე, აპათია აწუხებთ. მამაკაცები და მოზარდები კი დეპრესიის დროს სევდის ნაცვლად შეიძლება ბრაზმა, აგრესიამ და მოუსვენრობამ შეიპყროს.

როგორი სიმპტომებითაც უნდა გამოვლინდეს დეპრესია, იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში გავრცელებული მოწყენილობისგან განსხვავებული მდგომარეობაა, რომელიც ცვლის პიროვნების შრომის, სწავლის, სიამოვნების განცდის უნარს, მადას, ძილს. დეპრესიის დროს ხშირია უმწეობისა და უსარგებლობის განცდა. უფრო მეტიც — დეპრესია თვითმკვლელობის ერთ-ერთი უდიდესი რისკფაქტორია.

ბევრს მიაჩნია, რომ დეპრესია მხოლოდ სუსტი ადამიანების ხვედრია, ამიტომაც ცდილობს, დამალოს იგი, არავის გაუმხილოს და დამოუკიდებლად გაუმკლავდეს; ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ ამ მდგომარეობას ადამიანი თვითონ მოერევა. სინამდვილეში **დეპრესია ქრონიკული დაავადებაა, ისევე, როგორც შაქრიანი დიაბეტი, მაღალი არტერიული წნევა და სხვ. ის შეიძლება დაემართოს ნებისმიერი სქესის, ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანს და მას კვალიფიციური მკურნალობა სჭირდება.**

არსებობს დეპრესიის ორი ტიპი – ენდოგენური და ეგზოგენური.

**ეგზოგენური დეპრესიით** ადამიანი სხვადასხვა გარე ფაქტორით ავადდება. მაგალითად, რაიმე უსიამოვნო მოვლენა, რომელიც ხანგრძლივად გრძელდება და იწვევს მუდმივ დაძაბულობასა და გუნება-განწყობის დაქვეითებას, საბოლოოდ დეპრესიაში გადადის.

რაც შეეხება **ენდოგენურ დეპრესიას**, მისი გამომწვევი მიზეზის პოვნა ვერც ექიმების და ვერც პაციენტის მხრიდან ვერ ხერხდება. ამ დროს კონკრეტულ ასაკში დეპრესიის განვითარებას ბიოლოგიური ფაქტორები განაპირობებს.

ყველაზე ხშირად დეპრესია თვეობით გრძელდება. ხშირია, როდესაც ის ბიპოლარული აფექტური აშლილობით ვლინდება. ამ დროს დეპრესიას პერიოდულად საპირისპირო განწყობა (მანიაკალური მდგომარეობა) ენაცვლება – ადამიანი მხიარულია, ასოციაციები მოჭარბებული აქვს, უჩვეულოდ ბევრს ლაპარაკობს. ასეთი საპირისპირო ფაზები ერთმანეთს სხვადასხვა პერიოდულობით ენაცვლება. არსებობს იშვიათი შემთხვევები, როდესაც დღის განმავლობაში მანიაკალური და დეპრესიული ფაზები რამდენიმეჯერ ენაცვლება ერთმანეთს.



**დეპრესიული ადამიანი მუდამ დაქანცულია. მისი მდგომარეობა დღითიდღე უნუგეშო ხდება. ძველ გატაცებებსა და მეგობრებს სიხარული აღარ მოაქვს**

მიაჩნიათ, რომ ბიპოლარული აფექტური აშლილობის 30% ცხოვრების განმავლობაში თავისით იკურნება.

დეპრესიას მრავალი ფორმა აქვს. დიდი დეპრესიის დროს სიმპტომები ყოველდღიურია ან თითქმის ყოველდღიური, ინტენსიური, მძიმე. ისინი იმდენად აშკარაა, რომ ამჩნევენ სამსახურში, სკოლაში, უცხო ადამიანებთან ურთიერთობისას... სიმპტომები ორი კვირა მაინც უნდა გაგრძელდეს, რომ დიაგნოზი დაისვას, ხოლო თუ მკურნალობის გარეშე დავტოვეთ, ეს მდგომარეობა 6 თვეს და მეტხანსაც გასტანს. ზოგიერთ ადამიანს დეპრესიის მხოლოდ ერთი ეპიზოდი აქვს, მაგრამ დიდი დეპრესია, ჩვეულებრივ, შეიძლება განმეორდეს.

**ატიპური დეპრესია**, მიუხედავად სახელწოდებისა, იშვიათი არ არის. იგი გავრცელებულია მოზარდებსა და ქალებს შორის. დეპრესიის ამ ფორმას, ნაცვლად უმადობისა და უძილობისა, ახასიათებს მადის გაძლიერება, წონის მატება და გადაჭარბებული ძილიანობა. დამახასიათებელია სიმძიმის შეგრძნება ხელ-ფეხში. ასეთი ადამიანები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან კრიტიკის, წარუმატებლობის მიმართ. მათი ცხოვრება სავსეა კონფლიქტით, უჭირთ ურთიერთობის დიდხანს შენარჩუნება. შესაძლოა, ამა თუ იმ ურთიერთობაზე უარიც კი თქვან. დროდადრო, კარგი ამბების გაგების ან მეგობრებთან ყოფნის დროს, დეპრესიული განწყობა ქრება, მაგრამ გავა ხანი და სიმპტომები ხელახლა იჩენს თავს.

**დისთიმია დეპრესიის მსუბუქი ფორმაა**, თუმცა ესეც ქრონიკული მდგომარეობაა. დისთიმიის დროს სიმპტომები ისე მკაფიოდ არ არის გამოხატული, როგორც დიდი დეპრესიის შემთხვევაში, თუმცა ორი წელი მაინც გრძელდება, ხშირად — უფრო მეტხანსაც. ასეთი ხანგრძლივობის გამო დისთიმია არღვევს ადამიანის ცხოვრების ნორმალურ რიტმს. წლობით მიმდინარე მსუბუქი დეპრესიის დროს ადამიანი კარგავს ინტერესს სხვადასხვა ცხოვრებისეული აქტივობის მიმართ, მისი პროდუქტიულობა და თვითშეფასება ეცემა. სხვების თვალში ასეთი ადამიანები ზედმეტად კრიტიკული არიან, გამუდმებით წუწუნებენ და სიხარულის განცდის უნარი არ გააჩნიათ. თუ დისთიმია მკურნალობის გარეშე დავტოვეთ, მას შეიძლება დიდი დეპრესიის ეპიზოდიც დაერთოს, რომელსაც ორმაგი დეპრესია ეწოდება.

როცა ადამიანს დისთიმია აქვს, ისეთი განცდა ეუფლება, თითქოს მუდამ დეპრესიული იყო. მიუხედავად ამისა, დისთიმია იკურნება მაშინაც კი, როცა წლების განმავლობაში არც დიაგნოზი დასმულა და არც მკურნალობა ჩატარებულა.

**სეზონური აფექტური აშლილობა.** დეპრესიის ეს ფორმა ციკლური და სეზონური მდგომარეობაა, რომელიც წელიწადის ერთსა და იმავე დროს აღმოცენდება. დეპრესიის სიმპტომები უმთავრესად შემოდგომაზე იჩენს თავს და მთელი ზამთარი გრძელდება. იშვიათად სეზონური აფექტური აშლილობა გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს იწყება.

შემოდგომა-ზამთრის დეპრესიის სიმპტომები გაზაფხულ-ზაფხულის დეპრესიის სიმტომებისგან განსხვავდება. თუ პირველ შემთხვევაში შესამჩნევია უიმედობა, ენერგიის გამოლევა, ძილიანობა, მომატებული მადა და სხვა, მეორე შემთხვევაში წამყვანია გაღიზიანება, შფოთვა, უძილობა, უმადობა და წონის კლება. საზოგადოდ, განწყობა ამინდთან ერთად იცვლება, მაგრამ, თუ ემოციური ლაბილურობა მთელი ერთი ან ორი სეზონი გაგრძელდა, ეს, შესაძლოა, სეზონური აფექტური აშლილობა იყოს.

**ბიპოლარულ აშლილობას** მანიაკურ-დეპრესიულ აშლილობასაც უწოდებენ. დაავადებისთვის დამახასიათებელია დეპრესიისა და მანიის ეპიზოდების მონაცვლეობა. თუ დეპრესიის დროს ადამიანი დათრგუნულია, კარგავს სიხარულის უნარს და ცხოვრებისადმი ინტერესს, მანიაკური ეპიზოდის დროს თავს იჩენს ეიფორია, ენერგიის მოზღვავება, გადაჭარბებული ოპტიმიზმი, სწრაფი საუბარი, აჟიტირებული და აგრესიული მოქმედება. ამ დროს ადამიანის აზროვნების უნარი არასრულფასოვანია, კონცენტრაცია — დაქვეითებული.

დეპრესიისა და მანიაკური ეპიზოდის მონაცვლეობა შეიძლება იყოს როგორც იშვიათი (წელიწადში რამდენიმე), ასევე ძალიან ხშირი (დღეში რამდენიმე). დამახასიათებელია ეპიზოდების სეზონური მონაცვლეობაც.

დეპრესიის ნიშნები ძალიან მრავალფეროვანია. კლასიკურად კი სამი ძირითადი ნიშანი იკვეთება: პირველი არის **დაქვეითებული გუნება-განწყობა**; მეორე – **ასოციაციური პროცესების შენელება**, როდესაც ადამიანი აზრების სიმცირეს განიცდის. მაგალითად, 5 წუთის მანძილზე თუ ჩვეულებრივ ვამბობთ 100 სიტყვას, დეპრესიის დროს სიტყვების რაოდენობა მცირდება, ხშირად ლაპარაკის სურვილი საერთოდ ქრება, თავში აზრები თითქოს საერთოდ არ მოდის. მესამე ნიშანი კი არის **მოტორული სფეროს — მოძრაობების შეფერხება**, დეპრესიის დროს ადამიანს სამსახურში, მეგობრებში, გასართობად და ზოგადად სადმე სიარულის სურვილი უქრება. ურჩევნია, მთელი დღის განმავლობაში იწვეს.

დეპრესიის ყველა ამ ნიშნიდან სხვა ნიუანსებიც იკვეთება. ეს არის სიამოვნების უნარის დაკარგვა. ხშირია, როდესაც ადამიანს, რომელსაც ჩვეულებრივ ვარჯიში, თევზაობა, ქსოვა ან სხვა ნებისმიერი საქმიანობა სიამოვნებას ანიჭებდა, დეპრესიის დროს იმავე საქმიანობისას ვეღარაფერს განიცდის, არაფერი უხარია.

**დეპრესია სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვანაირად გამოვლინდება, თუმცა აქვს საერთო ნიშნები და სიმპტომებიც. ყველაზე გავრცელებული სიმპტომებია:**

**უმწეობისა და უიმედობის განცდა. დამახასიათებელია გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნის განცდა, როცა ადამიანს ეჩვენება, რომ უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება.**

ყოველდღიური საქმიანობისადმი ინტერესი, ძველი გატაცებები და ხალხთან ურთიერთობა კარგავს აზრსა და ხალისს. ადამიანი ვერ ახერხებს სიამოვნების მიღებას, მას არაფერი ანიჭებს სიხარულს.

**მადისა და წონის ცვლილებები.** მადის დაქვეითების ან გაძლიერების გამო დეპრესიის ფონზე შეიძლება საგრძნობლად შეიცვალოს წონა: მოიკლოს ან მოიმატოს 5%-ით და უფრო მეტად 1 თვის განმავლობაში.

**ძილის დარღვევები.** უძილობა, განსაკუთრებით — დილაადრიან გაღვიძება ან მეტისმეტი ძილიანობა.

**აზროვნების, მეტყველებისა და მოძრაობების შენელება**. პიროვნება ისე ცოცხლად და აქტიურად ვეღარ აზროვნებს, როგორც ადრე. ასეთი ცვლილებები მის მეტყველებასა და მოძრაობაშიც შეინიშნება. შესაძლოა, უფრო ხმადაბლაც დაიწყოს ლაპარაკი.

**დანაშაულისა და უვარგისობის განცდა**. ასეთ დროს ადამიანი განუწყვეტლივ იხსენებს საკუთარ წა- ▶

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ივარჯიშეთ! ფიზიკური აქტივობა ამცირებს დეპრესიის სიმპტომებს. ისეირნეთ, ირბინეთ, იცურავეთ. შეარჩიეთ ისეთი აქტივობა, რომელიც სიამოვნებას მოგანიჭებთ; ერიდეთ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს.

◀ რუმატებლობას, გამუდმებით იდანაშაულებს თავს იმაში, რომ ცხოვრება ისე არ აეწყო, როგორც სურდა.

**გაღიზიანებადობა და სიბრაზე**. ზოგჯერ დეპრესიას თან ახლავს მოუსვენრობა, აღელვება, გაშმაგება. ამტანობა დაქვეითებულია. ადამიანი ყოველ წვრილმანზე ფეთქდება.

**ენერგიის დაკარგვა.** ხშირია ქრონიკული დაღლილობა, სხეული თითქოს დამძიმებულია, უმნიშვნელო საქმიანობაც კი ძალზე დამქანცველია და დიდ დროს მოითხოვს.

**მაღალი რისკის აქტივობა**. საკუთარი პრობლემების დასავიწყებლად ზოგიერთი მიმართავს ნარკოტიკებს, ალკოჰოლს, აზარტულ თამაშებს, ექსტრემალურ სპორტს, გაუფრთხილებლად მართავს მანქანას და სხვ.

**კონცენტრირების უნარის დაქვეითება**. ყურადღების, გადაწყვეტილების მიღების, ფაქტების დამახსოვრების უნარის შესუსტება.

**აუხსნელი ტკივილები**. დეპრესიისთვის დამახასიათებელია ისეთი ფიზიკური ჩივილები, როგორიც არის თავის, ზურგის ან მუცლის ტკივილი და სხვ., რომელსაც ორგანული საფუძველი არ გააჩნია.

**ფიქრი სიკვდილსა და თვითმკვლელობაზე.** უმწეობისა და უიმედობის განცდის დროს ადამიანმა ერთადერთი გამოსავალი, შესაძლოა, სიკვდილსა და თვითმკვლელობაში დაინახოს, ამიტომ, თუ თქვენი ახლობელი ან მეგობარი სიკვდილსა და თვითმკვლელობაზე საუბრობს, ყურადღებით მოეკიდეთ — თვითმკვლელობაზე საუბარი, შესაძლოა, დახმარების სათხოვნელად თავგანწირული ყვირილი იყოს.

განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ მოზარდებს. დეპრესია თინეიჯერის ცხოვრების ყველა სფეროზე ახდენს გავლენას. ამ ასაკში ის განსაკუთრებით სერიოზული დაავადებაა. მოზარდების დეპრესიას მხოლოდ ოჯახსა და სკოლაში როდი მოჰყვება პრობლემები — მათ შეიძლება მიმართონ ნარკოტიკებს და ჩაიდინონ კრიმინალური დანაშაული. ზოგჯერ ყალიბდება ისეთი გაუკუღმართებული მდგომარეობა, როგორიც არის საკუთარი თავის სიძულვილი. ამ დროს მოზარდი იჩენს ძალადობას საკუთარი თავის მიმართ ან მიმართავს სუიციდს.

მოზარდების დეპრესიის შესახებ საზოგადოებაში მრავალი მცდარი შეხედულებაა გაბატონებული. მართალია, ეს უხეში და ჯიუტი ასაკია, მაგრამ თინეიჯერების უმეტესობას შესწევს უნარი, საკუთარი ვნებათაღელვა დააბალანსოს კარგი მეგობრობის, სწავლაში, სპორტში ან სხვა საქმიანობაში მიღწეული წარმატებების ხარჯზე. ზოგჯერ ისინი უგუნებოდ არიან და არაორდინარულადაც კი იქცევიან, მაგრამ ასეთი რამ ამ ასაკში დასაშვებია, თუ ხშირი არ არის. რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები დეპრესიის გამოხატულებას არ წარმოადგენს. დეპრესია მოზარდის პიროვნებას ძირეულად შეძრავს. ამ დროს მათ დაუძლეველი სევდა, უიმედობა ან ბრაზი ეუფლებათ.

რაც უფრო ღრმად შეისწავლის მედიცინა დეპრესიას სიყრმის ასაკში, მით უფრო მეტად რწმუნდება, რომ ეს დაავადება უფრო ფართოდ არის გავრცელებული მოზარდებს შორის, ვიდრე წარმოგვიდგენია. ახალგაზრდა პაციენტების დიდი ნაწილი არ მიმართავს ექიმს და მკურნალობის გარეშე რჩება. მოზრდილებისგან განსხვავებით, რომლებიც თვითონვე მართავენ საკუთარ ცხოვრებას, მოზარდები დამოკიდებულნი არიან მშობლებზე, მასწავლებლებსა და მომვლელებზე, რომლებიც უნდა მიუხვდნენ, რა პრობლემა აწუხებთ მათ. ამიტომ, თუ ურთიერთობა გაქვთ მოზარდთან, სასურველია, კარგად გაეცნოთ ამ ასაკისთვის დამახასიათებელი დეპრესიის სიმპტომებს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოთ ეს ცოდნა.

ზრდასრული ადამიანებისგან განსხვავებით, მოზარდთა დეპრესიისთვის უფრო მეტად არის დამახასიათებელი ისეთი სიმპტომები, როგორიცაა გაღიზიანებადობა და ბრაზი, აუხსნელი ტკივილის ფენომენი, გადაჭარბებული მგრძნობიარობა კრიტიკისადმი. დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მონაცემებით, **15-დან 24 წლამდე ადამიანების სიკვდილის მიზეზებს შორის სუიციდს მესამე ადგილი უკავია. ეს ძალზე დამაფიქრებელია. თვითმკვლელობას საფუძვლად უდევს სხვადასხვა ფსიქოლოგიური აშლილობა. ერთ-ერთი მათგანია დეპრესია.**

მიზეზი სხვადასხვაა, ვინაიდან ადამიანი ბიო-ფსიქო-სოციალური არსებაა, ჯანმრთელობის პრობლების განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობს როგორც ბიოლოგიური ფაქტორები, გენეტიკა, ასევე ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები.

ცნობილია, რომ მზის სხივებიც კი ახდენს გარკვეულ გავლენას დეპრესიაზე. რაც უფრო მოკლე დღეა, მით მაღალია დეპრესიის მაჩვენებელი.

დეპრესიას ერთი კონკრეტული და უნივერსალური მიზეზი არ აქვს. მის აღმოცენებაში რამდენიმე ფაქტორი მონაწილეობს. ფიქრობენ, რომ დეპრესიის დროს ადამიანის ტვინში ცვლილებები ხდება. მაგალითად, იცვლება ზოგიერთი ნეიროტრანსმიტერის (ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების) კონცენტრაცია. გასათვალისწინებელია ჰორმონული ცვლილებებიც: ჰიპოთირეოზი, მენოპაუზა და სხვ.

**გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ ასევე მემკვიდრეობით ფაქტორს, ვინაიდან დეპრესია უფრო მეტად ისეთ ადამიანებს შორის გვხვდება, რომელთა ოჯახის წევრებიც იმავე დაავადებით იტანჯებიან.** დეპრესიის განვითარება მოსალოდნელია მაშინაც, თუ პოტენციური პაციენტის ბიოლოგიურ ნათესავს სუიციდის მცდელობა ჰქონია.

მეცნიერები ცდილობენ, იპოვონ გენი, რომელსაც შესაძლოა, მიუძღოდეს ბრალი დეპრესიის განვითარებაში. ბუნებრივია, დეპრესიის აღმოცენებას ხელს უწყობს ძლიერი ცხოვრებისეული სტრესიც: საყვარელი ადამიანის დაკარგვა, ფინანსური პრობლემები, უკურნებელი დაავადების დიაგნოზი და სხვ.

ბავშვობაში გადატანილი ფსიქოლოგიური სტრესი (ძალადობა, მშობლის დაკარგვა)



# 15-დან 24 წლამდე ადამიანების სიკვდილის მიზეზებს შორის სუიციდს მესამე ადგილი უკავია. ეს ძალზე დამაფიქრებელია. თვითმკვლელობას საფუძვლად უდევს სხვადასხვა ფსიქოლოგიური აშლილობა. ერთ-ერთი მათგანია დეპრესია



პერმანენტულ ცვლილებებს იწვევს თავის ტვინში, რომელიც მომავალში პირს დეპრესიისადმი განაწყობს. ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ასევე მეგობრების სიმცირე, ურთიერთობების სიღარიბე. გასათვალისწინებელია პიროვნების ხასიათის თავისებურებებიც, როგორიც არის დაბალი თვითშეფასება, სხვაზე დამოკიდებულება, თვითკრიტიკულობა, პესიმიზმი და სხვ..

დეპრესიის გამო ზოგიერთი ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს მიმართავს. ხდება პირიქითაც — **ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების გამო ხშირად აღმოცენდება დეპრესია.** დასასრულ, ზოგიერთი პრეპარატი (არტერიული წნევის დამწევი, საძილე საშუალებები და სხვა), შესაძლოა, ხელს უწყობდეს დეპრესიის განვითარებას.

**დაავადებამ ნებისმიერ ასაკში შეიძლება იჩინოს თავი, თუმცა უმთავრესად 20 წელს გადაცილებულებს ემართებათ. ქალები მამაკაცებზე ორჯერ ხშირად ავადმყოფობენ, თუმცა ნაწილობრივ ეს, შესაძლოა, იმიტომაც ჩანს ასე, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით ადვილად გამოხატავენ გრძნობებს და ხშირად მიმართავენ ექიმს დახმარებისთვის.**

დეპრესია სხვა დაავადებებს არ იწვევს. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მან გამოიწვიოს, ეს არის სუიციდი.

როდესაც დეპრესიას სუიციდური აზრები ახლავს თან, სჯობს, ადამიანმა სტაციონარში იმკურნალოს, ვინაიდან რთულია სახლის პირობებში ყურადღების მიქცევა.

მსუბუქი დეპრესიის დროს, შესაძლოა, ადამიანს არ მოაფიქრდეს, რომ მისმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა და ამიტომ უნდა დაამთავროს ეს ყველაფერი, მაგრამ, როდესაც საქმე მაინც მიდის თვითმკვლელობამდე, რიგ შემთხვევებში სუიციდური მცდელობები წარმატებით მთავრდება ხოლმე.

**დეპრესიის მკურნალობაში ყველაზე ხშრად ფარმაკოთერაპია გამოიყენება. 10-დან 7 შემთხვევაში დადებით შედეგს წამლების დახმარებით აღწევენ. ძირითადი მედიკამენტები ანტიდეპრესანტებია.**

**ანტიდეპრესანტი, ტრანკვილიზატორისგან, საძილე საშუალებებისგან განსხვავებით, მიჩვევას არ იწვევს.**

ერთ-ერთი ჯგუფის ანტიდეპრესანტი სხვადასხვა მექანიზმით აღადგენს ნეირომედიატორის რაოდენობას და იმპულსაცია მატულობს. ანტიდეპრესანტით მკურნალობის ეფექტის დასანახად, სულ მცირე, 3-4 კვირა არის საჭირო.

არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც მკურნალობა მხოლოდ ელექტროკონვულსიური თერაპიით არის შესაძლებელი. ასეთი თერაპიაზე უარი საქართველოში 80-იან წლებში თქვეს, მიიჩნეოდა, რომ არაჰუმანური იყო. თუმცა დღეს ასეთი თერაპია ნარკოზით, ტკივილის გარეშე ტარდება. იმის გამო, რომ საქართველოში ასეთ პროცედურას ისევ არ იყენებენ, საამისოდ საქართველოდან მოქალაქეები უკრაინაშიც კი ჩადიან.

დეპრესიის მკურნალობა სხვადასხვა მეთოდით არის შესაძლებელი. მკურნალობის ძირითადი მიმართულებებია მედიკამენტური თერაპია და ფსიქოთერაპია. ორივე მეთოდი ეფექტურია, ხოლო მათი კომბინირებული გამოყენების შემთხვევაში შედეგი საუკეთესოა.

ფსიქოთერაპია დეპრესიის მკურნალობის არამედიკამენტური ალტერნატივაა, რომელიც მიზნად ისახავს, პაციენტის პრობლემების განხილვითა და საუბრით მიაღწიოს სასურველ შედეგს. ასეთი საუბრები ადამიანს ეხმარება, უკეთ გაარკვიოს თავისი დეპრესიული მდგომარეობის მიზეზები, უფრო ადვილად იპოვოს გამოსავალი მდგომარეობიდან, გაუმკლავდეს უარყოფით ემოციებსა თუ ფიქრებს.

ფსიქოთერაპიას სხვადასხვა მეთოდი აქვს. ყოველი მათგანი განსხვავებულ პრინციპებს ეფუძნება. კოგნიტური ქცევითი თერაპია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, აღმოაჩინოს საკუთარ თავში ის მცდარი შეხედულებები, რწმენა თუ ქცევის ნორმა, რომელსაც იგი დეპრესიამდე მიჰყავს. ასეთი შეხედულებებისა და მოქმედებების ჯანსაღი მიმართულებით შეცვლა ხელს უწყობს ადამიანს, განსხვავებულად შეხედოს მოვლენებს და პრობლემებსაც უფრო უკეთ მომზადებული ხვდება.

დეპრესიას ადამიანი დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება, მაგრამ არსებობს წესები, რომელთა დაცვით მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საკუთარ თავს. თუ დეპრესია გაწუხებთ, გაითვალისწინეთ:

ნუ შეწყვეტთ ანტიდეპრესიული პრეპარატების მიღებასა და ფსიქოთერაპიულ სეანსებს სურვილისამებრ. მკურნალობის უეცარი შეწყვეტის შემთხვევაში დეპრესიული მდგომარეობა დაგიბრუნდებათ;

**ივარჯიშეთ!** ფიზიკური აქტივობა ამცირებს დეპრესიის სიმპტომებს. ისეირნეთ, ირბინეთ, იცურავეთ. შეარჩიეთ ისეთი აქტივობა, რომელიც სიამოვნებას მოგანიჭებთ;

ერიდეთ **ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს.** მათ მიერ მოგვრილი შვება დროებითი და მაცდურია. სინამდვილეში კი ალკოჰოლი და ნარკოტიკები ადამიანს დეპრესიაში უფრო ღრმად ითრევს;

**მოიწესრიგეთ ძილის რეჟიმი.** სრულფასოვანი ძილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეპრესიის სიმპტომების უკუგანვითარებისთვის. თუ ცუდად გძინავთ, აუცილებლად აცნობეთ ამის თაობაზე ექიმს;

ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში. ნუ დაიგროვებთ გულში უარყოფით ემოციებს. მოუყევით თქვენი პრობლემების შესახებ მეგობარს. მოიწვიეთ მეგობრები შინ ან თავად ესტუმრეთ მათ. გაიჩინეთ ახალი ნაცნობები. შესაძლოა, საამისო განწყობა არ გქონდეთ, მაგრამ ეცადეთ, საზოგადოებისგან არ გაირიყოთ. შეინარჩუნეთ ურთიერთობები თუნდაც ძალდატანების ფასად;

მიეცით თავს მცირედი ფუფუნების უფლება: გაატარეთ თავისუფალი დრო ბუნების წიაღში, უყურეთ მხიარულ ფილმებს, დიდხანს ინებივრეთ აბაზანაში, მოუსმინეთ მუსიკას, წერეთ დღიური, გამონახეთ დრო საყვარელი საქმიანობისთვის, რომლისთვისაც ვერ იცლიდით ბოლო ხანს;

მიიღეთ სრულფასოვანი საკვები. ეს აუცილებელია ენერგიისა და ჯანმრთელობისთვის.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მეცნიერებმა მეორე მთვარე აღმოაჩინეს



**მეცნიერების განცხადებით, მთვარე ჩვენი პლანეტის ერთადერთი თანამგზავრი არ არის. დედამიწის მეორე თანამგზავრს კრუინი ეწოდა. დედამიწის ირგვლივ სრული წრის დარტყმას ის 789 წელს ანდომებს. ახალი თანამგზავრი კრუინი 1986 წლის 10 ოქტომბერს ბრიტანელმა მოყვარულმა ასტრონომმა დანკან უალდრონმა აღმოაჩინა. დანკანმა თანამგზავრი შმიდტის ტელესკოპით შენიშნა.** თანამგზავრს დედამიწასთან მოახლოება 30 მილიონ კილომეტრზე ახლოს არ შეუძლია, ეს მანძილი კი 30-ჯერ უფრო შორია, ვიდრე მთვარის დაშორება ჩვენი პლანეტიდან. ასტრონომები იუწყებიან, რომ მეორე თანამგზავრის დიამეტრი მხოლოდ ხუთ კილომეტრს შეადგენს. სავარაუდო გათვლებით, მაქსიმალური დაშორება, რომლითაც კრუინის შეუძლია დედამიწასთან მოახლოება, 2000 წლის შემდეგ იქნება, თუმცა შეტაკება ნავარაუდევი არაა.

# წიგნები, რომლებიც ყველაზე დიდი რაოდენობით გაყიდულა

**შეგვიძლია, უსასრულოდ ვიკამათოთ, რომელია მსოფლიოში ყველაზე კარგი წიგნი. ამ საკითხზე, რა თქმა უნდა, ყველას საკუთარი მოსაზრება აქვს. გარდა ამისა, არ არსებობს რაიმე კონკრეტული კრიტერიუმი, რომლის დახმარებითაც წიგნის ავკარგიანობის დადგენა მოხერხდებოდა. მაგრამ შეგვიძლია, გავეცნოთ იმ წიგნების სიას, რომელთა ეგზემპლარებიც მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდენობით გაყიდულა.**




საპატიო **პირველი ადგილი** ვიქტორიანული ეპოქისა და ყველა დროის პოპულარული ინგლისელი მწერლის **ჩარლზ დიკენსის** წიგნმა **„ზღაპარი ორი ქალაქის შესახებ“** დაიკავა. წიგნი პირველად 1859 წელს გამოიცა ინგლისურ ენაზე. ამ დროისთვის მისი 200 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული. „ზღაპარი ორი ქალაქის შესახებ“ საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში მომხდარი ამბების შესახებ მოგვითხრობს.




**მეორე ადგილზე**, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორისა და მწერლის — **ჯონ რონალდ რუელ ტოლკინის** რომანი **„ბეჭდების მბრძანებელი“** გავიდა. წიგნის დიდი ნაწილი 1937-1949 წლებში დაიწერა და მისი შექმნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა. „ბეჭდების მბრძანებელი“ პირველად 1954 წლის 29 ივლისს გამოიცა. ითვლება, რომ ამ წიგნმა ყველაზე დიდი გავლენა იქონია თანამედროვე ფენტეზის ჟანრზე. ტოლკინის შემოქმედების გავლენა იმდენად დიდია, რომ სიტყვები ტოლკინური და ტოლკინისტური შეტანილია ოქსფორდის ინგლისურის ლექსიკონში. ამჟამად, წიგნის 150 მილიონი ასლია გაყიდული.

**მესამე ადგილი** ფრანგი მწერლის — **ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის** წიგნმა **„პატარა უფლისწული“** დაიკავა. საინტერესოა, რომ წიგნი პირველად 1943 წელს ნიუ იორკში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა. როგორც ცნობილია, „პატარა უფლისწული“ მრავალ ენაზე ნათარგმნი ფრანგულენოვანი წიგნია. იგი თარგმნილია 250-ზე მეტ ენასა და დიალექტზე, მათ შორის ბრაილზეც. აღსანიშნავია, რომ წიგნში არსებული ილუსტრაციები, რომლებიც ნოველაზე არანაკლებ პოპულარულია, თვით ეგზიუპერის მიერ იყო შესრულებული და ნაწარმოების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. „მხოლოდ გული ხედავს კარგად, თვალს არ ძალუძს დაინახოს ის, რაც მთავარია და არსებითი“, — გვახსენებს მწერალი. ამ დროისთვის წიგნის 140 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული.







1997 წლის 30 ივლისს გამოიცა **ჯოან როულინგის ჰარი პოტერზე დაწერილი რომანი**, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნია. წიგნი იმ ბიჭუნას თავგადასავლებზე მოგვითხრობს, რომელიც ჯადოსნურ სამყაროში მოხვდება. ავტორის თქმით, ისტორიის დაწერის იდეა მატარებლით მგზავრობის დროს გაუჩნდა. ამ დროისთვის ჰარი პოტერისა და ფილოსოფიური ქვის 107 მილიონი წიგნია გაყიდული.




სიაში მეხუთე ადგილზეა ბრიტანული დეტექტივი — **აგათა კრისტის** რომანი **„10 პატარა ზანგი“** გავიდა. წიგნი 1939 წელს გამოიცა და ამ დრომდე მისი 100 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული.

# ადამიანი-ამფიბია

**2010 წელს დანიელი სტიგ სევერინსენი ჩახტა ზვიგენებით სავსე აუზში, წყლის ქვეშ 20 წუთი და 10 წამი გაჩერდა და დაამხო გინესის რეკორდი. 2 წლის შემდეგ სტიგმა მოახერხა საკუთარი რეკორდის გაუმჯობესება 2 წუთით (ანუ წყალქვეშ 22 წუთი დაჰყო). თუკი ადამიანი-ამფიბია ნამდვილად არსებობს, მაშინ ეს სტიგია. ასეთი შესაძლებლობით მას თავისუფლად შეეძლო, მიეღო მონაწილეობა წყალქვეშა ტურნირში „ბუშტების გამოშვება“ და უდავოდ გაიმარჯვებდა კიდეც.**



როგორ შეძლო ჩვეულებრივმა ადამიანმა წყლის ქვეშ 22 წუთს გაძლება? დავიწყოთ იქიდან, რომ სტიგ სევერინსენმა მიიღო დოქტორის წოდება მედიცინის დარგში და მაგისტრისა — ბიოლოგიაში, ამდენად, ძალიან კარგად იცნობდა ადამიანის ორგანიზმს. იგი ერთ-ერთია, ვინც მონაწილეობას იღებდა ყველაზე საშიშ და სახიფათო შეჯიბრებებში. მაგალითად, სწორედ სტიგმა მოახერხა რეკორდის დამყარება ყველაზე დაბალ ტემპერატურიან წყალში 70 მ სიღრმეში ცურვით.

ეს გამოცდილება ნამდვილად სახიფათო იყო იმიტომ, რომ სტიგს ორი ვარიანტი ჰქონდა: ან მომკვდარიყო ჰაერის უკმარისობისგან ან გაეცურა 70 მეტრი და ამოესუნთქა. და მან შეძლო — 72-მეტრიანი ბარიაერი 96 წამში დაფარა. გასაკვირია, მაგრამ სტიგი მაშინვე არ გაქცეულა თბილი ტანსაცმლის მოსაძებნად ან ცხელი ჩაის დასალევად. მან ფოტოგრაფებისთვის პოზიორობა დაიწყო და ყველას დიდ მადლობას უხდიდა მხარდაჭერისთვის.

ამის შემდეგ ყველას ეგონა, რომ წყალქვეშ სუნთქვის შეკავება ძალიან მარტივი იყო, მაგრამ სტიგმა დაამტკიცა, რომ არ ჰყავდა კონკურენტი. 22-წუთიანი რეკორდის შემდეგ სევერინსენმა გაგვიზიარა თავისი წარმატების საიდუმლო: ორგანიზმმა ნაკლები ჟანგბადი რომ მოითხოვოს, აუცილებელია, გულისცემა წუთში 30-მდე დაეცეს. ამისთვის კი აუცილებელია, აუზის წყლის ტემპერატურა უტოლდებოდეს 30-ს.

ვარჯიშის დროს სტიგთან ერთად იმყოფებოდა მისი ძმა, რომელიც აკონტროლებდა მის პულსს, წნევას და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს.

ბევრი მას სუპერადამიანს ეძახის ან ადამიან-ამფიბიას. თავად კი მიიჩნევს, რომ დიდი ტალანტია და ბოლო წამამდე შეუძლია, იბრძოლოს ყოველგვარი ტკივილის მიუხედავად.

# რატომ ვერ აღმოვაჩინეთ უცხოპლანეტელები



**გალაქტიკაში დედამიწის ზომის მრავალი პლანეტაა, აურაცხელი ციური სხეულია და წესით, ათიათასობით უცხო ცივილიზაცია უნდა არსებობდეს, მაგრამ რატომ არ გამოდის კონტაქტზე არც ერთი მათგანი?**



წარმოუდგენლად ჟღერს, მაგრამ ბევრი ადამიანი დარწმუნებულია, რომ ისინი ჩვენ შორის არიან. მაგალითად, **კანადის ყოფილი თავდაცვის მინისტრი პოლ ჰელიერი 2014 წელს ირწმუნებოდა, რომ დედამიწაზე უცხოპლანეტელთა 80 სხვადასხვა სახეობა ცხოვრობდა.** ჰელიერს თანამოაზრეებიც ჰყავს. ფიზიკოსი **პოლ დევისი** არიზონას უნივერსიტეტიდან და დოქტორი **რობერტ თრენდლი** ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტიდან, აგრეთვე, დარწმუნებულნი არიან, რომ უცხოპლანეტელები ჩვენ შორის ცხოვრობენ.

პალეონტოლოგი **პიტერ უორდის** თეორიის მიხედვით, ადამიანები და სხვა სუპერ ორგანიზმები თვითგანადგურებისკენ არიან მიდრეკილნი. ეს თეორია ამბობს, რომ ჩვენ მანამდე გავნადგურდებით, სანამ საკმარისად განვვითარდებით იმისთვის, რომ უცხო ცივილიზაციასთან კონტაქტი დავამყაროთ.



**თუ სხვა პლანეტები საცხოვრებლად გამოსადეგია, იქ მცხოვრები არსებები დედამიწელების მსგავსად იქნებიან განვითარებულნი? იქნებ ისინი იმდენად განსხვავებულნი არიან, რომ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ არჩევს მათ გამოგზავნილ სიგნალს?**

როგორც კოსმოლოგი და ასტროფიზიკოსი **ლორდ რისი** ამბობს, ისინი შეიძლება პირდაპირ სახეში გვიყურებდნენ, მაგრამ ჩვენ ვერ ვცნობთ. პრობლემა ის არის, რომ ჩვენ ადამიანის იდენტურს ვეძებთ, თუმცა, შესაძლოა, უცხო ცივილიზაცია ისეთი სიცოცხლის ფორმა იყოს, რომლის აღქმაც ვერ შევძლოთ.

კიდევ ერთი ვერსიით, ჩვენი სამყარო ვირტუალური რეალობის პლანეტარიუმია, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ ჩაგვინერგოს ილუზია, თითქოს გალაქტიკა ცარიელია. ჩვენ იმიტომ ვერ აღმოვაჩინეთ უცხოპლანეტელები, რომ ისინი ამ პროგრამაში არ არიან გაწერილები.

რამდენად დაუჯერებლადაც უნდა ჟღერდეს, პროფესიონალი ფილოსოფოსები და ფიზიკოსები სერიოზულად მსჯელობენ ამ საკითხზე. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ ხელოვნური ინტელექტი ვართ ყალბ სამყაროში და ერთ დღესაც სისტემურ დაზიანებას აღმოვაჩენთ, რომლითაც შესაძლებელი გახდება ამ თეორიის დამტკიცება.



## მარსზე დინოზავრის თავის ქალა აღმოაჩინეს

**ამერიკელმა ასტრონომებმა და უფოლოგებმა მარსზე დინოზავრის თავის ქალა აღმოაჩინეს. ფოტო გადაიღო რობოტმა Curiosity, რომელიც ნასამ მარსის ზედაპირის გამოსაკვლევად გაგზავნა. ფოტოზე მკვლევარებმა აღმოაჩინეს თავის ქალა, ვარაუდობენ, რომ ის დინოზავრს ეკუთვნის.** ფოტოს გადიდებისას დაინახავთ ქვიშაში ჩაფლულ ყბებს და ღიად გამოკვეთილ ქალას. სხეულის სხვა ნაწილები ნასას ფოტოზე არ შეიმჩნევა. ფოტო იქ სრულდება, სადაც, წესით, დანარჩენი ჩონჩხი უნდა იყოს განლაგებული. იმის მტკიცებულებად, რომ ფოტოზე გამოსახული ობიექტი არის რეალურად თავის ქალა და არა ამ მოყვანილობის ქვა, იქცა კბილები, რომლებიც გარკვევით ჩანს ფოტოზე.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე ძვირად ღირებული ნივთიერებები




## ჰეროინი – 1 გრამი 131 დოლარი

**გამოდის, რომ ჰეროინი ამ ჩამონათვალში ყველაზე იაფფასიანი ნივთიერებაა.** ჰეროინის მომხმარებელია 15-21 მილიონი ადამიანი 15-დან 64 წლამდე. მას იყენებენ, როგორც დამაწყნარებელ საშუალებას.



## პლუტონიუმი – 1 გრამი 4 000 დოლარი

**პლუტონიუმი — ეს არის საბაზო ელემენტი, რომელიც წარმოიშვა სამყაროში „დიდი აფეთქების“ შედეგად.** ის შეიძლება იპოვოთ ბუნებაში ძალიან ცოტა რაოდენობით. ალბათ, ბევრს სმენია მის შესახებ მხატვრულ ფილმებში, როდესაც ბოროტ გმირებს სურდათ დიდი რაოდენობით პლუტონიუმის ხელში ჩაგდება. ის გამოიყენება სამხედრო წარმოებაში და ატომურ ენერგეტიკაში.



## ტრიტიუმი – 1 გრამი 30 000 დოლარი

**ამ ნივთიერების შესახებ ბევრს არ სმენია.** ტრიტიუმი არის წყალბადის რადიოაქტიური იზოტოპი, რომელსაც იშვიათად თუ იპოვით დედამიწაზე. ის ფორმირდება ატმოსფეროში კოსმოსური დასხივების შედეგად წარმოქმნილი ნაწილების შეჯახებით ატომების ბირთვებთან. ძირითადად მას გამოიყენებენ განათებისთვის, მაგალითად, თეატრებში, სკოლებსა და საოფისე შენობებში წარწერებისთვის „შესასვლელი“.

## ანტიმატერია – 1 გრამი 62,5 ტრილიონი დოლარი

**ყველაზე ძვირად ღირებული ნივთიერება ღირს 62,5 ტრილიონი დოლარი და მას ანტიმატერია ან ანტინივთიერება ეწოდება.** ეს არის მომავლის სუბსტანცია. დღეს ეს ერთადერთი ნივთიერებაა, რომელსაც რთულად თუ მიიღებთ. ანტიმატერია შედგება ანტინაწილაკებისგან, რომლებიც ყალიბდება ნაწილაკების ამაჩქარებლებში ან რადიოაქტიური ნივთიერებების გაფანტვისას. თუკი ვინმე გამოიგონებს ანტიმატერიის მიღების იაფ საშუალებას, მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ ის იმ კოსმოსური რაკეტების საწვავად, რომლებიც შეძლებენ, დაიპყრონ სამყაროს ყველაზე შორეული პლანეტები.




## კოკაინი – 1 გრამი 215 დოლარი

**კოკაინი არის პოპულარული ნარკოტიკი წვეულებებზე, მას იყენებენ სასიამოვნო ემოციების მისაღებად, მაგრამ იწვევს ნეგატიურ შედეგებს და დამოკიდებულებას.** ის ადამიანს აყენებს კარგ განწყობაზე, აძლიერებს ენერგიის მოზღვავებას და აქტიურობას, ზრდის თავდაჯერებულობას. ხშირი მოხმარების შემთხვევაში კოკაინი იწვევს ტახიკარდიას, ჰალუცინაციებს, პარანოიას და ა. შ.



## პეინიტი – 1 გრამი 9000 დოლარი

**პეინიტი ეს არის იშვიათი მინერალი.** მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა მისი მხოლოდ სამი კრისტალი. 2005 წლამდე აღმოჩენილი იყო დაახლოებით 25 პეინიტი. უმრავლესობა აღმოაჩინეს მიანმის მაღაროებში.



## ბრილიანტები – 1 გრამი 55 000 დოლარი

**გასაკვირი არ არის, რატომ ღირს საქორწინო ბეჭდები ასე ძვირი. ბრილიანტებს უკავია მესამე ადგილი მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ ნივთიერებებს შორის.** ალმასის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა სპეციკური პირობები, ამიტომაც მას შეიძლება შევხვდეთ ლითოსფეროში და მეტეორიტებზე, რომლებიც ეცემა დედამიწაზე. დღეს ბრილიანტები იშვიათობა არაა, ხოლო მე-19 საუკუნეში ფირმა N.W. Ayer-ს მოუწია მთელი სარეკლამო კამპანიის ჩატარება, რათა ხალხისთვის ესწავლებინა ბრილიანტების ტარება. დღეს ბრილიანტებს ირჩევენ, როგორც სიყვარულის სიმბოლოს.





## ლსდ – 1 გრამი 3000 დოლარი

**ლსდ არის ძლიერმოქმედი ნარკოტიკი, რომელსაც აძლიერებს შემოქმედებებით შესაძლებლობებს და არ იწვევს დამოკიდებულებას,** მაგრამ შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური აშლილობა და პარანოია.



## ტაფეიტი – 1 გრამი 20 000 დოლარი

**ტაფეიტი არსებობს რამდენიმე ფერის, უპოვიათ უფეროებიც.** მას პოულობენ უფრო იშვიათად, ვიდრე ალმასებს. მისი პოვნის შანსები ნულს უახლოვდება. აი, ამიტომაც არ სმენია ბევრ ადამიანს მის შესახებ. თუკი მისი აღმოჩენა მოხერხდა, ეს დიდი მიღწევაა. საკმარისია მხოლოდ რამდენიმე გრამი და შეიძლება დაიწყო ახალი ცხოვრება.



## კალიფორნიუმ 252 – 1 გრამი 27 მილიონი დოლარი

**მეორე ადგილზეა კალიფორნიუმ 252 — კიდევ ერთი ელემენტი, რომლის შესახებაც თითქმის არავის არაფერი სმენია.** ეს არის არაბუნებრივი წარმონაქმნი, ის სინთეზირდება ლაბორატორიებში. პირველად შექმნეს 1950 წელს და გამოსაყენებლად ვერანაირი ფუნქცია ვერ უპოვეს. ძვირია, მაგრამ უსარგებლო.



# მსოფლიო სტანდარტის პროდუქტი: ტექნოლოგიები, რომლებიც გვიადვილებს არა მხოლოდ ყოველდღიურ ყოფას, არამედ მომავალსაც




## მდგრადობისა და ენერგოეფექტურობის სიმბოლო

ბოშის ტექნიკის დიფერენცირებისა და ყველაზე ენერგოეფექტური მოდელების იდენტიფიცირებაში დასახმარებლად შემოვიღეთ Green-Technology Inside სიმბოლო. ეს სიმბოლო იმ პროდუქციას აღნიშნავს, რომელიც გამორჩეულია ინოვაციური ტექნოლოგიებით, აღწევს მაქსიმალურ წარმადობას და ამავე დროს საოცრად ეკონომიურია ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას.

## სარეცხი მანქანა – ActiveWater

Bosch-ის სარეცხი მანქანები ActiveWater ტექნოლოგიით ზუსტად განსაზღვრავს ყოველი რეცხვისთვის საჭირო წყლის მოცულობას, ამიტომ არასოდეს იყენებს საჭიროზე ერთი წვეთით მეტ წყალსაც კი. ActiveWater™ 7 კგ. სარეცხის ჩატვირთვისას წყლის მოხმარებას 42 ლიტრამდე ამცირებს. შესაბამისად, სარეცხი მანქანა იმდენად ენერგოეფექტურია, რომ იგი A+++ კლასის უმაღლეს ნიშანს ატარებს. ჩვენი მაცივრები ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიურია მსოფლიოში. სარეცხი ან ჭურჭლის სარეცხი მანქანებისაგან განსხვავებით, მაცივარი 24 საათის განმავლობაშია ჩართული, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იგი ნაკლებ ენერგიას მოიხმარდეს. Bosch-ის სერიის ყველა მოდელს მინიჭებული აქვს, მინიმუმ, A+ ენერგოეფექტურობის კლასი, ხოლო შვიდ სუპერეფექტურ მოდელს – A++, რადგან მოიხმარს 40%-ით ნაკლებ ენერგიას, ვიდრე „A“ კლასის მოდელები.

## «Active Water» – ჩვენი ჭურჭლის სარეცხი მანქანა

„ActiveWater“ მკვეთრად ამცირებს წყლისა და ელექტროენერგიის მოხმარებას. Economy 50XC პროგრამით 13 კომპლექტი ჭურჭლის გასარეცხად მანქანა მხოლოდ 6 ლიტრ წყალსა და 0.92 კვ.სთ. ელექტროენერგიას მოიხმარს. იმავე მოცულობის ჭურჭლის ხელით გარეცხვისთვის კი საჭიროა 49 ლიტრი წყალი. Bosch-ის ყველა ჭურჭლის სარეცხი მანქანა, სულ მცირე, A+ ენერგოეფექტურობის კლასისაა. ხოლო ყველა ჩვენი EcoStar ჭურჭლის სარეცხი მანქანა ძალიან ეფექტური A+++ კლასისაა, რაც ნიშნავს ევროკავშირის ენერგოეფექტურობის სისტემის მაჩვენებელს (0.92 კვტ.სთ.) მინუს 10%.

## ენერგოეფექტურობის მარკირების სქემა

ყველაზე ენერგოეფექტური საოჯახო მოწყობილობების არჩევაში დასახმარებლად ევროკავშირის მიერ წარმოდგენილი იქნა ენერგეტიკული ეფექტურობის სქემა. შესაბამისად, ყველა მოწყობილობა უნდა ატარებდეს ევროკავშირის ენერგოეფექტურობის ეტიკეტს. გაცივებისა და ჭურჭლის რეცხვის კლასიფიკაციები 2013 წელს განახლდა. ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით, ტექნოლოგიური მიღწევების წარმოსაჩენად ძველი, „A“-დან „G“-მდე სისტემა ამჟამად განახლებულია შემდეგი სისტემით, რომელშიც A+++ ყველაზე ენერგოეფექტურ, ხოლო „D“ ყველაზე ნაკლებად ენერგოეფექტურ მოწყობილობას აღნიშნავს. გარდა ამისა, წყლის წლიური მოხმარებისა და ხმაურის დონის აღმნიშვნელი ინფორმაციაც ასევე პირველად იქნება დატანილი აღნიშნულ ეტიკეტზე — **6 | Bosch** და გარემო **Bosch** და გარემო | **7** .

„Bosch“-ის მუშაობის მთავარი პრინციპია ეკოლოგიურად სუფთა წარმოების მეთოდებით ახალი ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოკვლევა.

ყოველთვის მაწუხებდა ის აზრი, რომ ვიღაცას შეეძლო, ჩემი პროდუქცია შეემოწმებინა და აღმოეჩინა, რომ ხარისხით გარკვეულწილად სხვას ჩამოუვარდებოდა, ამიტომ მუდმივად ვცდილობდი, ისეთი ნაწარმი შემექმნა, რომელიც ყველაზე ჩასაფრებულ მზერას გაუძლებდა; შემექმნა პროდუქცია, რომელიც შეძლებდა თავისი უპირატესობის დამტკიცებას," — რობერტ ბოში.



## გედევან ფოფხაძე: პრეზიდენტმა «ნაციონალური მოძრაობის» ინტერესებს გაუწია ანგარიში

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გედევან ფოფხაძე ამბობს, რომ პრეზიდენტმა რიგგარეშე სხდომის დანიშვნით „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს დაუჭირა მხარი. დეპუტატს მიაჩნია, რომ „ნაციონალებს“ რიგგარეშე სხდომის ჩატარებით ეკონომიკის თემებით მანიპულირება და პოლიტიკური ტემპერატურის აწევა სურთ.

**„პრეზიდენტმა, ნებსით თუ უნებლიეთ, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ და პარტიულ ინტერესებს გაუწია ანგარიში. ეკონომიკური თემებით მანიპულირება არასწორია. ეს დებატები ემსახურება არა პრობლემის გადაჭრას, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 21 მარტისთვის დანიშნული აქციის წინ პოლიტიკური ტემპერატურის აწევას“,** — განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტში რიგგარეშე სხდომის მოწვევის გადაწყვეტილება გუშინ მიიღო. სხდომა 13 მარტს, 12 საათზე უნდა გაიმართოს.

გრიშა ონიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ლილი ონიანი (კვიციანისა)
და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.



## საქართველოს მთავრობა ეკომეგობრულ ავტომობილებს შეიძენს

**იაპონიის მთავრობა საქართველოს 500 000 000 იაპონური იენის (დაახლოებით 4,2 მილიონი აშშ დოლარის) ოდენობით საგრანტო დახმარებას გაუწევს.**

არასაპროექტო საგრანტო დახმარება გამიზნულია ახალი თაობის ეკომეგობრული ავტომობილების შესაძენად, როგორიცაა, მაგალითად, ჰიბრიდული ავტომობილი (HV), დასამუხტი ჰიბრიდული ელექტრომობილი (PHEV), ელექტრომობილი (EV) და სუფთა დიზელზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალება (CD). საგრანტო დახმარებამ საქართველოს ეკოლოგიური გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა შეუწყოს ხელი.

იაპონიამ, საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, ოფიციალური განვითარების დახმარების ფარგლებში სხვადასხვა მიმართულების პროექტები განახორციელა. იაპონიის დახმარებამ საქართველოს მიმართ შეადგინა 370 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობა და სოციალური სექტორი, კულტურა და ადამიანური რესურსების განვითარება.



**მკურნალობა მამაკაცებისთვის**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894